

რუსუდან ჩოლოყაშვილი

# ცხოველთა ეწიხი

თბილისი  
2005

წიგნში განხილულია: ცხოველთა ეპოზის ცალკეული ქვე-ჯგუფების (საკუთრივ ცხოველთა ზღაპრების, ეტიოლოგიური გადმოცემების, კუმულაციური ზღაპრების) საზღვრები და თავისებურებანი, ცხოველთა ზღაპრების ფუნქცია, მისი ორსახოვანი პერსონაჟის გენეზისის საკითხი-მიმართება მითოსურ სახეებთან, ეთნოგრაფიულ წარმოდგენებთან. გაშუქებულია: ცალკეულ პერსონაჟებთან დაკავშირებული სიუჟეტები, მათი მხატვრული ანალიზი და სხვა.

რედაქტორი: ამირან არაბული

რეცენზენტი: მზია ჩაჩავა

გამომცემლობა „ნეკერი“, 2005

|                                                                         |     |
|-------------------------------------------------------------------------|-----|
| შესავალი.....                                                           | 4   |
| თავი პირველი                                                            |     |
| ზღაპრის ეპოსის ზოგადი მიმოხილვა .....                                   | 16  |
| თავი მეორე                                                              |     |
| ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის გაგებისათვის .....                           | 22  |
| თავი მესამე                                                             |     |
| ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები .....                                       | 32  |
| §1. მელია და გარეული ცხოველები .....                                    | 33  |
| §2. მელია და ფრინველები .....                                           | 36  |
| §3. მელია და ადამიანი.....                                              | 40  |
| §4. მგელი.....                                                          | 42  |
| §5. დათვი .....                                                         | 48  |
| §6. ტურა, ლომი, ვეფხვი, კურდღელი.....                                   | 52  |
| §7. ადამიანი .....                                                      | 58  |
| §8. შინაური ცხოველები .....                                             | 60  |
| §9. ფრინველები .....                                                    | 68  |
| თავი მეოთხე                                                             |     |
| კუმულაციური ზღაპრები .....                                              | 71  |
| თავი მეხუთე                                                             |     |
| ეტიმოლოგიური გადმოცემები .....                                          | 75  |
| თავი მეექვსე                                                            |     |
| ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის გენეზისი.....                                | 82  |
| §1. მითოლოგია და ცხოველთა ეპოსი .....                                   | 83  |
| §2. ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები და<br>ხალხური რწმენა-წარმოდგენები ..... | 86  |
| §3. ცხოველები ეპოსში და სინამდვილეში .....                              | 87  |
| თავი მეშვიდე                                                            |     |
| ცხოველთა ეპოსი და იგავი.....                                            | 90  |
| თავი მერვე                                                              |     |
| ცხოველთა ეპოსის მხატვრული ანალიზი.....                                  | 99  |
| დასკვნა.....                                                            | 112 |
| Резюме.....                                                             | 117 |
| Summary .....                                                           | 122 |
| ფოლკლორული კრებულებისა და არქივების შემოკლებათა სია.....                | 126 |
| დამოწმებული ლიტერატურის სია .....                                       | 127 |

ცხოველთა ეპოსი უძველესია პროზაულ ნაწარმოებთა შორის და ამდენად დიდი ინტერესის აღმძვრელი. წინამდებარე ნაშრომი ამ ჟანრის მთელი რიგი საკვანძო საკითხების შესწავლას ისახავს მიზნად, როგორიც არის: მისი ცალკეული ქვეჯგუფების საზღვრები და თავისებურებანი, მისი ორსახოვანი პერსონაჟის გენეზისის საკითხი, ამ ჟანრის ქმნილებათა ძირითადი არსის გააზრება უძველეს რწმენათა საფუძველზე და სხვა. ამ მიზნით გათვალისწინებულია ცხოველთა ეპოსის შექმნის პერიოდისათვის დამახასიათებელი აზროვნების, მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენების თავისებურებები.

სანამ აღნიშნულ საკითხებს შევხებოდეთ, მოკლედ შევჩერდებით ცხოველთა ეპოსის შესწავლის ისტორიაზე საქართველოში. მართალია, ცხოველთა ეპოსთან დაკავშირებით მონოგრაფიული გამოკვლევა დღემდე არ დაწერილა, მაგრამ მას განიხილავენ ყველა, ვინც საერთოდ ზღაპრულ ეპოსს იკვლევდა.

საინტერესოა, როდის მიიქცია ცხოველთა ეპოსმა ქართული საზოგადოების ყურადღება, როდის ჩაიწერეს მისი პირველი ნიმუშები და რა გაკეთდა შემდგომში ხალხური პროზის ამ საინტერესო ჟანრის შესწავლის მიზნით?

მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ქართული ზღაპრული ეპოსის კვლევას ადრე ჩაეყარა საფუძველი და მისი ისტორია იმ მომენტიდან იწყება, როცა ამ ჟანრის ლიტერატურულ გადამუშავებას მიჰყვეს ხელი (ჩიქოვანი, 1938, გვ. 32). ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც ქართული ხალხური ზღაპრული ეპოსის ლიტერატურულ გადამუშავებას წარმოადგენს და „ქილილა და დამანა“- ინდურ იგავთა კრებულის „პანჩატატრას“ ქართული თარგმანი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, სომხურიდან ნათარგმნი „მელის წიგნი“ და ბერძნულიდან გადმოქართულებული ეზოპეს იგავები.

რა პერიოდს ეკუთვნის ამ ძეგლთა გამოჩენა ქართულ სინამდვილეში?

ფილოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული იყო ვახტანგ VI-ის ვერსია, რომ ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ „ქილილა და დამანას“ თარგმანი, რომელიც გიორგი III-ის ეპოქას უკავშირდებოდა. მ. თოდუამ ახლებურად დააყენა ეს საკითხი (თოდუა, 1975,

გვ. 68-71). როგორც ვიცით, ვახტანგ VI-ს ამ ვარაუდის საფუძველს აძლევდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. იქ ის „ქილილა და დამანასეულ“ მხოლოდ ერთ იგავზე უთითებდა. მოგვიანებით მ. ჯანაშვილმა ასეთ იგავთა რიცხვი ოთხამდე გაზარდა. მასალის ხელახალი გადასინჯვით მ. თოდუა ასკვნის, რომ მ. ჯანაშვილის მოსაზრება მცდარია და „ვახტანგ VI მართალია, როცა მხოლოდ ერთ ქილილასეულ იგავზე უთითებს და არა მეტზე. ჩვენ არ ვიცით ისიც, ქართულად გეჟონია, თუ რომელიმე არაქართული ვერსიიდან იცის „აზმანის“ ავტორმა ეს იგავი“ (თოდუა, 1975, გვ. 70). მითუმეტეს, რომ იგი „ყოველმხრივ განსწავლული კაცი ჩანს, რომელიც... აღმოსავლური და დასავლური განათლების ღრმა ცოდნას ამჟღავნებს“ (კეკელიძე, 1954, გვ. 9-10). ასევე შეიძლება შევხედოთ „ქილილა და დამანას“ ხსენების საკითხს „ქართლის ცხოვრებაშიც“ (თოდუა, 1975, გვ. 71).

„ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნა პირველად დაუწყია დავით კახთა მეფეს – ქეთევან წამებულის ქმარს და თეიმურაზ I-ის მამას (გარდაიცვალა 1602 წ.), მაგრამ დაბოლოება ვერ დასცალდა. ეს საქმე შემდეგ ანონიმმა ავტორებმა გააგრძელეს. ეს ნაწარმოები მარტო XVII-XVIII საუკუნეებში ხუთჯერ ითარგმნა. მის თარგმნას ღვაწლი დასდეს თვით ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანმა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ქილილა და დამანასადმი“ ინტერესი ამ პერიოდში დიდი იყო.

ე.ი. დღევანდელი მონაცემების მიხედვით „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანი XVII საუკუნეზე ადრეული პერიოდისა არ მოგვეპოვება. სულხან-საბა ორბელიანსაც თავისი „სიბრძნე სიცრუისა“ XVII საუკუნის ბოლოს შეუქმნია. კ. კეკელიძის აზრით, ეს ნაწარმოები უნდა დაწერილიყო სულხანის ბერად შედგომამდე, ე.ი. 1698 წლამდე (კეკელიძე, 1981, გვ. 455). გ. ლეონიძის ვარაუდით კი ეს უნდა იყოს 80-იანი წლები – მწერლის სიტყაბუკის ხანა (ლეონიძე, 1957, გვ. XLVI).

თუ რა სახის ცვლილებები განიცადა ფოლკლორის ნიმუშმა ლიტერატურის ამ ორ ძეგლში, ეს შემდგომი კვლევის საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მთელი რიგი საინტერესო გამოკვლევები არსებობს. მათ რომ ხალხური სიტყვიერება უდევს საფუძვლად, ამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება. ს.ს. ორბელიანის შემოქმედების შესახებ კ. კეკელიძე წერს: „რაც შეეხება იგავ-არაკებს, არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულიდან

ამოღებული არ უნდა იყოს. ისინი ამოღებულია, მართლაც, ხალხის წიალიდან " (კეკელიძე, 1981, გვ. 456). ალ. ბარამიძის აზრით, „ს.ს. ორბელიანის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ფოლკლორი“ (ბარამიძე, 1940, გვ. 272). მ. ჩიქოვანი ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ წარმოადგენს აღორძინების ხანის ღირსშესანიშნავ ძეგლს, რომელშიც ქართულმა ზღაპრულმა ეპოსმა ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა. მწერალმა თავისი გეგმის განსახორციელებლად ბრწყინვალედ გამოიყენა ხალხური ფანტასტიკური მოთხრობები: ჯადოსნური, ნოველისტური და ცხოველთა ზღაპრები. „სიბრძნე სიცრუისა“ გამშვენიერებულია მოკლე ლეგენდებითა და ანეკდოტებით, ანდაზებითა და აფორიზმებით, რომლებიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული ხალხში“ (ჩიქოვანი, 1938, გვ. XXVI). ა. ცანავას დაკვირვებით: „ს.ს. ორბელიანი, როგორც უაღრესად განსწავლული და მოაზროვნე ადამიანი, უდავოდ გრძნობდა ხალხური შემოქმედების მნიშვნელობასა და შესწავლის აუცილებლობას. როგორც ჩანს, იგი უშუალოდ იწერდა ხალხური გონებამახვილობის ნიმუშებს, თავისებურად ამუშავებდა და აძლევდა იგავ-არაკების კრებულებისათვის დამახასიათებელ სიუჟეტურ და მხატვრულ გააზრებას (ცანავა, 1959, გვ. 95).

ამავე პერიოდს ეკუთვნის ეზოპეს იგავ-არაკთა ქართული თარგმანიც, რომელიც უშუალოდ ბერძნულიდან არის შესრულებული. მისმა რამდენიმე ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. თითოეული მათგანი შეიცავს 40 არაკს. ამ არაკთა თარგმნას კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი და ს. იორდანიშვილი XVII- XVIII საუკუნეს მიაკუთვნებენ (კეკელიძე, 1981, გვ. 481; ყაუხჩიშვილი, 1950; ეზოპე, 1944, გვ. 3). ვ. ბააკაშვილი აზუსტებს ამ თარიღს და თვლის, რომ თარგმანი შესრულებულია XVIII ს-ის I ნახევარში, არა უადრეს 1726 წლისა (ბააკაშვილი, 1959, გვ. 223). მაგრამ ქართველები ეზოპეს არაკს უფრო ადრეც იცნობდნენ და შესაძლოა უფრო ძველი თარგმანი ჩვენამდე არ მოღწეულა (იქვე, გვ. 216).

იგავ-არაკული ჟანრის თხზულებას წარმოადგენს „მელის წიგნიც“, რომელიც XVII ს. ჩამოყალიბდა სომხურ ენაზე ვარდან აიგეკელის თხზულებათა საფუძველზე. „მელის წიგნის“ ქართული თარგმანი არ არის მაღალი დონის, ის ეკუთვნის იოანე პენტელაშვილს და შესრულებულია XVIII საუკუნის ბოლოს (1798 წ.). ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, ვარდანისეული არაკები ჩვენში

გაერცელებული ყოფილა ზღაპრისა და ანდაზების სახით, ვიდრე მას ქართულად თარგმნიდნენ (ყუბანეიშვილი, 1949, გვ. 228).

ამ ნაწარმოებებში ცხოველთა ეპოსს განსაკუთრებული ადგილი უკავია: „ქილილა და დამანას“ და ეზოპეს იგავთა პირველი წყარო შორეული ქვეყნების ფოლკლორია; „მელის წიგნს“ – მეზობელი სომეხი ხალხის, „სიბრძნე სიცრუისას“ კი ქართველების ზეპირსიტყვიერება უდევს საფუძვლად. ორბელიანისეული იმ 34 არაკის გარდა, რომლის პარალელებიც ა. ცანავამ ქართული ხალხური მახვილსიტყვაობის ნიმუშებში დაძებნა, კიდევ რვა არაკს ეძებნება პირდაპირი პარალელი ცხოველთა ეპოსის ნიმუშებში. ესენია:

1. „ბერად შემდგარი მელა“ (ორბელიანი, 1957, გვ. 22) – ელ. ვირსალაძის მიერ შედგენილ ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელში შესატყვისი სიუჟეტის ნომერია – 61 I A (ვირსალაძე, 1961).

2. „სოფლის მაშენებელნი“ (იქვე, გვ. 25) – სიუჟ. № 61 III A.

3. „ენით დაკოდილი“ (იქვე, გვ. 28) – სიუჟ. № 163 I.

4. „ნალბანდი მგელი“ (იქვე, გვ. 43) – სიუჟ. № 122 A.

5. „აქლემი და ვირი“ (იქვე, გვ. 51) – სიუჟ. № 217 I.

6. „კაცი და გველი“ (იქვე, გვ. 112) – სიუჟ. № 154.

7. „მელი და წერო“ (იქვე, გვ. 72) – სიუჟ. № 60.

8. თხა და მელი“ (იქვე, გვ. 131) – ფ.არქ. № 21113 „თხა და მელა“.

(ეს სიუჟეტი საძიებელში არ არის შეტანილი).

სულხან-საბა ორბელიანის იგავთაგან კიდევ ექვსი შექმნილია ცხოველთა ზღაპრის მოტივებზე, ესენია:

1. „ბნელეთის პირს მსახლობელი და ქაჯი“ (ორბელიანი, 1957, გვ. 95) – სიუჟეტი № 222 C.

2. „უგუნური მცურავი“ (იქვე, გვ. 10) – სიუჟეტთა საძიებელში ეს მოტივი არ გვხვდება. მსგავსია ზღაპრისა „მელამ არ მოუცადა ღმერთს“, დაბეჭდილია კრებულში „ქართული (აჭარული) ზღაპრები“, № 3.

3. „ცხრილიანი კაცი“ (იქვე, გვ. 10) – სიუჟ. № 170 A.

4. „მელი და მწევარი“ (იქვე, გვ. 135) – სიუჟ. № 61 I A.

5. „კატის გაზრდილი ლომი“ (იქვე, გვ. 134) – სიუჟ. № 105.

6. „ყარყატთა სამართალი“ (იქვე, გვ. 76) – სიუჟ. № 237 I.

ზევით ჩამოთვლილ არაკთა გარდა ორბელიანისეული კიდევ ოთხი არაკი უნდა იღებდეს სათავეს ცხოველთა ზღაპრებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მათი პარალელები ქართულ ზღაპრებში არ

ჩანს. ეს არაკებია: „კუ და მორიელი“ (ორბელიანი, 1957, გვ. 65), „ქორი და იხვი“ (იქვე, გვ. 148), „იხვი და მყვარი“ (იქვე, გვ. 148) და „ძალლი და მგელი“ (იქვე, გვ. 145).

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურული ძეგლი XVII-XVIII ს. განეკუთვნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში თითოეული მათგანის ოთხი-ხუთი თარგმანია შესრულებული, დავინახავთ, რა პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში ამ დროისათვის იგავ-არაკული ჟანრი. ამ საერთო ინტერესის გათვალისწინებით, საკმაოდ ბუნებრივი ჩანს ქართული ზღაპრის პირველი ჩანაწერების სწორედ ამ პერიოდში გამოჩენა. ყოველივე ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, თითქმის XVII საუკუნემდე ქართული მწერლობა არ იცნობდა, ან არ იყენებდა იგავ-არაკს.

თორნიკე ჭყონია თავის ნაშრომში „იგავ-არაკული ჟანრის საწყისები უძველეს ქართულ ლიტერატურაში“ აღნიშნავს, რომ იგავ-არაკები და იგავები პირველად შემოვიდა ქართულ წერილობით ძეგლებში ბიბლიის ქართული თარგმანის მეშვეობით. ისინი გვხვდება, აგრეთვე, ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ ძეგლებში, ზოგჯერ ეპისტოლეებშიც (ჭყონია, 1949, გვ. 269).

არაერთი სასულიერო მწერალი იყენებდა თავის შემოქმედებაში წარმართული ხანის თქმულებებს. მაგალითად, ბასილი დიდს (IV საუკ.) ეზოპეს ერთ-ერთი იგავ-არაკის ვრცელი შინაარსი აქვს გამოყენებული (იქვე, გვ. 269). ადრეული პერიოდის კიდევ ორი იგავი, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან, აქვს მიკვლეული თ. ჭყონიას და წერს, რომ: „XI საუკუნიდან იგავ-არაკული ჟანრი თავს იჩენს საერო მწერლობაში; მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს ვახტანგ გორგასალის ისტორიაში შეუტანია ორი იგავი: „ყვავისა და ქორის“ და „თხუნელას“ შესახებ“ (იქვე, გვ. 288).

მართალია, ეს იგავნი ცხოველთა ზღაპრის ტიპიურ ნიმუშებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მათი აღნუსხვა ინტერესმოკლებული არ არის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგავ-არაკები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან, განსაკუთრებით პოპულარულნი XVII-XVIII ს. ყოფილან. ქართული მწერლობა მოგვიანებითაც იცნობს ცხოველთა ეპოსის ლიტერატურული გადამუშავების მშვენიერ ნიმუშებს. XIX საუკუნეში ბევრი ნაწარმოები შეიქმნა მათი გავლენით და ვხვდებით ისეთ მწერალთა შემოქმედებაში, როგორებიც არიან: გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ცახელი, იაკობ გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილმა გარდა იმისა, რომ შეკრიბა და ლიტერატურულად გადაამუშავა ქართული ფოლკლორის ნიმუშები, აგრეთვე, როგორც „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ შემდგენელმა დიდი ამაგი დასდო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა გამოქვეყნების საქმეს, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი ცხოველთა ზღაპარს ეკუთვნის. 1876 წ. „დედა ენაში“ ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრის 23 ნიმუშია დაბეჭდილი. როგორც ვიცით, ი. გოგებაშვილს ზოგჯერ მცირეოდენი შესწორება შეჰქონდა ხალხურ ტექსტში. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ გოგებაშვილისეული შესწორებით დამკვიდრდა შემდგომში „მოდი, ვნახოთ ვენახი“ და „რწყილი და ჭიანჭველა“ (ჩიქოვანი, 1975, გვ. 254-255). ამ უკანასკნელის ხალხური პერსონაჟი კუტკალია მხოლოდ ბებურის გამოცემაში გვხვდება (ნენუპ, 1884, გვ. 25). გოგებაშვილი, ბავშვთა აღზრდის საქმეში ანიჭებდა რა იგავ-არაკს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, „დედა-ენაში“ მის საუკეთესო ლიტერატურულ ნიმუშებსაც აქვეყნებდა. ს.ს. ორბელიანისა და XIX საუკუნის ქართველ პოეტთა გვერდით აქ ვხვდებით ეზოპესა და კრილოვის იგავენს. აქვეა რუსული, გერმანული, ბერძნული ხალხური ცხოველთა ეპოსის ნიმუშებიც.

როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის მკვლევარი თ. ჯიბლაძე აღნიშნავს, „XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით გაიზარდა საბავშვო იგავ-არაკთა რიცხვი. ქართულ საბავშვო პერიოდულ გამოცემებში თუ საყმაწვილო კრებულებში საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას იგავ-არაკთა ჟანრზე“ (ჯიბლაძე, 1959, გვ. 286), რაშიც მეცნიერი ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ გაელენას ხედავს. ამ პერიოდში სისტემატურად აქვეყნებდნენ ორიგინალურ და ნათარგმნ იგავენს: გ. სალარიძე (ახალციხელი), ალ. სარაჯიშვილი, მ. ლელაშვილი, თ. აღზაზიშვილი, ალ. მირიანაშვილი, ლ. აღნიაშვილი, ან. თუმანიშვილი-წერეთლისა და სხვები. ზოგიერთი მათგანი საბავშვო იგავ-არაკებს ცალკე წიგნადაც ცემდა (ჯიბლაძე, 1959).

საერთოდ 50-იანი წლებიდან ფართოდ იყო გაჩაღებული ფოლკლორის შეკრება, რომელიც ქვეყნდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ქართული პრესის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა: ხალხური ლექსები, სიმღერები, გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები და ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები. მათ შორის ვხვდებით ცხოველთა ეპოს-

საქ. XIX საუკუნის ბოლოს რვა დასახელების ჟურნალ-გაზეთში ამ ჟანრის სულ 25 ნიმუშია დასტამბული. ესენია: „მელიას ხრიკები“ – ნობათი, 1884, № 3, „მელა და მგელი“ – დროება, 1869, № 36, „მელა და ერკემალი“ – ჯეჯილი, 1890, № 1, „მელა და გლეხი“ – ჯეჯილი, 1890, № 2, „მელია და კაკაბი“ – ჯეჯილი, 1899, № 3, „მელა და პატარ-ძალი“ – ივერია, 1900, № 198, „იადონი და ბულბული“ – აკაკის კრებული, 1899, № IV, II და სხვა. ეს ზღაპრები ჩაწერილია: თ. რაზიკაშვილის, ალ. მაჩაბლის, პ. მირიანაშვილის და სხვათა მიერ.

ცხოველთა ზღაპარს ასევე მცირე ადგილი უკავია ამ დროის რუსულ პერიოდიკაშიც. მართალია, აქ ტექსტები რუსულად ქვეყნდებოდა, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа-ში ცხოველთა ზღაპრის რამდენიმე ნიმუში გვხვდება, მაგალითად, 1903 წელს № 32, II-ში დაბეჭდილია მ. ჯანაშვილის ჩაწერილი: „კოდლა, მელა და ყორანი“, „ლომი და კაცი“, „ბებერი მგელი“, „ციკნები და მგელი“, „ბელურა“, „მელას ოინები“.

მასალათა კრებულში აღნიშვნის ღირსია მ. მაშურკოს ჩანაწერები (არჯევანიძე, 1971, გვ. 90-92). მას საგანგებოდ შეუგროვებია განსაკუთრებული ტიპის ზღაპრები, რომლებსაც დღეს ეტიოლოგიურს ვუწოდებთ და ცხოველთა ეპოსს მიეკუთვნება. ამ ტიპის ზღაპართა თავისებურებაზე ფ. ზანდუკელმა შეაჩერა ყურადღება და აღნიშნა, რომ იგი მნიშვნელოვნად ატარებს თქმულებათა იერს (ზანდუკელი, 1977, გვ. 89-119). ეს ზღაპრები გამოირჩევა სიძველით და ადამიანის ფანტაზიის გამოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მათში ახსნილია ამა თუ იმ არსებისა თუ მოვლენის წარმოშობის მიზეზი. მ. მაშურკო იყო ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი. მასალების ნაწილი თვითონ ჩაუწერია, ნაწილი კი მისთვის მიუწოდებიათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებს. შესაბამისად ეს ნიმუშები ამ გუბერნიებშია შეგროვებული (Машурко, 1894, გვ. 228-410). „მასალათა კრებულში“ ამ ტიპის 16 ნიმუშია მოცემული.

XIX საუკუნის ბოლოს (1895 წ.) გამოვიდა ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფია – ალ. ხახანაშვილის „Очерки по истории грузинской словесности“. ამ ნაშრომში მოცემულია ზღაპართა კლასიფიკაცია, ესაა: 1. მითოლოგიური ზღაპრები, რომლებშიც ჭარბობს ფანტასტიკური, სასწაულებრივი საწყისი; 2. საყოფაცხოვრებო ზღაპრები, რომლებ-

შიაც მთავარი ადგილი ეკუთვნის ადამიანის ზნეობრივ ღირსებათა გამოსახვას; 3. ცხოველთა ზღაპარი ან ცხოველთა ეპოსი (Хаханов, 1895, გვ. 76). ეს კლასიფიკაცია არ იყო ახალი, ის მომდინარეობდა 90-იანი წლების ფოლკლორისტების შეხედულებიდან.

ალ. ხახანაშვილი აქ შეეხო ცხოველთა ეპოსის წარმოშობის საკითხს. მეცნიერი თვლიდა, რომ ცხოველთა ეპოსი შეიქმნა იმ ეპოქაში, როცა პირველყოფილი ადამიანი ასულიერებდა მთელ ბუნებას, თავის მსგავსად თვლიდა იმ ცხოველებს, რომლებთანაც მას უწევდა ბრძოლა. ცხოველთა ყოფაზე ახლო დაკვირვების შემდეგ, ადამიანი ველარ გრძნობდა მათ მიმართ რელიგიურ შიშს და ცხოველთა მითები გადავიდა ზღაპარში. ძველ ზღაპარში ცხოველები არ წარმოადგენენ ადამიანთა ალეგორიულ სახეს, მოგვიანო იგავთა მსგავსად, პირიქით, ისინი ინარჩუნებენ მათი ბუნებისთვის დამახასიათებელ ინსტიქტებს, ადამიანურ თვისებებთან და მოქმედებებთან ერთად შერწყმულს (Хаханов, 1895, გვ. 105).

ცნობილი ქართველი მწერალი ვ. ბარნოვი თავისი ფოლკლორული ლექციების კურსში (ბარნოვი, 1964, გვ. 255) ამ ციკლის ზღაპრებს უწოდებს ზღაპრებს პირუტყვთა შესახებ და თვლის, რომ ისინი უძველეს დროშია შექმნილი, როდესაც ხალხი ნადირობასა და საქონლის მოშენებას მისდევდა. ზმირი კონტაქტის წყალობით აკვირდებოდა ადამიანი ცხოველთა ცხოვრებასა და ხასიათს, რაც შემდეგ ზღაპარში ისახებოდა. ეს ზღაპრები არ არის იგავ-არაკები, რომლებშიაც ნართაული თქმაა და პირუტყვთა სახით ადამიანები არიან გამოყვანილნი. მათში პირდაპირ ხატავენ პირუტყვთა ცხოვრებას სწორედ ისე, როგორც სჯეროდა მაშინ ხალხს (ბარნოვი, 1964, გვ. 246).

ქართულ ხალხურ ზღაპრებზე რევოლუციამდელი პერიოდის ამ გამოკვლევების გარდა საინტერესოა ერთი შრომაც, რომელსაც მ. ჩიქოვანმა ნ. მარის არქივში (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, 800, № 638) მიაკვლია. „შენიშნად“ წოდებული ეს ნაშრომი წარმოადგენს თ. რაზიკაშვილის ქართული ტექსტების (1909 წლის გამოცემის) მოკლე განხილვას. თუმცა შრომა ხელმოუწერელია, მ. ჩიქოვანის ვარაუდით, ის თ. რაზიკაშვილს ეკუთვნის და შესრულებულია კრებულის გამოსვლის პირველსავე ხანებში.

ნაშრომის ავტორი იძლევა კრებულში დასტამბულ ზღაპართა დაჯგუფება-კლასიფიკაციას. 107 ზღაპარი 5 ციკლად არის დაყოფილი: 1. საყოფაცხოვრებო, 2. მითოლოგიური, 3. მხეცების, 4.

საგმირო და 5. ბილინური ციკლები<sup>1</sup>. ცხოველთა ეპოსის ანუ მხეცთა ციკლში 14 ზღაპარია შესული. ესენია: „დათვი და მელა“, „მგლის ბერად შედგომა“ „მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი“ და სხვა. ეს მიკუთვნება ეჭვს არ იწვევს და დასახელებული ტექსტები ძირითადად მ. ჩიქოვანმაც ამავე ჯგუფში შეიტანა 1938 და 1963 წლების გამოცემებში.

რევოლუციის შემდეგ, 1925 წ., გამოვიდა თ. ბეგიაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ სახელმძღვანელოს I ნაწილი, სადაც ქართული ხალხური სიტყვიერებაა განხილული. ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მეცნიერი მთლიანად იზიარებს ალ. ხახანაშვილის პოზიციას (ბეგიაშვილი, 1925, გვ. 112-128).

ზღაპრის ახლებურ კლასიფიკაციას, რომელიც არსებითად განსხვავდება ადრინდელისაგან, გვაძლევს მ. ჩიქოვანი. აქ ზღაპრის ექვს ქვეჯგუფს ვხვდებით, ესენია: 1. ცხოველთა ეპოსი, 2. მისნური ანუ ჯადოსნური ზღაპარი, 3. საყოფიერო-ნოველისტური ზღაპარი, 4. საგმირო ზღაპარი, ანუ საგმირო ეპოსი, 5. ლეგენდები, 6. ანეკდოტები (ჩიქოვანი, 1938, გვ. XLIV).

მეცნიერის აზრით, ცხოველთა ეპოსის წინა რიგში დაყენება ნაკარნახევია ჟანრის სიძველით (ჩიქოვანი, 1946, გვ. 286). მართალია, ამ ქვეჟანრის პირველადობას ყველა მკვლევარი არ იზიარებს (ლლონტი, 1956, გვ. 29), მაგრამ ის ეპიურ ჟანრთა შორის, მართლაც, ყველაზე ძველია. მისი სათავე ტოტემიზმსა და ანიმიზმში უნდა ვეძებოთ. პირველყოფილი ადამიანი თავის მაზლობლად მყოფ ცხოველებს ადამიანურ თვისებებს მიაწერს და თავის ნათესავად მიიჩნევს. ადამიანი აკვირდება ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანებთან კავშირს და აღწერს მას. ასე იქმნება პირველი მარტივი ამბავი ცხოველთა მონაწილეობით, რომელიც მერე ნაირსახევდება და ამჟამად მას ცხოველთა ეპოსს ვუწოდებთ (ჩიქოვანი, 1946, გვ. 287).

ამ სახის ნაწარმოებთა ფანტასტიკა თავისებურია. მასში წარმოსახვის საშუალებით მოცემულია ცხოველის რეალური სახე, ნამდვილი ჩვევები და ყოფა (იქვე, გვ. 288). მ. ჩიქოვანი გვაძლევს ქართული ცხოველთა ეპოსის პირველ მხატვრულ ანალიზს.

---

<sup>1</sup> ეს შრომა განხილულია მ. ჩიქოვანის „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიის“ მიხედვით, თბ., 1975 წ., გვ. 307.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს (ჩიქოვანი, 1938, გვ. XLV-L): ცხოველთა ეპოსი ნაწარმოების აგების, მხატვრული კომპოზიციის თვალსაზრისით მარტივია. ეს გამოწვეულია მასში ეპიზოდების რიცხვის, მოქმედი გმირების სიმცირით და მინიმუმამდე დაყვანილი წარმოსახვის საშუალებებით. მკვლევარი გვაძლევს ზღაპრის პერსონაჟთა დახასიათებასაც, რომელთა მიხედვითაც გამოყოფს ცხოველთა ეპოსის ქვეჯგუფებს. ესენია: ამბები მელას შესახებ, სხვა გარეული ცხოველები, გარეული და შინაური ცხოველები, ადამიანი და გარეული ცხოველები, ადამიანი და შინაური ცხოველები, ფრინველები და სხვა (ჩიქოვანი, 1946, გვ. 289).

ქართული ხალხური ცხოველთა ეპოსის შესწავლის საქმეში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება. მას ეკუთვნის ცხოველების შესახებ ზღაპრების სიუჟეტური საძიებლის შედგენა აარნე-ანდრეევის სისტემის მიხედვით (ვირსალაძე, 1961). ამ საძიებლიდან ჩანს, რომ ქართულ ფოლკლორში ცხოველთა ეპოსი საკმაოდ მდიდრად არის წარმოდგენილი. ფიქსირებულია სულ 80-მდე ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტი. ქართულ ფოლკლორში არსებულიდან 30 სიუჟეტი აარნესა და ანდრეევის კატალოგებში არ არის დაფიქსირებული; დაახლოებით ამდენივეა ცნობილი სიუჟეტების ორიგინალური ქართული ვარიაცია (ვირსალაძე, 1960, გვ. 384). გარდა ამ საინტერესო შრომისა, ელ. ვირსალაძე ზოგადად ზღაპრისადმი მიძღვნილ გამოკვლევაშიც ეხება ცხოველთა შესახებ ზღაპრებს. ტრადიციისამებრ ელ. ვირსალაძეც მათ ზღაპრის ერთ-ერთ არქაულ სახეობად თვლის, რომელშიც სწორედ ეს საფეხური აღიბეჭდა ადამიანის ისტორიისა. მისი მთავარი პერსონაჟი ცხოველია და არა ადამიანი, რომელიც მათთან შედარებით სუსტია და პასიური (იქვე, გვ. 381). მეცნიერის აზრით, ამ ზღაპარში არ არის შეცნობილი პრინციპული განსხვავება ადამიანსა და ბუნებას შორის და თუ ცხოველები ემსგავსებიან ადამიანს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებთან გაიგივებულები არიან (იქვე, გვ. 383).

საგანგებოდ ჩერდება ცხოველთა ეპოსზე ა. ცანავა, იხილავს რა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში სატირისა და იუმორის საკითხს. ქართულ ხალხურ პროზაში ცხოველთა ეპოსს ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს მეცნიერი საკუთრივ სატირულ ზღაპართან ერთად. მათში სატირა და იუმორი ჩნდება იმ პერიოდიდან, როდესაც კლასობრივ საზოგადოებაში ცხოველზე შექმნილმა ზღაპარმა მიიღო ალეგორიული გაგება, იგავ-არაკის

სახე. სხვანაირად არც შეიძლება, რადგანაც როგორც მეცნიერი წერს: ადრე, როცა ადამიანი თავის თავს ცხოველისაგან არ გამოყოფდა, და განსაკუთრებით ცხოველთა ტოტემიზმის ფორმირების ეპოქაში, შეუძლებელია დაისვას საკითხი სატირისა და იუმორის შესახებ (ცანავა, 1960, გვ. 4). იგავ-არაკს ა. ცანავა ცხოველთა ეპოსის მნიშვნელოვან სახედ თვლის, რომელსაც საფუძვლად უდევს მოწინააღმდეგის, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა გაკიცხვის, დაცინვის შენიღბული, ალეგორიული ფორმა (იქვე).

ცხოველთა ზღაპრის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ფ. ზანდუკელის შრომებს. მეცნიერი, იხილავს რა საბავშვო ფოლკლორის საკითხებს, ჩერდება ცხოველთა ზღაპარზე. მის გამოკვლევებში „ცხოველთა ეპოსის სტრუქტურის საკითხები“ (ზანდუკელი, 1977, გვ. 89-119) და „ცხოველთა ეპოსის სტილური თავისებურებანი“ (ზანდუკელი, 1980, გვ. 34-53) ვრცლად არის განხილული ცხოველთა ეპოსის სტრუქტურისა და სტილის საკითხი. მკვლევარს ამ მხრივ სპეციალურად შეუსწავლია ზღაპარი და მიღებული დასკვნები ნათელს ჰყენს ამ ჟანრის მთელ რიგ თავისებურებებს.

ფ. ზანდუკელი, განიხილავს რა ამ ნაწარმოების სტრუქტურას, სპეციალურად ჩერდება: ზღაპრების სათაურებზე, პერსონაჟების სახელებზე, კომპოზიციურ ელემენტებზე, როგორებიც არის: ზღაპრის დასაწყისი, დასასრული, დიალოგი, ჩანართები, განმეორება. ცხოველთა შესახებ ზღაპრის პერსონაჟთა დახასიათებისას, მეცნიერი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს მათ გაადამიანურებაზე, ან უფრო ზუსტად, სინამდვილის წარმოჩენისას ადამიანთა გრძნობებისა და განცდების განსხვავებაზე (ზანდუკელი, 1977, გვ. 25-31), რის გამოც მკვლევარი ასკვნის, რომ ამგვარ ნაწარმოებში ნამდვილი სუბიექტია არა ცხოველი, არამედ-მთქმელი, მთხრობელი, ის, ვინც ამბავს გადმოგვცემს. ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟთა ადამიანურ თვისებებს ფოლკლორისტები ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ პირველად ფ. ზანდუკელმა გვიჩვენა, რომ ქართული ცხოველთა ზღაპრის სტილურ თავისებურებათა მეტი ნაწილი აქედან მომდინარეობს.

ქართული ცხოველთა ზღაპრის შესწავლის ისტორიისათვის საინტერესოა, აგრეთვე, თ. ქურდოვანიძის გამოკვლევა „ქართული კუმულაციური ზღაპარი“ (ქურდოვანიძე, 1980). აქ მკვლევარი ცალკე ჯგუფად გამოყოფს და განიხილავს კუმულაციურ ზღაპრებს, სადაც

შევიდნენ ისეთი ზღაპრებიც, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან, მაგალითად: „რწყილი და ჭიანჭველა“, „თხა და ვენახი“, „მგლის ბერად შედგომა“, „ღამურა და ბალახი“, „კაცი, ტურა, მელია, კატა, დათვი და მგელი“, „ჩარეკა“ და სხვა.

როგორც უკვე ვნახეთ, ცხოველთა ზღაპარს ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, სხვა ხალხთა ფოლკლორის მსგავსად, მოკრძალებული, მაგრამ საპატიო ადგილი ეკუთვნის. ის სიუჟეტური მრავალფეროვნებით და ვარიანტულობით სხვა სახის ზღაპრებს ჩამოუვარდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ცხოველთა ზღაპარი უძველესია პროზის სხვა ჟანრთა შორის და მისი აქტუალობა თანდათან კლებულობს, რაც მის გავრცელებაზეც მეტყველებს.

საერთოდ, ცხოველთა ზღაპრის შეკრების საქმეში XIX საუკუნიდან მოყოლებული მონაწილეობა მიუღია მეტ-ნაკლებად ყველას, ვისაც ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი ზრუნვის საქმეში მიუძღვის დამსახურება. ბოლოს შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქართული ცხოველთა ზღაპრის შეკრება-შესწავლა ფოლკლორის სხვა ჟანრთა პარალელურად ხდებოდა. მას იკვლევდნენ: როგორც ზღაპრის ერთ-ერთ სახესხვაობას ზღაპრის საერთო განხილვა-დახასიათებისას; როგორც ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში სატირისა და იუმორის გამოვლენის ერთ-ერთ სფეროს; როგორც საბავშვო ფოლკლორის შემადგენელ ნაწილს; ცხოველთა ზღაპარი განხილულია, აგრეთვე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშთა ცალკეული მოტივების ერთ-ერთი პირველწყარო და ბოლოს ელ. ვირსალაძემ შეადგინა საკუთრივ ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 1985 წ., საიდანაც უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული საკითხები გადატანილ იქნა ჩვენს წიგნში „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“, თბ., 2004 (ყველგან გაკეთებულია სათანადო მითითება) და ამდენად მათზე აქ აღარ შევჩერდებით. გარდა ამ ცვლილებისა, ნაშრომში მხოლოდ სარედაქციო ხასიათის ჩასწორებებია შეტანილი.

## ზღაპრული ეპოსის ზოგადი მიმოხილვა

ზღაპარი ეპიკურ პროზაულ ჟანრს განეკუთვნება გადმოცემებთან და ლეგენდებთან ერთად. ზღაპრის, უმეტესად ჯადოსნური ზღაპრის, შესწავლა კარგა ხანია მეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. მის კვლევას არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიეძღვნა. ზღაპრის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, მრავალი ბურუსით მოცული მოტივი და სიუჟეტი ახსნილია და განმარტებული. მიუხედავად ყოველივე ამისა, დღესდღეობით არ არსებობს ზღაპრის სრულყოფილი განსაზღვრება და არ არის დადგენილი მისი, როგორც ჟანრის, გამოკვეთილი თავისებურებანი.

ზღაპრის ძირითადი ნიშნის გამოყოფა ჯერ კიდევ ვ. ბელინსკიმ სცადა. მან იმ გარემოებაზე შეაჩერა ყურადღება, რომ ზღაპარში მონათხრობის რეალურობა არც შემსრულებელს და არც მსმენელს არ სჯერა (Белинский, 1954, გვ. 664).

ფოლკლორულ ნაწარმოებს, როგორც ვ. პროპი მიუთითებს, ერთ ჟანრად აერთიანებს სამი ძირითადი მომენტი: პოეტური სისტემის ერთობა, საყოფაცხოვრებო დანიშნულება და შესრულების ხასიათი. ამასთანავე მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ ვერც ერთი ამ ნიშანთაგანი ცალკე აღებული ვერ განსაზღვრავს ჟანრს (Проп, 1976, გვ. 38).

ე. პომერანცევა ვ. პროპისეულ „საყოფაცხოვრებო დანიშნულებას“ ნაწარმოების ფუნქციას უწოდებს და ამ ნიშნის მნიშვნელობას საგანგებოდ უსვამს ხაზს: სწორედ ფუნქცია არის ერთი განმსაზღვრელთაგანი ჟანრის გაგებისა, მაგრამ, რასაკვირველია, არა ერთადერთი ნიშანი (Померанцева, 1977, გვ. 13).

მეცნიერება სულ უფრო უჭერს მხარს ჟანრის განსაზღვრებისათვის მისი ფუნქციის გამოყოფის აუცილებლობას. რა ითვლება ზღაპრის ფუნქციად, რის მიხედვითაც გამოვყოფთ ამ ჟანრს? აქ მეცნიერებს ერთი აზრი არა აქვთ, რამეთუ ვერ დადგენილა ისეთი კონკრეტული ფუნქცია, რომელიც მხოლოდ ზღაპრისათვის იქნებოდა დამახასიათებელი და სხვა ჟანრებშიც არ იჩენდა თავს.

ე. პომერანცევა თვლის, რომ ზღაპართა საკმაოდ განსხვავებულ სახეებს აქვს ერთი საერთო ნიშანი, მათი განმასხვავებელი მომიჯნავე ჟანრებისაგან. ეს დამახასიათებელი ნიშანი გამონაგონის როლია

ზღაპარში (Померанцева, 1971, სვეტი 880). ზღაპრის ე.ვ.პომერან-ცევასეული განსაზღვრების ერთ ნაკლთაგანად ის ითვლება, რომ მეცნიერი არ აზუსტებს, რა მნიშვნელობას დებს სიტყვაში „გამონაგონი“ (Кравцов, 1973, გვ. 74). ფოლკლორისტიკის სხვა მკვლევარნი, მაგალითად: ლ.გ.ბარაგატი (Барагат, 1966, გვ.18), კ.ვ.ჩისტოვი (Чистов, 1964, გვ. 5-6) არ იზიარებენ მოსაზრებას, ზღაპრის ფუნქციად გამონაგონზე დაყრდნობა ჩაითვალოს, რამდენადაც შემოქმედებითი გამონაგონი სხვა ჟანრებშიც შეიმჩნევა. ის ხელოვნების ყველა დარგისათვის არის დამახასიათებელი. ვ.პ. ანიკინი ეკამათება რა ასეთ განსაზღვრებას, გვთავაზობს – ზღაპრის ჟანრული განმასხვავებელი თავისებურება ვეძებთ გამონაგონის ხასიათში „რეალობასთან ურთიერთობის, ისტორიული წარმოშობის და ნაწარმოების იდეურ მხატვრული ფუნქციის თვალსაზრისით“ (АНИКИН, 1971, გვ. 102). დაახლოებით ასეთსავე ფორმულირებას აძლევს თავის თვალსაზრისს ს.ნ. აზბელევიც (Азбелев, 1965, გვ. 5-25).

სხვა მეცნიერებიც მიუთითებდნენ ზღაპრის, როგორც ჟანრის დამახასიათებელ ნიშნებზე. მაგალითად, ბ.მ. სოკოლოვი ამ ჟანრის განსაზღვრებისას ძირითად ნიშნად თვლიდა „თავშესაქცევობას“ (Соколов, 1930, გვ. 3); ა.ი. ნიკიფოროვის აზრით, „ზღაპარი ეს არის ზეპირი მოთხრობა ხალხში გავრცელებული გართობის მიზნით“ (Никифоров, 1930, გვ. 7-55). ჯადოსნურ ზღაპართან დაკავშირებით ი.მ. სოკოლოვი და ე.ა.ტუდოროვსკაია შინაარსის ფანტასტიკურობას თვლიდნენ ძირიად ნიშნად (Соколов И., 1941, გვ. 292-373; Тудоровская, 1965, გვ. 57-66). მ. ჩიქოვანი (ჩიქოვანი, 1946, გვ. 283) და ელ. ვირსალაძე (ვირსალაძე, 1960, გვ. 366) ზღაპარს განმარტავენ, როგორც ზეპირ ფანტასტიკურ მოთხრობას.

ევროპელ მეცნიერთაგან: ჟანეტ ბეკონი თვლიდა, რომ ზღაპარი მთლიანად წარმოსახვის პროდუქტია (Bacon, 1925, გვ. 3-5); ჯ. ფრეზერის სიტყვებით, ზღაპარი წარმოადგენს „წმინდა გამონაგონს“, რომელსაც აქვს მხოლოდ მსმენელის გართობის მიზანი და არა დამრიგებლობითი (Frazer, 1921, გვ. VII-I).

ამ ჟანრის სპეციფიკას განსაზღვრავენ სიუჟეტის აგების თავისებურების მხრივაც (რ.მ.ვოლკოვი, ვ.ი.პროპი, ე.მ. მელეტინსკი) (Волков, 1924; Пропп, 1969; Мелетинский, 1969).

ნ.ი.კრავეცოვის შეხედულებით, არც გამონაგონი საერთოდ და არც ფანტასტიკა, როგორც მისი სახესხვაობა, არ შეიძლება იყოს ჟანრის შემქმნელი ნიშან-თვისება (Кравцов, 1973, გვ. 75). ფოლ-

კლორული პროზის სხვა ჟანრებისაგან განსხვავებით ზღაპარი გამოირჩევა მკვეთრად გამოკვეთილი ესთეტიკური ფუნქციით (იქვე, გვ. 84). ვთქვათ, ინფორმაციულისაგან განსხვავებით. ზღაპარი სხვა პროზაული ჟანრებისაგან განსხვავდება საკმაოდ განვითარებული ესთეტიკური მხრით. „გამონაგონზე დაყრდნობა“ იღებს ზღაპარში ესთეტიკურ ფუნქციას (Ведерникова, 1975, გვ. 23). მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებისა, ზღაპრული პროზის ყველა სახესხვაობაში: ცხოველთა, ჯადოსნურ და ნოველისტურ ზღაპრებში დომინირებს ესთეტიკური ფუნქცია, სწორედ ის აერთიანებს მათ, აძლევს რა პოეტური გამონაგონის ხასიათს (პომერანცევა). ჩვენი აზრით, „ესთეტიკური ფუნქცია“ ძალიან ზოგადი ცნებაა, ის ჭეშმარიტი ხელოვნების ყოველ ნიმუშს ახასიათებს და ამდენად ზღაპრის გამოსარჩევად ვერ გამოდგება.

ზღაპრის განსაზღვრა გასართობობით, გამონაგონზე დაყრდნობითა და ესთეტიკური ფუნქციით ზღაპრისადმი მხოლოდ დღევანდელმა დამოკიდებულებამ შეიძლება განაპირობოს. დღეს ზღაპარს, მართლაც, ზევით ჩამოთვლილი სამივე ფუნქცია ახასიათებს, მაგრამ მხოლოდ მათზე დაყრდნობა ამ ჟანრის სპეციფიკაზე სრულ წარმოდგენას მაინც ვერ მოგვცემს. ქს. სიხარულიძის სამართლიანი შენიშვნით: „ზღაპრები პირველად გასართობად არ შექმნილა. მათ ერთგვარი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ. ესთეტიკური ფუნქცია ზღაპარმა, ისე როგორც სიმღერამ, თანდათანობით შეიძინა“ (სიხარულიძე, 1970, გვ. 140). როგორც ვიცით, ხალხური ნაწარმოების ფუნქცია ცვალებადი მოვლენაა, ის განისაზღვრება დროით, ადგილით, შესრულების პირობებით, დამოკიდებულია ნიჭიერების ხარისხზე და შემსრულებლის შემოქმედებით ხასიათზე (Померанцева, 1977, გვ. 15).

აღნიშნული პრობლემის გასარკვევად საჭირო იქნება, შეძლებისდაგვარად, ზღაპრის უძველესი ფუნქციის მოძებნა. ქს. სიხარულიძე ეყრდნობა რა დ. ზელენინის (Зеленин, 1934) და ნ. ანდრეევის (Андреев, 1938) გამოკვლევებს, მონადირეთა ყოფაში ზღაპრის ფუნქციად ტყის სულებისა და ცხოველების მოზიდვასა და გართობას თვლის (სიხარულიძე, 1958, გვ. 249). ელ. ვირსალაძის აზრით, ზღაპრის მთავარი დანიშნულება ძველთაგან ადამიანის შრომითი გამოცდილების განზოგადებასა და მხატვრულ ასახვაში მდგომარეობს. „ბუნებასთან, ექსპლოატაციასთან ბრძოლაში თავის ფუნქციას ასრულებდა ზღაპარი“ (ვირსალაძე, 1960, გვ. 382-383).

ზღაპრის ფუნქციის მაგიური დანიშნულებით შემოფარგვლა არ უნდა იყოს მართებული. სიუჟეტური ქარგა, მხატვრული გადმოცემის მრავალფეროვნება ზღაპრის გაცილებით უფრო რთული ფუნქციის შემსრულებელ ნაწარმოებად გვისახავს. შრომის გამოცდილების განზოგადებაც არ უნდა იყოს ის არსებითი ნიშანი, რაც ზღაპრის საუკუნო არსებობას უმკვიდრებს.

გარკვეულად განსხვავებული იქნება ზღაპრის ქვეყანათა ფუნქციებიც.

როგორც ვიცით, სპეციალისტები უმთავრესად ზღაპრის სამ სახეობას ასხვავებენ. ესენია – ცხოველთა, ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრები. ისინი კაცობრიობის განვითარების სრულიად სხვადასხვა ეტაპებზე შეიქმნა – განსხვავებული სოციალური ურთიერთობის, აზროვნების დონისა და მსოფლმხედველობის პირობებში.

ჩვენს ინტერესთა სფეროს ამჯერად მხოლოდ ცხოველთა ეპოსი შეადგენს და შესაბამისად მხოლოდ მის თავისებურებებში გარკვევის სურვილით შემოვიფარგლებით. როგორც ვიცით, ცხოველთა ზღაპრებში ცხოველთა მეტოქეობისა და ქიშპობის მთავარი მიზეზი საკვების მოპოვებაა. ერთ-ერთი მათგანი, მხოლოდ იმიტომ, რომ „ძმობილს“ ნადავლის კუთვნილი წილი არ არგუნოს, დაუნდობელ მუხანათობასაც კი არ ერიდება. მაგალითად: „...მელამ დათვს ჯერ თვალები დაუვსო, მერე დაგორებული კვახის ხმაზე კლდიდან გადაჩეხა“ (უმიკაშვილი, 1964, გვ. 283-285); „მელიამ გახურებული შამფურებით დააჭრელა მგელი. შამფურებს სულ შიშინი გაჰქონდა სისხლში“ („დათვის, მგლისა და მელიას ამბავი“ – ლლონტი, 1974, გვ. 391); ან მოხერხებულმა მწყერჩიტამ თავის გადარჩენის მიზნით არ დაინდო გაუმაძღარი მელია – „აიცდინა სახრე, მოხვდა მელიას შიგ თავში და შუაზე გაუტეხა“ („მელია და მწყერჩიტა“ – იქვე, გვ. 380); კურდღლის მოტყუებული ლომი კი ჭაში ჩახტა მტრის დასასჯელად, „მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგ ჩაიხრჩო“ („ლომი და კურდღელი“ – იქვე, გვ. 387). ამ ზღაპრებში ჩვენ თუ ცხოველ პერსონაჟთა ქვეშ ცხოველებად წოდებულ ადამიანებს (მთელ მათ ტომებს) ვიგულისხმებთ, ტოტემური რწმენის შესაბამისად (ამის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი) ცხოველების მკაცრ კანონთან გვექნება საქმე, სადაც არსებობისათვის დაუნდობელ ბრძოლაში მხოლოდ გამორჩეულნი იმარჯვებენ. სწორედ, არსებობისთვის ბრძოლაში გამარჯვების მიღწევის რწმენის

განმტკიცებაა ცხოველთა ზღაპრის მთავარი მიზანი.

ყოველივე ამაზე იმიტომ შეეჩერდით, რომ არ არის გავლებული ზღაპრულ ეპოსში მის ქვეყანებს შორის მკაცრი საზღვრები. მისი მთავარი არსის გარკვევა კი დაგვეხმარება, ჩვენთვის საინტერესო ჯგუფში რომელიმე კონკრეტული ზღაპრის შეტანისას. საკითხს ისიც ართულებს, რომ ზღაპრული ეპოსის თითოეული ქვეჯგუფი თავის მხრივაც ხასიათდება სიუჟეტთა მრავალფეროვნებით.

ცხოველთა ეპოსში საკუთრივ ცხოველთა ზღაპრების გარდა, სადაც მისი პერსონაჟები სამკედრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს, შევლენ ის კუმულაციური ზღაპრები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან და, აგრეთვე, ეტიოლოგიური გადმოცემები, სადაც ამა თუ იმ ცხოველის ან ფრინველის წარმოშობის, მათი გარეგნობისა თუ გამორჩეული თვისებების ახსნის ცდაა მოცემული.

ზღაპრის ქვეყანრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი კონკრეტული მისწრაფებებით, სინამდვილისადმი დამოკიდებულებით. ამ განსხვავებებზე დაკვირვება მათი უფრო მეტი სიზუსტით დაჯგუფების საშუალებას მოგვცემს. ამ ამოცანის მეტნაკლები სისრულით გადაწყვეტა კი გააიოლებს ამა თუ იმ ქვეჯგუფის ზღაპართა შემდგომი კვლევის საქმეს.

როგორც ვიცით, ზღაპრის ქვეყანრებს შორის მკაცრი საზღვრის გაღება ძნელია. არის გარკვეული ტიპი ზღაპრებისა, რომელთა ადგილის მიკუთვნებაც ზღაპრის ამა თუ იმ ჯგუფში ჭირს. უფრო სწორედ, ისინი ერთდროულად რამდენიმე ქვეჯგუფისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებენ. ამიტომაც გვაქვს შემთხვევები, როცა მკვლევარნი ზღაპართა კრებულებში ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ქვეყანრში ათავსებენ.

ასეთ ზღაპართა რიგს მიეკუთვნება: „მელია და მეწისქვილი“. „მელია და ხელმწიფის შვილი“ (აღნიშვილი, 1979, გვ. 109-115), „კვაპა“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 10-14), „სამი ძმა, დათვი, მგელი, მელია“ (იქვე, გვ. 22), „შაში და მელია“ (ლლონტი, 1974, გვ. 376) და სხვა. ამ ზღაპართა მთავარი გმირები თავიდან ძალიან ღარიბები არიან, ზღაპრის დასასრულს კი მდიდრდებიან. მაგალითად, „ძმები ძალიან ღარიბები იყვნენ“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 22) და „გადაწყვეტეს საშოვარზე წავიდეთო, თორემ შიმშილით დავიხოცებითო“ (იქვე). ბოლოს კი სანუკვარ მიზანს მიაღწიეს: „მთელი სიმდიდრე შინ წამოიღეს და სიბერემდე ბედნიერად ცხოვრობდნენ“ (იქვე, გვ.

24). მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ზღაპრებში ცხოველი პერსონაჟები განსაკუთრებულად აქტიურობენ, ამგვარი ფინალის წყალობით მათ ცხოველთა შესახებ ზღაპრებად ვერ მივიჩნევთ და ნოველისტურ ზღაპრებს მივაკუთვნებთ. უფრო სწორად - ჯადოსნური ზღაპრებიდან ნოველისტურისაკენ გარდამავალი ტიპის ზღაპრებად. ამგვარი ფინალებიდან მშვენიერად ჩანს, რა მიზანს ემსახურება ეს ზღაპარი - მთავარია მოიპოვო ტკბილი და უდარდელი ცხოვრების იმედი და ბედნიერებაც სახეზეა. ე.ი. ზღაპრის სახესხვაობას მხოლოდ მისი პერსონაჟები, ან ჯადოსნური ნივთები არ განსაზღვრავს. მთავარი აქ ის არის, რის მიღწევას, მოპოვებას ცდილობს გმირი, რა აქვს მიზნად დასახული. ზღაპრულ ეპოსში ამ ტიპის ზღაპართა ადგილის განსაზღვრის შესახებ დაწვრილებით იხილე ჩემს წიგნში: „უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“, 2004 წ., III თავის III პარაგრაფი - „გარდამავალი ტიპის ზღაპრები“. აქვეა განხილული ცხოველთა ზღაპრებიდან ჯადოსნურისაკენ გარდამავალი ტიპის ზღაპრებიც: „მელას ეშმაკობა“ და „ნაბოლოვარა წიწილა“, აგრეთვე ზღაპრები: „ნახევარქათამას ამბავი“, „მეფე და სკვინჩა“ - თავი IV, პარაგრაფი II - „სტუმრად მოსიარულე ზღაპრის გმირის წარმომავლობა“.

ამ ტიპის ზღაპრების მეღია დამოუკიდებელი სახეა. ის არსებითად განსხვავდება ცხოველთა ეპოსის მეღიისაგან. ქომაგი მეღია თავის მოხერხებასა და შესაძლებლობებს მეგობრის მოსატყუებლად ან დასამარცხებლად კი არ იყენებს არამედ - მის სასიკეთოდ.

მეღია შეგნებულად და მიზანდასახულად სწევს ბედს საწყალ მეწისქვილეს: „მაგანი ხელმწიფის ქალი უნდა გითხოვო ცოლად“. ასევე წინასწარ განზრახულია მეღიისა და მისი მეგობრების - მგლის, დათვის, არწივის მოქმედება ზღაპარში „მეღია და ხელმწიფის შვილი“, სადაც ზღაპრის მთავარი გმირისთვის იტაცებენ მზეთუნახავს, უშენებენ სასახლეს და ცხოვრების უზრუნველ პირობებს უქმნიან.

ზღაპარ „ორ ძმაში“ კი - მეღია მეღელთან და დათვთან ერთად შეუგნებლად და გაუთვალისწინებლად სწევს ბედს მთავარ პერსონაჟს. როცა ცხოველები გაიგებენ, რომ მათი საიდუმლო გამჟღავნდა, ადამიანმა ამით ისარგებლა და ბედსაც ეწია, გაბრაზდებიან და იმსხვერპლებენ კიდევ გამდიდრების სხვა მსურველს.

ქომაგი მეღია ტრიქსტერისთვის დამახასიათებელი ეშმაკობითაც აღწევს მიზანს, მაგალითად, „წაწვა მეღია გზაზედ. დაინახა

მეურმემ მელია და დაუძახა ბიჭს:

-ბიჭო, აქ ერთი მელია მომკვდარა, აილე, ურემზე შეაგდე, ზვალ ტყავი გავაძროთ, მანეთად მაინც გავყიდითო.

აილეს მელია და გადაისროლეს ქუდებში. პყრის მელა ქუდებს, მეწისქვილე კი პყრეფს..." (ფ.არქ. 791).

როცა დასჭირდება, ის არც ტყუილს ერიდება: „გაიქცა მელია და გულგახეთილი ეტყვის ხელმწიფეს:

-დიდებულო ხელმწიფეე, შემოვედით ზღვაში, შემოვიდა ჩვენი ხელმწიფეე. მხლებლები სულ წყალმა დაუხრჩო და მარტოდ-მარტონი დავრჩითო“.

ე.ი. ამ ტიპის თითქმის ყველა ზღაპარში მთავარი ქომაგი ცხოველია მელია, რომელიც ყველაფერს აკეთებს კეთილშობილური მიზნის შესასრულებლად. ის გმირის ერთგულია, მიზანდასახული, დაუზარელი, ჭკვიანი, მოხერხებული, ენამოქარგული, ამაგის დამნახავი, პირობის შემსრულებელი. მისი შესაძლებლობები თითქოსდა განუსაზღვრელია და ისიც არაფერს იშურებს თავისი მეგობრის საკეთილდღეოდ.

## თავი II

### ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის გაგებისათვის

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟი ძირითადად მითოლოგიური აზროვნების ნაყოფია. ის შეიქმნა პრეისტორიულ ეპოქაში, როცა ადამიანმა არ იცოდა მიწათმოქმედება და ნადირობას, ველური ნაყოფის შეგროვებას მისდევდა. მისი აზროვნება ტოტემისტურ რწმენაში გამოიხატებოდა.

ტოტემიზმი არის პრიმიტიული წარმოდგენა უძველესი ადამიანისა, რომელიც ბუნებასთან ერთად მთლიანობაში ხედავდა თავის თავს. ძირითადი ნიშანი ტოტემიზმისა იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წინაპრად ითვლება ტოტემი და მისი თაყვანისმცემელი ჯგუფის ყოველი წევრი სისხლით ნათესავია ტოტემური კლასის ყოველი წარმომადგენლისა. ტოტემის როლში ყველაფერი გვხვდება: ქარი, მზე, წყალი, რკინა და მრავალი სხვა, მაგრამ ყველაზე ხშირად ცხოველები და მცენარეები არიან. ტოტემთან ნათესაობის რწმენა სიმბოლური არ არის, ის უმაღლეს

დონეზე რეალურია. ამ ჯგუფის წევრებს სჯერათ, რომ ყოველი მათგანი სიკვდილის შემდეგ გადაიქცევა თავის ტოტემად და ყოველი ტოტემური ცხოველი – გარდაცვლილი ნათესავია (Штернберг, 1936, გვ. 198).

ტოტემიზმი არქაული საზოგადოების სტრუქტურით არის შექმნილი და მასში ასახულია ამ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები (Кабо, 1972, გვ. 277). ს.ა. ტოკარევი თვლის, რომ ტოტემიზმი წინაგვაროვნულ საზოგადოებაში თავისებურ იდეოლოგიურ ზედნაშენს წარმოადგენს, რომლის დროსაც ადამიანს ბუნებაზე გადააქვს წარმოდგენა გვაროვნული სოციალური ორგანიზაციისა (Токарев, 1976, გვ. 53). ტოტემთან ურთიერთობა ისეთია, როგორც ურთიერთობა ახლო ნათესავთან, მას ეძახიან: „მამას“, „პაპას“, „ძმას“. სჯერათ თავიანთი გვარის ტოტემისაგან წარმოშობა. გარეგნული განსხვავება ცხოველსა და კაცს შორის მოჩვენებითია (Штернберг, 1936, გვ. 32). თვით ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოუდგენიათ, როგორც ურთიერთობა ადამიანისა ბუნებასთან (Мелетинский, 1972, გვ. 161). უფრო მეტიც, ადამიანები ენათესავებიან რა ტოტემურ არსებას, მათი სახელითაც კი იწოდებიან (Штернберг, 1936, გვ. 198). სამხრეთის სლავები ბავშვის გაჩენისას ყვიროდნენ: ბუ მგელმა ლეკვი გააჩინაო. ბავშვს მგლის ტყავში ახვევდნენ, მგლის თვალისა და გულის ნაგლეჯს კი პერანგში უკერებდნენ ან ყელზე ჰკიდებდნენ. მელანეზიაში გვაროვნული ჯგუფები ხშირად ტოტემურ სახელებს ატარებენ (Токарев, 1976, გვ. 82).

დროთა განმავლობაში ადამიანმა შეიცნო განსხვავება თავის თავსა და დანარჩენ სამყაროს შორის და მას გამოეყო. შესაბამისად მეტ ინტერესს იჩენდა ადამიანი თავისი არსებობისა და ყოფის მიმართ. ბუნებასა და მის მოვლენებზე მეტად მას უკვე თავისი თავი, ადამიანური ურთიერთობანი აინტერესებდა.

სამყაროს განსხვავებული აღქმა და ინტერესები ფოლკლორში გამოვლინდა – მითოსის პარალელურად შეიქმნა ზღაპარი, სადაც მოქმედი გმირი ადამიანი იყო და თავისავე ცხოვრებას გადმოგვცემდა.

ე. მელეტინსკი, როდესაც მითის ზღაპრად ტრანსფორმირების ძირითად საფეხურებს ჩამოთვლის, დერიტუალიზაციის და დესაკრალიზაციის, მითურ „მოვლენათა“ ჭეშმარიტებაში მკაცრი რწმენის შესუსტების და სხვათა გვერდით, ერთ-ერთ საფეხურად,

მითური გმირის ჩვეულებრივი ადამიანებით შეცვლას ასახელებს (Мелетинский, 1976, გვ. 264).

პირველი ხალხური ნაწარმოები, სადაც უძველესი ადამიანი მითისაგან განსხვავებით თავის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ცხოველთა ეპოსია. ამ ნაწარმოებში მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც იწოდებიან ცხოველებად ტრადიციული რწმენის შესაბამისად. ამ ვარაუდს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ტომთა ფოლკლორული ნიმუშების განხილვაც უჭერს მხარს. იქ ისინი ცხოვრობენ ჩვეულებრივ კაცთა ცხოვრებით. მაგალითად, აფრიკელი ხალხების აკანისა და ევეს ზღაპართა უმრავლესობაში ცხოველთა სამყარო მთლიანად არის შერწყმული ადამიანთა სამყაროსთან: ცხოველებს აქვთ ოჯახი, ცხოვრობენ სახლებში, ეწევიან განსაზღვრულ საქმიანობას და მეტყველებენ. ამ პერსონაჟებში ეხედავთ ადამიანისათვის დამახასიათებელ ყველა გრძნობასა და სურვილს (Вологодина, 1970, გვ. 233).

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები ყოველთვის იწვევდნენ სპეციალისტთა ყურადღებას. ცნობილი ქართველი მწერალი ვ. ბარნოვი „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილებში“ ცხოველთა ზღაპრის განხილვისას ამბობს, რომ „ეს ზღაპრები არ არის იგავ-არაკები, რომლებშიაც ნართაული თქმა არის და პირუტყვთა სახით ადამიანები არიან გამოყვანილნი, არამედ პირდაპირა კხატავენ პირუტყვთა ცხოვრებას სწორედ ისე, როგორც სჯეროდა მაშინ ხალხს“ (ბარნოვი, 1964, გვ. 247).

„ცხოველთა ზღაპარმა იგავური გაგება კლასობრივ საზოგადოებაში შეიძინა. ამნაირად იგავარაკული თხრობის მანერა და ალეგორიულობა ცხოველთა ეპოსის განვითარების ეტაპისათვისაა დამახასიათებელი – აღნიშნავს მ. ჩიქოვანი და სამართლიანად დასძენს, – ეს კი ამ ჟანრის თვითუარყოფას ნიშნავს“ (ჩიქოვანი, 1946, გვ. 292).

ელ. ვირსალაძე აღნიშნავს იგავ-არაკსა და ცხოველთა ეპოსს შორის სხვაობას და წერს, რომ ცხოველთა ეპოსში, იგავ-არაკისაგან განსხვავებით, ცხოველები არ წარმოადგენენ ადამიანის ალეგორიულ გამოხატულებას, არამედ მათი სახით ნამდვილი რეალური ცხოველები იგულისხმებაო (ვირსალაძე, 1960, გვ. 384).

აპ. ცანავა, იხილავს რა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში სატირისა და იუმორის საკითხებს, ჩერდება ცხოველთა ეპოსზე და ფიქრობს, რომ „ასეთ ზღაპრებში ცხოველთა ურთიერთდამოკი-

დებულება და ადამიანებთან კავშირი ასახული იყო პირდაპირი მნიშვნელობით. ალეგორიულ გაგებას ცხოველთა ზღაპარი იძენდა თანდათანობით, იმის შესაბამისად, თუ რამდენად ძლიერდებოდა ადამიანის ბატონობა ბუნების ძალებზე და ცხოველებზე (ცანავა, 1960, გვ. 21).

უძველესი ზღაპრის გარკვეულ შესატყვისს წარმოადგენს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ტომთა ფოლკლორის ნიმუშები. ისინი გამოირჩევიან არქაიკით, რისი მეშვეობითაც ვახერხებთ ერთგვარი წარმოდგენის შექმნას ჩვენი წინაპრების სიტყვიერ შემოქმედებაზე.

როგორც ვიცით, ფოლკლორი ინტერნაციონალური მოვლენაა (Пропп, 1946, გვ. 21) და ამდენად გამართლებულია აღნიშნული საკითხების გარკვევა განვითარების სხვა საფეხურზე მდგომი ხალხების ფოლკლორული ნიმუშების მოშველიებით. დღეს ევროპელ ხალხთა ცხოველთა ეპოსის არსის გაგება შესაძლებელია აფრიკელ ხალხთა ცხოველთა ეპოსთან შედარება-შეპირისპირებითი განხილვით. აფრიკულ ფოლკლორში ხომ ამ ზღაპრის კლასიკურ ფორმას ეხვდებით. აქ ცხოველთა ზღაპარი საკმაოდ არის დიფერენცირებული (Мелетинский, 1972, გვ. 182). მას „ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ამ ხალხის ფოლკლორში. ის, ჯადოსნურ და ნოველისტურ ზღაპრებთან შედარებით, სრულიად განვითარებული, გაფორმებული და ჩამოყალიბებული ჟანრია, მთელი ხასიათით და სიუჟეტთა წრით, მთავარი გმირის ტიპით და ა.შ. ცხოველთა ზღაპარი ყველაზე უფრო პოპულარულთაგანია აფრიკულ ფოლკლორში და აქვს მრავალი სიუჟეტი“ (Сказки, 1976, გვ. 15).

აფრიკელი ხალხების ფოლკლორული მასალის გაცნობამდე უნდა გავითვალისწინოთ მათი აზროვნების თავისებურებანი. ამის შესახებ გ. პერმიაკოვი აფრიკული ზღაპრების ერთ-ერთი გამოცემის შესავალში წერს: „აქ საქმე არა გვაქვს ლოგიკის, ან ჯანსაღი აზრის უქონლობასთან, უბრალოდ, ხაძაპების (აფრიკელი ხალხი — რ. ჩ.) აზროვნება არსებითად განსხვავდება ჩვენისაგან. ის, რაც ჩვენ გვეჩვენება ულოგიკო, უაზროც კი, მათთვის სრულიად ბუნებრივია და დამაჯერებელი. მხოლოდ ამ ხალხის აზროვნების ცნობილი არქაულობის გათვალისწინებით შეიძლება სწორად გავიგოთ ის „ბნელი“ ადგილები და წინააღმდეგობანი, რომელნიც გვხვდება მათ მითებსა და ზღაპრებში“ (Волшебный мир, 1962, გვ. 9).

ვ. პროპი მიგვითითებს, რომ აუცილებელია პირველყოფილი

აზროვნების და პირველყოფილი მსოფლმხედველობის მთელი სისტემის შესწავლა. სხვაგვარად ვერ გაეიგებთ უძველესი ნაწარმოების ვერც კომპოზიციას, ვერც სიუჟეტებს და ცალკეულ მოტივებს (Пронин, 1976, გვ.27).

როცა აზროვნების თავისებურებების გათვალისწინებით აფრიკელ ტომთა ცხოველთა ეპოსს გავიაზრებთ, უფრო ნათლად შევძლებთ ზღაპრის მთელი რიგი ბუნდოვანი ადგილების დანახვას.

ჩვენ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ხაძაპების-აფრიკელი ხალხის ფოლკლორულ ნიმუშებს. ეს ის ხალხია, რომელმაც დღემდე, ჩვენი უძველესი წინაპრების მსგავსად, არ იცის არც მიწათმოქმედება და არც მესაქონლეობა და ნადირობით ირჩენს თავს.

ხაძაპების ცხოველთა ზღაპრებში, პირველ რიგში რაც თვალში მოგვხვდება, არის დიალოგებში ადამიანებისათვის დამახასიათებელი მიმართვების სიხშირე მაშინ, როდესაც მოქმედი გმირები ცხოველები არიან. მაგალითად:

„აქ მალე უნდა მოვიდეს ერთი კაცი...

-ვინ?

-ქორი ც' უსუმუ!“ (Волшебный рог, 1962, გვ. 25).

ან კიდევ: ლომმა დაიჭირა ანტილოპა. ის ატირდა:

„ჩემო მეგობარო, -უთხრა კურდღელს, - რატომ გამომიყვანე სახლიდან და ჩამაგდე ამ კაცის ხელში?“ (იქვე, გვ. 102).

ეს ცხოველები დიალოგის გარეშეც ხშირად იწოდებიან ადამიანებად. მაგალითად:

„პავიანმა ერთხელ კიდევ ყურადღებით შეხედა ლომს და გაიფიქრა: ასეთ დიდ კაცს მგონი მე ვერ მოვერევი“ (იქვე, გვ. 117);

„ეს ლომები ძალიან საშიში ხალხია“ (იქვე, გვ. 118);

„არწივები ნუ ფიქრობენ, რომ ყვავები სულელი ხალხია!“ (იქვე, გვ. 128);

„-მე საწყალი ქალი ვარ“- თქვა ძუ ლომმა (იქვე, გვ. 101).

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟები ხშირად ასე იწოდებიან: მამა სპილო, მამა ყარყატი, აფთარი ხალხი, აფთარი კაცები და სხვა მრავალი.

„ორი და, ქალი ობობები, მინმა გუჯარა იმბუ, ობობათა ტომის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდნენ წყალსატევის მიდამოებში მყოფ სადგომზე. შორიახლოს მარტოკა იყო ყმაწვილი ობობა, ეს-ეს არის ინიციატია-ჯუნჯუნბა გამოვლილი“ (Первый Бумеранг, 1980, გვ. 112).

ჯერ კიდევ ცხოველთა მითში ადამიანმა იცის, რომ ის ადამიანია, რომელიც ერთ დროს ცხოველი იყო. მაგალითად, მითში „როგორ წარმოიშვნენ ხაძაპები“ ესენი თავიანთ წარმოშობაზე ამბობენ:

„ძველად ხაძაპები პავიანები იყვნენ. ერთხელ იშაკომ დაავალა პავიანებს, მისთვის წყლის მოტანა. მაიმუნები წავიდნენ მდინარეზე, მაგრამ მიაღწიეს თუ არა ნაპირს, მათ თამაში გააჩაღეს. პავიანები ისე გაერთნენ, რომ დავალება სულ დაავიწყდათ.

დიდხანს უცადა იშაკომ წყალს... როცა ნახა, რომ პავიანები თამაშობდნენ, ძალიან გაბრაზდა“ (Волшебный пор, 1962, გვ. 37) და გაყო ისინი ორად. ნაწილი აქცია ხაძაპებად – ადამიანებად, მეორე ნაწილი კი პავიანებად დარჩა.

სხვა ტომების წარმომადგენლებს კი, თუმცა ისევ ცხოველებად იწოდებიან, ადამიანური წარმოშობისანი არიან. მაგალითად, ამ ხალხის მითების უმეტესობა ასე იწყება: „ეს მოხდა უძველეს დროში, როცა აფთრები ჯერ კიდევ ადამიანები იყვნენ“ ან „თავიდან ჟირაფები ადამიანები იყვნენ, მერე იქცნენ ცხოველებად“ (იქვე, გვ. 49), ან კიდევ: „მაღლა მთაზე... ცხოვრობდა ერთი გველი (იმ დროს ისიც ადამიანი იყო)“ (იქვე, გვ. 36).

ავსტრალიის ტომთა არანდასა და ლორიტის მითებზე მსჯელობისას, სადაც პერსონაჟებად გვხვდებიან: ადამიანი – ძაღლი, ადამიანი – შევარდენი და მისთანანი, ე. მელეტინსკი აღნიშნავს, რომ არ არის ადვილი გაარჩიო, აქ ვისზეა ლაპარაკი – ცხოველებზე, ადამიანებზე თუ ორმაგი ბუნების არსებებზე“ (Мелетинский, 1965, გვ. 7). ხოლო მანისის მითების პერსონაჟებთან დაკავშირებით ვ. ჩერნეცოვი მიუთითებს, რომ აქ „ისეთი შემთხვევები გვაქვს, როცა იმდენად გაურკვეველია საზღვარი ადამიანსა და ცხოველებს შორის, რომ თვით მთხრობელს არ შეუძლია განსაზღვროს, ვისზეა საუბარი – ცხოველზე თუ ადამიანზე (Чернецов, 1935, გვ. 15).

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟებს შორის ურთიერთობაც ადამიანურია: მათ აქვთ ოჯახი, ერთმანეთთან მეგობრობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან და მტრობენ.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების ზღაპრებში ეს ურთიერთობანი, ევროპულისაგან განსხვავებით, ერთი სიტყვით არ გადმოიცემა. ხშირად ჩანს მათში მთელი რიტუალები, რომლებსაც ამა თუ იმ შემთხვევისას იმ ეპოქაში ასრულებდნენ ადამიანები.

როგორც ვიცით, ყველა ხალხის ცხოველთა ზღაპრები ორი ცხოველის მეგობრობის გამოცხადებით იწყება. ზღაპარში „კამეჩისა და გნუს მეგობრობა“ (Волшебный рог, 1962, გვ. 109) აფრიკელი ხალხის დამეგობრების მთელი რიტუალია მოთხრობილი:

„ერთხელ გნუ მივიდა კამეჩთან და უთხრა:

– ჩემო მეგობარო, მოდი დავძმობილდეთ!

– კარგი, – უპასუხა კამეჩმა, – მე თანახმა ვარ! მხოლოდ ჯერ აქ დავუძახოთ ჩვენს მოხუცებს, მაშინ მეგობრობა გაცილებით უფრო მყარი იქნება.

– რაში გვჭირდება მოხუცების დაძახება?

– მომავალში, როცა რომელიმე ჩვენგანი თავისი მეგობრის გვარში მისვლას მოინდომებს, იქ რომ იცნობდნენ.

– ეს სწორია. წადი დაუძახე მოხუცებს!“

როცა მოხუცები მოვიდნენ, მათ ორივეს პირობა ჩამოართვეს, რომ მართლა შესძლებდნენ ისეთ მეგობრობას, როგორიც წესია და თქვეს:

„– აბა, თუ ორივენი მზადა ხართ ერთმანეთთან სამეგობროდ, დაე ქალებმა მოგიმზადონ საჭმელი და თქვენც ის ერთად შეჭამეთ!

ქალები მივიდნენ მდინარესთან და იქიდან მოიტანეს მწვანე ბალახი. კამეჩმა და გნუმ ის მეგობრულად შეჭამეს“.

ასევე მთელი რიტუალი უძღვის წინ შეჯიბრებას, რომელიც, როგორც ჩანს, არ ყოფილა უბრალო გართობა. ეს რიტუალი გვაქვს აღწერილი ზუნის ინდიელთა (ჩრდილო ამერიკა) ზღაპარში „როგორ შეეჯიბრა თრია კიაკიმელ მორბენლებს“. ამ რიტუალური შეჯიბრი-სათვის სპეციალური მომზადება ყოფილა საჭირო და განსაკუთრებული პირობების დაცვით სრულდებოდა:

„მეოთხე დღეს შეჯიბრებისთვის ყველაფერი მზად იყო. კიაკიმელი მორბენლები, რომლებიც სირბილისთვის წმინდა ქოხებში მოემზადნენ, წინ გამოვიდნენ. ისინი გახდილები იყვნენ, როგორც სირბილის დროს არის მიღებული, ქამრები ეკეთათ და ხელში სარბენი ჯოხები ეჭირათ. შივინელი ხალხიც მოგროვდა ვაკეზე და დაიწყეს ლოდინი... მოხუცი თრია მალე გამოჩნდა მათ შორის სოროდან გამომხტარი. მას თავზე შვენოდა პატარა წითელი ბუმბული. მისთვის მომზადებული ჯოხი მან თავის წინ მიწაზე დადო ისე, რომ კბილებით აღება შესძლებოდა და თქვა: „თქვენ, რასაკვირველია, მაპატიებთ, თუ ჯოხს სირბილის დროს არ ვისვრი ხოლმე, როგორც ეს მიღებულია“ (Проделки, 1977, გვ. 45–46). ამ ასპარეზობაში წარმატება, რასაკვირველია, საპატიო იქნებოდა და ალბათ ამიტო-

მაც მასში გამარჯვებული ადამიანი ტოტემის სახელით იხსენიებოდა.

ცხოველთა ზღაპარში ზუსტი აღწერილობით მოცემული ეს რიტუალები შემთხვევითი არ არის, ისინი ამ ხალხის ყოფის ამსახველი დეტალებია.

აფრიკული ფოლკლორის გამომცემელნი აღნიშნავენ, რომ ზღაპრებში ხშირად „ცხოველები ადამიანებად იწოდებიან“. ეს გამოთქმა არ უნდა იყოს ზუსტი. ტოტემური რწმენის ადამიანი ცხოველშიც შესაბამისად ხედავდა თავის თავს და ზღაპარში ცხოველ პერსონაჟში თავის მოძმეს გულისხმობდა. ამდენად უფრო მართებული იქნება, ითქვას – „ადამიანები იწოდებიან ცხოველებად“.

აფრიკელ (როგორც უძველეს) ხალხს ნამდვილად სჯეროდა სხვა არსებად გადაქცევის შესაძლებლობა. სწორედ ეს რწმენა ჩანს მითში, როცა განუწყვეტელი ცეკვით ცხოველად გადაქცევის საშიშროება იგრძნობა. მაგალითად, ზღაპარში „სპილოს ცეკვა“ (Волшебный рог, 1962, გვ. 32):

„რახან ბავშვები დაუსრულებლად ასრულებდნენ სპილოს ცეკვას, მოხუცებმა ისინი გააფრთხილეს: „ბავშვებო, თქვენ ძალიან ხართ გატაცებულნი. ამ ცეკვით თქვენ თვითონ არ გადაიქცეოთ ცხოველებად“.

მართლაც, როცა ღვთაებებმა ნახეს მათი ცეკვა, თქვეს:

„-ჩვენ მათ ველურ ცხოველებად გადავაქცევთ“.

და ღვთაებამ ადამიანები გადააქცია იმ ცხოველებად, რის ცეკვასაც ასრულებდნენ.

ბევრ ხალხს სჯერა, თითქოს რომელიმე ცხოველის მიბაძვამ ან მიმსგავსებამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი იმ ცხოველად გადაქცევამდე (იქვე, გვ. 149).

სხვა არსებად გადაქცევის შესაძლებლობა ნამდვილად სწამდათ, მაგალითად: მეღანეზიელები რიტუალური ცეკვის დროს ნიღბებს იკეთებენ. ამ დროს გარემომცველთა თვალში მოცეკვავე თითქოს თვითონ გადაიქცევა იმ სულად ან წინაპრად, რომელსაც ნიღაბი გამოსახავს (Каню, 1972, გვ. 295). ზუსტად ასევე გადაიქცევა ავსტრალიელი ზებუნებრივ არსებად თავისი სხეულის საღებავებით მოხატვით, ბუმბულით მორთვით და ა.შ. (იქვე).

თვით ხატვა, ცეკვის მსგავსად, შეიძლება გახდეს მაგიური აქტი. ერთი ლეგენდა მოგვითხრობს იმაზე, თუ კენგურო-ადამიანმა და ძაღლმა –ადამიანმა როგორ გადააქციეს ერთმანეთი ნამდვილ კენგუროდ და ძაღლად ერთმანეთის მოხატვით და ამ ცხოველებზე

მიმსგავსებით (Маршалл, 1965, გვ. 178-179).

ბერჟანების ყოველ გვარს განსაკუთრებული ტოტემური ცეკვები ჰქონდა. ბუშმენებს თუ უნდათ გაიგონ, რომელ გვარს ეკუთვნის კაცი, ეკითხებიან: „შენ რას ცეკავ?“ (Штернберг, 1936, გვ.148) ყველა სამხრეთ აფრიკელიც ამ კითხვით აზუსტებს სხვის გვარს (Левингстон, 1937, გვ. 20).

უძველესი ადამიანისათვის სხვა გვართან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ბუნებრივია, აუცილებელი იყო. ისინი სხვა გვარის წარმომადგენლებთან მეგობრობდნენ, ქორწინდებოდნენ, რადგანაც ტოტემიზმისათვის ეგზოგამია იყო დამახასიათებელი. მაგრამ გარდა ქორწინებისა და მეგობრობისა, მათ ერთმანეთთან შუღლი და მტრობაც ჰქონდათ. მტრობის მიზეზი არც ისე ცოტა ექნებოდათ — საკვების ან სასმელის განაწილება, საცოლის მოპოვებით გამოწვეული დაპირისპირება (რისი მაგალითებიც საკმაოდ არის ამ ხალხთა ფოლკლორში) და ალბათ სხვა მრავალი.

პირველყოფილი ტომები ერთობლივი ძალით აღწევდნენ წარმატებას არსებობისათვის ბრძოლაში, მაგრამ როგორც ჩანს, საერთო ინტერესების მოგვარება ყოველთვის იოლად არ მთავრდებოდა და ხშირად დაპირისპირებასა და მტრობას იწვევდა.

აზროვნების განვითარების ამ საფეხურზე „ადამიანი არასოდეს აღიქმებოდა იმ კოლექტივისაგან განცალკევებით, რომელსაც ის ეკუთვნოდა... ამ წარმოდგენის გადმონაშთი შემონახულია სისხლის აღების წესში: დამნაშავედ ითვლება არა ზიანის მიმყენებელი ინდივიდი, არამედ მთელი გვარი ან ოჯახი, რომელსაც ის ეკუთვნის. ინდივიდის მოქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთელ კოლექტივს. სამაგიერო გადახდილად ჩაითვლება, თუ სასჯელს იმავე ოჯახის, გვარის ან ტომის წარმომადგენელი რომელიმე წევრი მიიღებს“ (Мегрелидзе, 1973, გვ. 207).

კოლექტივის პასუხისმგებლობა იმაში გამოიხატება, რომ ცალკეული პირის საქციელზე ერთი ადამიანი კი არ ადანაშაულებს მეორეს, არამედ სოფელი — სოფელს (Торндайк, 1931, გვ. 143). თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ უძველეს პერიოდში ადამიანები ყოველივე უსიამოვნოს მტრულად განწყობილი ტომის წარმომადგენელთა მაგიური მოქმედების შედეგად თვლიდნენ, გასაგები გახდება მათ შორის დაუსრულებელი კონფლიქტის მიზეზი. მითუმეტეს, რომ ერთ უსიამოვნებას აუცილებლად საპასუხოც მოჰყვებოდა. მაგალითად, „ავსტრალიელები თითქმის ყველა

ავადმყოფობას, უბედურ შემთხვევას, მოძმის სიკვდილს მტრულ ჯადოქრობას მიაწერდნენ. ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა სიკვდილის მიზეზი აშკარად თვალნათელი იყო (მაგ.: ადამიანი ხემ დაიტანა), ისინი თვლიდნენ, რომ ნამდვილი დამნაშავე რომელიმე საიდუმლო მტერია. ამიტომ ავსტრალიელებს ჰქონდათ ჩვევა, ყოველი სიკვდილის შემდეგ მოეწყოთ განსაკუთრებული მკითხაობა, იმის გასაგებად, თუ რომელ მხარეს, რომელ ტომში ცხოვრობს მტერი, გარდაცვლილის მომჯადოებელი. შემდეგ კი ამ ტომს ეგზავნებოდა შურისმაძიებელთა ჯგუფი, რომელიც კლავდა დამნაშავედ ჩათვლილს, ან რომელიმეს მისი გვარიდან (Tokapeb, 1976, გვ. 54).

ნ.ნ. მიკლუხო-მაკლაის ცნობით, პაპუასებს ძალიან ეშინიათ ჯადოქრობის. ის ითვლება ყველა აუხსნელი ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზად (იქვე, გვ. 72).

აფრიკელ ხალხთა ფოლკლორში კარგად ჩანს ცხოვრებისეული სიმძნელების გადასალახად რამდენიმე ტომის საერთო ძალებით მოქმედების მაგალითები და ისიც, თანდათან როგორ ველარ რიგდებიან ამ ტომთა წარმომადგენლები და მტრობენ ერთმანეთს. ეს მტრობა, როგორც ჩანს, ერთი მხარის სრული გამარჯვებით მთავრდება, მეორე მხარე კი საბოლოოდ დაღუპული და განადგურებული რჩება.

ცხოველთა ეპოსი უძველესი საზოგადოების სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშია. მასში ადამიანები გადმოსცემენ თავიანთ ცხოვრებას, ყოფას, თვითონ კი ტოტემების სახელებით იწოდებიან, იმ ეპოქის რწმენის შესაბამისად. უძველესი ადამიანისათვის ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ თავიანთ სამყაროსთან. „ეკონომიური, სოციალური, რელიგიური სფეროები და მათთან ერთად ხელოვნებაც პირველყოფილ ხელოვნებაში გადახლართულია და ურთიერთპირობადებული გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ეს დამახასიათებელია საზოგადოების განვითარების უფრო მაღალი დონისათვის... პირველყოფილი ხელოვნება ზომსწორად შეიძლება იქნეს გაგებული მხოლოდ სოციალურ კონტექსტში, სოციალური ცხოვრების სხვა მხარეებთან კავშირში, აღებული ერთიან, მთლიან სისტემად“ (Kaნი, 1972, გვ. 277).

ცხოველთა ეპოსში მოქმედებენ ადამიანები, რომლებსაც ამა თუ იმ ცხოველის სახელი ჰქვიათ.

უძველეს ხალხთა ცხოველთა ზღაპრების სიუჟეტი ძირითადად მეტოქეობაზე, ქიშპობაზე, შეჯიბრზე, საკუთარი ძალის უპირატესობის დამტკიცებაზეა აგებული. „გარესამყაროსთან ბრძოლაში

პირველყოფილი ადამიანი თავის გვართან, კოლექტივთან ერთად გამოდიოდა" (ქურდოვანიძე, 1983, გვ. 8). ცხოველთა ზღაპრებში როცა ცხოველთა შეჯიბრია მოცემული, ალბათ სხვადასხვა ტოტემის, გვარის ხალხი ეჯიბრება ერთმანეთს. ხშირი მეტოქეობა ზღაპარში არც უნდა იყოს გასაკვირი. მშვიდობიანი თანაარსებობის დროსაც კი არ შეიძლება ადგილი არ ჰქონოდა საკუთარი უპირატესობის დამტკიცების სურვილს მეზობელ ტომებს შორის. მით უმეტეს, რომ მათი ტოტემური წინაპარი სხვადასხვა იყო და ერთმანეთთან შეჯიბრით ისინი თავიანთ წინაპრებს, თავიანთ ტოტემებს აჯიბრებდნენ. ტომის წევრის სიძლიერე ხომ ტოტემისგან მოდიოდა, ამიტომაც ისინი პირდაპირ ტოტემის სახელით იწოდებოდნენ.

ცხოველთა ეპოსის შექმნა აზროვნების განვითარების იმ ეტაპს ეკუთვნის, როცა ადამიანს უკვე ჰქონდა გავლებული საზღვარი თავის თავსა და დანარჩენ სამყაროს შორის. ეს ის პერიოდია, როცა მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ის ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანია. ზღაპრის ჟანრულ სახესხვაობათა (ცხოველთა, ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპარი) მთავარი გამაერთიანებელი სწორედ ის არის, რომ ზღაპრის მთავარი პერსონაჟი ადამიანია.

### თ ა ვ ი III

#### ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები

მელია რამდენიმე ქვეჟანრის ზღაპრებში ასრულებს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფუნქციას. მიუხედავად ამისა, მისი მოქმედების ძირითადი სფერო ცხოველთა ეპოსია. აქ სრულად იშლება მისი შესაძლებლობანი და გამოკვეთილად ჩანს მისი ავ-კარგი. ის ქართული ცხოველთა ზღაპრის ყველაზე პოპულარული პერსონაჟია მსგავსად ევროპული ცხოველთა ეპოსისა. ტრიქსტერი მელია მსმენელის სიმპათიებს იმსახურებს როგორც საზრიანი, წინდახედული, მოხერხებული, ჭკვიანი და გულადი პერსონაჟი. მელიის ეს ღირსეები ზღაპარში წინა პლანზეა წამოწეული, რადგანაც ხალხი ამ თვისებათა დიდი დამფასებელია და სწორედ მათ გამო არის მის მხარეს.

ის სიუჟეტები მელიის მონაწილეობით, რომლებიც ცხოველთა ეპოსს განეკუთვნება, თავის მხრივ, რამდენიმე ტიპს აერთიანებს, ისინი განირჩევა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სიუჟეტური ქარგით, მოტივთა წრით და პერსონაჟთა ხასიათით.

პირველ ჯგუფს მივაკუთვნებთ იმ ზღაპრებს, სადაც მელია ცბიერებითა და მუხანათობით ღუპავს თავის „ძმობილს“ და საერთო ნადავლს, ან თვით „ძმობილს“ საკვებად ისაკუთრებს.

მეორე ჯგუფში შევლენ ის ზღაპრები, სადაც მელია ტყუილით ცდილობს ფრინველთა შეცდენას და მათ შეჭმას. გარკვეულად კიდევ აღწევს მიზანს, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაუმაძღრობის მსხვერპლი ხდება და ერთ-ერთი ფრინველის საზრიანობითა და მოხერხებით იღუპება.

მესამე ჯგუფში – მელია მარტო ვერ ართმევს თავს ამოცანას და დამხმარეს უხმობს.

მეოთხე ჯგუფში – ის მოსამართლე და საქმის გამრიგეა.

## § 1. მელია და გარეული ცხოველები

პირველი ჯგუფის ტრიქსტერი მელია აქტიური პერსონაჟია. ის ან მოქმედებს, ან მომენტს ეძებს სამოქმედოდ. ყველაფერს თვითონ, თავის შესაძლებლობებზე დაყრდნობით აკეთებს და საკუთარი თავის იმედით არის გამსჭვალული. მელია სულ ახალ-ახალი ოინების ძიებაშია და აინტერესებს, რომელი მათგანი უკეთ, უფრო იოლად, დახვეწილად, ღიმილის მომგვრელად მიიყვანს სასურველ შედეგამდე. ეს პერსონაჟი, ერთი შეხედვით, მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვის, სინამდვილეში კი, როგორც მისი სახელი, მისი გამარჯვებაც მთელი თავისი კოლექტივის, მთელი გვარის კუთვნილებაა.

მელია ამ ტიპის ზღაპარში ყველა მიზანს აღწევს, რასაც კი დაისახავს, მას წინ ვერაფერი გადაელობება, ყველაფერ ამას კი საკმაოდ იოლად, მსუბუქად, აუღელვებლად, ძალდაუტანებლად, ზედმეტი ენერგიისა და დაძაბვის გარეშე აღწევს. თავის გამარჯვებაში დარწმუნებული, თითქოს პირზე ღიმილმომდგარი მოქმედებს. ეს სიმსუბუქე და დამაჯერებლობა მის გამარჯვებას კანონზომიერად წარმოგვიჩენს.

მელია, მსგავსად ყველა სხვა ტრიქსტერისა, დღევანდელი

ეთიკით მორალური არ არის, მაგრამ მსმენელი ტრადიციის ძალითა და მთქმელის განწყობით შეუმცდარად გრძნობს, რომ ეს პერსონაჟი დადებითი გმირია და მას ასეთად ჩვენთვის ამოუცნობი არქაიკის საიდუმლო წარმოგვიჩენს. ეს საიდუმლო კი ნაწილობრივ იმაშია, რომ უძველეს ხალხებს მათი აზროვნების თავისებურებების, რწმენა-წარმოდგენებისა და სოციალური ყოფის შესაბამისად დღე-ისათვის სრულიად განსხვავებული მისწრაფებანი და ეთიკა ჰქონდათ. რაც შეეხება მელიის ზევით ჩამოთვლილ დადებით თვისებებს, ისინი მას თავიდანვე ახასიათებდა. „ფიზიკური ძალა და მოხერხება, მაგია და ეშმაკობა, ხერხიანობა ძალიან არქაული მოვლენაა“ (Мелетинский, 1976, გვ. 274).

ქართულ ცხოველთა ეპოსში, თითქმის, – არ ვხვდებით მელიის, და საერთოდ ცხოველთა დახასიათებას. საკმაოდ იშვიათია შემთხვევა, როდესაც დათვი ასე მიმართავს მელას: „...შენ გაძრომა-გამოძრომა, მელაობა გააკეთეო“ (მსხალაძე, 1973, გვ. 18). სხვა ხალხების ზღაპრებში კი ის მთქმელისეული კომენტარით გაცილებით უფრო ხშირად არის დახასიათებული. მაგალითად, სპარსული ზღაპარი „მელა და წერო“ ასე იწყება: „ერთმა ჰკითხა მეორეს: მელა კვერცხსა დებს, თუ შვილებს აჩენსო? მეორემ უპასუხა: იმისგან ყველაფერია მოსალოდნელიო“ (სპარსული, 1962, გვ. 49). ან კიდევ: „იყო ერთი მოხერხებული მელია, რომელსაც მეტისმეტი სიეშმაკისგან მუცელში ერთი ნაწლავიც კი არა ჰქონდა სწორი“ (იქვე, გვ. 53). გერმანულ ზღაპარში ნათქვამია: „მას ზომ ჭკუა ბევრი აქვს და არც მოხერხება აქვს ცოტა“ (Братья Гримм, 1957, № 74).

მართალია, ქართულ ცხოველთა ეპოსში მელია საგანგებოდ დახასიათებული არ არის, მაგრამ მასზე მისი მოქმედებანი მეტყველებენ, რომლებშიც მშვენივრად ჩანს, რომ ის ცბიერია, მატყუარა, სასტიკი, ეშმაკი, ხარბი, გაუმაძღარი და ქურდი. როგორც ვხედავთ, მას ღირსებათა პარალელურად უარყოფითი თვისებებიც გააჩნია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლისა, თუ მკაცრად შევხედავთ მის მოქმედებებს, შეიძლება ითქვას, რომ ის დაუნდობელი, გამმეტებელი და ძმობილის მოღალატეა, მისი არც ერთი სიტყვა არ არის სანდო – ლაქუცითა და ტკბილი ენით შეუძლია ვერაგულად დაღუპოს ახლობელი. საერთოდ, მელია მუხანათურად ექცევა ყველას, ვინც თავის გადარჩენის, ან სხვა მიზნის მიღწევისას დაუპირისპირდება. უნდა ითქვას, რომ არც ერთი ხალხის ზღაპარი მელიის ამ თვისებებზე აქცენტს არ აკეთებს, უფრო მეტიც, ვერ

ამჩნევს და ზღაპრის დასაწყისიდან ბოლომდე მის მხარეზეა, მისადმი თბილად და სიმპათიურადაც არის განწყობილი. არამარტო მთქმელებს, ზღაპრის მეკლევრებსაც კი არ გაუმახვილებიათ ყურადღება მელიის ამ უნარზე მიუხედავად იმისა, რომ მას მთელ რიგ ზღაპრებში უარყოფითი თვისებებით შემკული გაბატონებული კლასის წარმომადგენლად თვლიდნენ. ეს კი ამ ნაწარმოების ღირსებად უნდა ჩაითვალოს – ისე ოსტატურად არის ხალხისათვის სასურველი განწყობა გაბატონებული ნაწარმოებში, რომ გამოკვეთილად არც კი იგრძნობა ჩვენი ეპოქის მსმენელის ყურისათვის საზარლად აღსაქმელი მისი ოინები.

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები ურთიერთ შორის დაუნდობელ დამოკიდებულებას იჩენენ. მართალია, ასე ვთქვათ, ბარბაროსული მომენტების ჩვენება ზღაპრის მიზანი არ არის, მაგრამ მათ გაუთვალისწინებლად ამ ჟანრის სწორად გაგება გაჭირდება. მათზე დაკვირვებით ვხედავთ, რომ მელია მარტო ღიმილის მომგვრელი, მიმზიდველი ცხოველი კი არ არის, ან უბრალოდ მოხერხებული, უთვალავი სასაცილო და გონებამახვილური ოინების ჩამდენი, არამედ ის შეუპოვარი, ბრძოლისუნარიანი, მიზანდასახული არსებაა, რომელსაც წინ ვერაფერი გადაელობება და ბრძოლაში, რომელიც სრულიად შეგნებულად წამოიწყო, საბოლოო გამარჯვება მას დარჩება.

თითქოს უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილიც კი გამოსავალს პოულობს. მელია ფარ-ხმალს არასოდეს ყრის და არამარტო თავს იხსნის გარდაუვალი დაღუპვისაგან, თავისი ძირითადი მიზანიც სისრულეში მოჰყავს – ღუპავს თავის მტერს. მაგალითად, მგლის თათებში მოხვედრილი მელია გამოაცხადებს, რომ ცხოველთა დაჭრელების ხელოვნებას ფლობს. თითქოს უკვე განწირული მელიის ეს სიტყვები უადგილო, უსუსურია და უნებლიე ღიძილს იწვევს. მაგრამ რადგანაც შეჩვეულნი ვართ მის ყოვლისშემძლეობას, ეს ყველაფერი უბრალო თავმოკატუნებას ჰგავს საბოლოო გამარჯვების მისაღწევად გარინდულს. ასეთ დროს მთავარია, მელიამ ერთი ხმის ამოღება მაინც მოახერხოს, მერე კი წინ ეელარაფერი დაუდგება.

## § 2. მელია და ფრინველები

მელია ყოველთვის ვერ გამოდის გამარჯვებული ქართულ ცხოველთა ეპოსში და საერთოდ, უძლეველი, დაუმარცხებელი პერსონაჟი ხალხურ ცხოველთა ზღაპრებში არ არსებობს. ასეთი მდგომარეობა გვაქვს არა მარტო ქართულ, არამედ – მსოფლიოს ყველა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. თურმე ყველას დამარცხება შეიძლება, მხოლოდ ხერხი (საშუალება) უნდა მოიძებნოს სათანადო; ცხოველთა ზღაპრებში იკვრება წრე, სადაც ერთის მძლეველი მეორის მიერ ძლეული ხდება (Проделки, 1977, გვ. 18). საბოლოოდ ყველას თავისი მიეზღვება. ტრადიციად ქცეული ეს წესი სძენს ამ ზღაპრებს ჰუმანურ გაგებას. კიდევ უფრო ამაღლებს საზრიანობისა და მოხერხებულობის მნიშვნელობას.

მთქმელმა უკვე იცის, მართალია, ერთგან იმარჯვებს ეშმაკი მელია, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, სადაც თვითონ ხდება სხვისი ოინების მსხვერპლი. მეორე ჯგუფის ზღაპრებში, სადაც მელია ფრინველებთან ურთიერთობისას მარცხდება, მას სიხარბე, გაუმაძღრობა წასძლევს ხოლმე. ფრინველებმაც იციან მისი სისუსტის ამბავი და ამას ყოველთვის იყენებენ. ამ ჯგუფში შევა ისეთი ზღაპრები, როგორიცაა: „იერუსალიმს მიმავალი მელია“, „მამლისა და მელიის ზღაპარი“, „მელია და კაკაბი“, „მელია და მწყერჩიტა“ და სხვა.

ამ ზღაპრებში მელიას უბრალო სიტყვით აღარ ენდობიან. ისიც ახალ ხერხს პოულობს – ბერად შემდგარი იერუსალიმს მიემგზავრება. ახლა კი წაპყვებიან: მამალი, ბატი, ძერა, მწყერი და ოფოფი – ეს სხვა მელააო. იმას კი აბა რა შეცვლის და მალე გაამჟღავნებს კიდევ თავს, მაგრამ უკვე გვიან არის – ერთმანეთის მიყოლებით იღუპებიან გულუბრყვილო ფრინველები. სხვების მწარე მაგალითი ბოლოსთვის შემორჩენილ ფრინველს ძალასა და აზრს ჰმატებს და ისიც მელიასავე ხერხით – მოქარგული ენით გადაირჩენს თავს და მელასაც საბოლოო განაჩენს გამოუტანს. ზღაპარში „მელია და მამლები“ მელამ სალოცავად ორმოცი მამალი წაასხა, მერე კი მიადგა და მუსრის გავლებას შეუდგა (ფ.არქ. 13115). მხოლოდ ხუთმა მამალმა მოახერხა თავის დახსნა – თვალები დათხარეს მელას და მწევარს შეაჭამეს.

კარგი სეირი უყო მწყერჩიტამაც მელიას: მაძღარმა მელიამ ჯერ პირობა მისცა, საჭმელი მომანელებიწე და ხელს აღარ გახლებო.

მწყერჩიტაც მიეხმარა, მაგრამ მოშიებულმა ისევ მოინდომა პირის წატანება, მწყერჩიტამაც გამოასწორა თავისი შეცდომა და ისეთი ოინი უყო, რომ თავი გაატეხინა. ზღაპარში „მელიას თხოვნა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 9) მამალი აღარ ტყუვდება, როცა მელიამ სიმინდის ასაკერფად დაპატიჟა. მამალმა უთხრა – კარგი, დედ-ლებსაც მოვიყვანო და ძაღლები კი მიუყვანა.

მელიას, მართალია, ზღაპარი ხარბს და ღორმუცელას არ უწოდებს, მაგრამ სიუჟეტის განვითარებიდან ჩანს, რომ სწორედ ამ თვისების მსხვერპლი ხდება, ეკარგება რა სიფრთხილე და წინდახედულება.

მოგვიანებით, როცა დაუნდობლობით მოპოვებული გამარჯვების მიმართ საზოგადოებაში კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა, ასეთი გზით მოსიარულე საბოლოო მიზანს ვეღარ აღწევს. პირიქით, სხვისთვის ავის მსურველი თვითონ იღუპება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბოროტება და ავკაცობა აღარავის შერჩება. სოციალური პირობების გაუმჯობესება, როგორც ჩანს, მეტი კეთილმეზობლური ცხოვრების საშუალებას იძლევა და უარყოფითი დამოკიდებულება უკვე გასაკიცხია. ყველა ხერხის გამოყენება მიზნის მისაღწევად აღარ შეიძლება და კრიტიკულად განიხილება. ამ ტიპის ზღაპრებში დაუნდობლობა და მტრობა ვეღარ იმარჯვებს, პირიქით, მისი მოსურნე თვითონ მარცხდება და იღუპება კიდევ. ე.ი. სწორედ ის არის დაგმოხილი, რაც უწინ ჩვეულებრივი და მიღებული იყო.

მელიის დამარცხებაში უკვე ხალხის უარყოფითი პოზიცია ჩანს ძალადობისადმი.

ამ ტიპის ზღაპრებს სხვებთან ერთად მიეკუთვნება ზღაპარი „ჩიტი და მელია“: ჩიტმა ტყეში ხეზე ბუდე გაიკეთა, შიგ სამი კვერცხი ჩადო და გამოჩეკა. კვებავდა, უვლიდა – ჩქარა დავაფრენო, მაგრამ მიაგნო მელიამ და დაემუქრა: შენც შეგჭამ და შენს შვილებსაცო. შეშინებულმა ჩიტმა სხვა გამოსავალი ვერა ნახა და რიგრიგობით სამივე ბარტყი ჩამოუგდო. ბოლოს გაუმაძღარი მელია მონადირემ მოკლა. მონადირის ეპიზოდი ყველა ვარიანტში არა ჩანს. ამის გარეშე კი ეს ზღაპარი გარკვეულად დაუსრულებელ შთაბეჭდილებას ტოვებს და ერთგვარი უკმარისობის გრძნობასაც გვიჩენს. თხრობა თითქოს იქ წყდება, სადაც ძირითადი ამბავი უნდა დაწყებულიყო. ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ სწორედ ის ვარიან-ტია დაბეჭდილი, სადაც მონადირის ეპიზოდი არ ჩანს.

ქართული ზღაპარი „ჩიტი და მელია“ ერთი შეხედვით ცალკე დგას თავისი ბუნებით იმ ჯგუფის ზღაპრებისაგან, სადაც მელია ფრინველებთან მარცხდება. მაგრამ ეს თავისებურება, მისი ფრაგმენტულობით არის გამოწვეული. ამ ნაკლული ფორმით მის დამკვიდრებას ხელი ალბათ „დედა ენამაც“ შეუწყო. ქართულ ზღაპარში ფრინველების შემართება მელიის წინააღმდეგ და მისი საკუთარი ძალით დამარცხებაც გვხვდება. მაგალითად, „მასალათა კრებულში“ დაბეჭდილ ინგილოურ ვარიანტში „კოდალა, მელია და ყორანი“ (СМОНПК, 1903, გვ. 131) კოდალამ ორჯერ ჩაუგდო მელიას ბარტყი, მესამედ კი ყორანმა დაარიგა ჭკუა და იმასაც მელიისა აღარ შეეშინდა. მელია მიხვდა ყორნის ოინს და სამაგიეროს გადახდის მიზნით დაიჭირა. მაგრამ ყორანმა თავს მაინც უშველა, მელია კი ქოფაკს დააგლეჯინა.

ამ ტიპის უცხოური ზღაპრებიც ფრინველების გამარჯვებით მთავრდება. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს. მაგალითად, სპარსული ზღაპარი „ყვავი და მელია“ (სპარსული, 1962, გვ. 57-60): ყვავმა თელის ხეზე ბუდე გაიკეთა, ხუთი-ექვსი ბახალა გამოჩეკა, მაგრამ იქაც გაჩნდა მელია, რომელმაც გადაწყვიტა, როგორმე დასტყუოს ბახალები. ყვავიც უყრის ბახალებს, მაგრამ აქ ჩანს, რომ ბახალების გადმოყრა ყვავს დროის მოსაგებად ჭირდება. ამასობაში კი კატკაჭი დაარიგებს – ნუ გეშინია, მელია ხეს ვერ მოჭრისო და ამის შემდეგ მელია უკვე ხახამშრალი რჩება. ამ ტიპის ზღაპრებში პირველი მსხვერპლი გარკვეულად აფხიზლებს და ჭკუას ასწავლის სხეას, ეს კი მელიის საბოლოო დამარცხებისათვის არის საჭირო.

ინდურ ზღაპარში „ჩიტუნია და სპილო“ (ინდური, 1970, გვ. 18-19) მელიას სპილო ენაცვლება.

აქ უკვე ჩიტი თვითონ ზდება, როგორ უნდა მოიქცეს:

„-აღარ გაბედო და ამ ხეს მეორედ აღარ გაეკარო, თორემ შენს სეირს გაყურებინებო“.

როცა იგივე მესამედ განმეორდა, გაბრაზებული ჩიტუნია სპილოს ყურში ჩაუძვრა. ფრთებით უღიტინებდა და ბრჭყალებით ფხაჭნიდა. სპილო ვერაფერს გახდა და „ბოლოს ქანცგამოლეული ძირს დაეცა. ჩიტუნია ამოფრინდა სპილოს ყურიდან და თავის ბარტყებთან დაბრუნდა. ის დღე იყო და ის დღე, სპილო აღარ გაჰკარებია იმ ხეს...“

ტაჯიკურ ზღაპარში „ჭივჭავი და სპილო“ (ტაჯიკური, 1972, გვ. 198-200) გამწარებულმა ჭივჭავმა რჩევა ყვავს ჰკითხა, იმან

ფუტკართან წაიყვანა, იმან კი- ბაყაყთან. ყველამ ერთად ჭკუა ასწავლეს სპილოს და „ამის შემდეგ სპილო ყველაზე კეთილ და უწყინარ ცხოველად იქცა“.

ტაჯიკური ზღაპარი „ჩხიკვი“ (იქვე, გვ. 157-159) განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს ქართულ ზღაპართან. აქ ბოლოს ჩხიკვმა ველარ მოითმინა და ერთ ბრძენ ყვავს ჰკითხა რჩევა.

მელია ხახამშრალი რომ დარჩა, „იფიქრა, იფიქრა და მიხვდა: ამას ნამდვილად ის წუწკი ყვავი ასწავლიდაო. მიხვდა და დაიფიცა, -...ყვავს მზეს დავუბნელებო.

...გზის პირას დაწვა და თავი მოიმკედარუნა, ...ყვავის მოახლოებას ელოდა“. ყვავი მოტყუვდა. მელიასაც ეს უნდოდა და სტაცა პირი. ყვავმა თავის გადარჩენა მაინც მოახერხა - დაპირებებით თავი გააშვებინა და პირობა აღარ შეუსრულა. „გაბრაზებულმა მელიამ ყვავის დაჭერა მოინდომა, კლდიდან ისკუპა... და ძვალი და რბილი გაუერთიანდა. ასე გადაარჩინა ყვავმა ჩხიკვი, თავიც დაიხსნა და მელიაც დაღუპა“.

ქართულ ფოლკლორში გვაქვს ერთი სიუჟეტი, სადაც მელია ასეთი მოტყუებით იჭერს ყვავს - ჯერ ღმერთის წყალობას ელოდა, მერე კი მიხვდა შიმშილისაგან დასუსტებული, რომ მოცდა აღარა ღირდა, თვითონვე „გაექანა“ და მიზანსაც მიაღწია. ეს ქართული ზღაპარიც ფრაგმენტულია, თუნდაც იმიტომ, რომ ფრინველებთან ტრადიციულად მელია მარცხდება, აქ კი ასე არ ხდება. თითქოს ქართულ ზღაპარს უკვე სხვა გააზრება აქვს შეძენილი. აქ მელიის, გამართლებაც კი არის მოცემული - როცა ის არ აქტიურობდა და მხოლოდ ღმერთის წყალობას ელოდა, კინალამ დაიღუპა შიმშილისაგან.

თუ ჩავთვლით, რომ ქართულ ზღაპარს „ჩიტი და მელია“ დაკარგული აქვს დასასრული, სადაც ფრინველები თავიანთი მოხერხებით ამარცხებენ მელიას, ეს ზღაპარიც იმ ჯგუფისად ჩაითვლება, სადაც მელია ფრინველებთან მარცხდება. ამ ზღაპრის ფინალში სამართლიანობა მიღწეულია, მაგრამ უკვე ადამიანის დახმარებით. ჩიტმა ეს ვერც დამოუკიდებლად მოახერხა და ვერც მეგობრების საშუალებით და თავისი ბარტყებიც უმწეოდ შეაჭამა მელიას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო ჩიტი-ჩიორას უბედურება მონადირემ და მელია მოკლა. მართალია, ეს დასასრული აზრობრივად ორგანულია ზღაპრისათვის - მასში მთქმელის სურვილიც სახეზეა და ზღაპრის ძირითადი მიზანიც ჩანს, მაგრამ ის

გარკვეულად ხელოვნური და გვიანდელი უნდა იყოს. რასაკვირველია, ადრინდელი ფინალი ის იქნებოდა, ჩიტს თვითონ მოეხერხებინა თავის შველა და მელიის დამარცხება.

როგორც ვნახეთ, პირველი ჯგუფის ზღაპრებისგან განსხვავებით, აქ მელია მარცხდება. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორშიც. ამის თაობაზე ვ. ბობროვი წერდა: „შეუძლებელია, ჩვენს რუსულ მელიაზე გქონდეთ ერთსახოვანი წარმოდგენა“ (წიგნი, 1909, გვ. 86). ეს ზაპრები პირველი ჯგუფის ზღაპრებთან შედარებით გვიანდელი პერიოდისაა და აქ სამართლიანობის სურვილი და მისი მიღწევის რწმენა გამოსჭვივის.

ცხოველთა ეპოსში ცალკე ჯგუფს ქმნიან ზღაპრები, რომლებშიც მელია შინაურ ცხოველებთან ერთად მოქმედებს. ეს ზაპრები გენეტიკურად აგრარულ რწმენებს უკავშირდება და ისინი ცალკე გვაქვს განხილული ჩვენს წიგნში - „უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“, IV თავის I პარაგრაფი - „აგრარულ მოტივთან დაკავშირებული ცხოველთა ზღაპრების მთავარი გმირი“.

### § 3. მელია და ადამიანი

დროთა განმავლობაში მიწათმოქმედების თემა შემოიჭრა ცხოველთა ეპოსში. ზღაპარში „გლეხი, დათვი და მელია“ უკვე ყანის მუშა-გლეხი გვხვდება პერსონაჟად და არა უბრალოდ კაცი ან მონადირე. ამ ზღაპარში დათვს პანტა ვერ მოენელებინა და გორაობდა. გლეხმა დაინახა და დათვის თხოვნის მიუხედავად ეს საიდუმლო არ შეინახა - ცოლს გაანდო. დათვმა იწყინა ეს ამბავი, მივიდა ყანაში გლეხთან და გასძახა:

„ადრე გამოხნავ, ადრე გამოგხრავ,  
გვიან გამოხნავ, გვიან გამოგხრავ“.

ეს მელამ გაიგო და გლეხს მაშინვე გამოექომაგა - ასწავლა, როგორ მოეკლა დათვი. ამ სიუჟეტში დათვის ნაცვლად იშვიათად მგელიც გვხვდება.

ამ ზღაპარშიც მელიაა აქტიური. აქ მისი ფუნქცია უკვე გლეხის - კაცის ერთგულებაა და მისი მხსნელის როლში გვევლინება. რაც შეეხება დათვს, ის ძლიერი ცხოველია, სახნისმომარჯვებელი კაცი უძლურია მის წინაშე და გლეხი და მელა მხოლოდ გაერთიანებული

ძალით აღწევენ სასურველ შედეგს. მართალია, ერთ ვარიანტში დათეს მელიის ხმის გაგონებაზე უკვე შიშის ზარი დაეცა (მსხალაძე, 1973, გვ. 29), მაგრამ მეორეგან მელიამ დათვის შესაშინებლად მოიგონა – ხელმწიფის ჯარი მოდისო (ფ.არქ. 1142).

ამ ზღაპარში, თითქოს, ტაბუს დაცვაა საჭირო. სანამ კაცი მას იცავს, კარგად მისდის საქმე, მისი დარღვევის შემდეგ კი-ცუდად: დათვი ან მგელი სირცხვილს გაენდობა კაცს იმ პირობით, რომ არ გაემხილა. კაცი ინახავდა საიდუმლოს, მაგრამ ბოლოს ცოლს გაუშლავნა და თუ აქამდე მგელი ყოველდღე ცხვრით ასაჩუქრებდა. ახლა უკვე სიკვდილით დაემუქრა (მსხალაძე, 1973, გვ. 29).

ამ ზღაპარშიც, როგორც უკვე ვნახეთ, მელიაა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მაგრამ ის აქ უკვე საქმის გამრიგება – მოწინააღმდეგეთა ბედის განმკარგავი. ასევე სხვათა საქმის მომწესრიგებლის, მოსამართლის როლში გამოდის მელია ზღაპარში: „მელია“ (ფ.არქ. 21935). ეს ზღაპარი „მელიას ოინებთან“ ერთად, ცალკე ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს.

ზღაპარში „მელია“ კაცმა მგელი ტომარაში დამალა და მონადირეებისაგან გადაარჩინა. მგელი კი კაცს მიუბრუნდა – უნდა შეგჭამოო. სამართალი მელას კითხეს, იმან კი ვითომ საქმის უკეთ გარჩევისთვის, მგლის ისევ ტომარაში ჩაძრომა ჩათვალა საჭიროდ. მერე კი კაცს უთხრა – მოკალიო. ასე გამოიტანა მელიამ სამართლიანი განაჩენი და გადაარჩინა კაცი.

კაცი გადაარჩინა მელიამ უმაღური გველისაგანაც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იხსნა კაცმა. აფხაზურ ფოლკლორში გვხვდება ამ ტიპის ზღაპარი „მუსულმანი მონადირე და ტახი“, სადაც ჩანს როგორც გამოსარჩლების მიზეზი, ასევე-გველის მტრობისაც. აქ მუსულმანი მონადირე ტახის გოჭს მიეხმარა ტალახიდან თავის დაღწევაში. ერთხელ მონადირემ ტყეში ირემი მოკლა. ამ ირემის რქიდან ამოძვრა გველი, შემოეხვა მონადირეს და ხეზე მიაჯაჭვა. მაგრამ გამოჩნდა ტახი, რომელმაც ის გადაარჩინა – გველი დაფლითა (Зухна, 1970, გვ. 61). ეს სწორედ ის ტახი იყო, რომელიც მონადირემ ტალახიდან ამოიყვანა. შესაძლოა, ადრე ქართულ ზღაპარსაც ჰქონდა ადამიანისა და გველის (მგლის) მტრობის და მელიისა და კაცის ერთგულების მიზეზის ახსნა, რომელიც ჩვენს ზღაპარში აღარა ჩანს.

ტრიქსტერ მელიას ძირითადად ერთი მიზანი ამოძრავებს, ის ყოველმხრივ ჩამოყალიბებულ სახეს ქმნის და როგორც უკვე

ვნახეთ, მრავალფეროვან სიუჟეტებში გვხვდება. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ცხოველთა ზღაპარს მხოლოდ მოქმედების შედეგი კი არ აინტერესებს, მისი განხორციელების საშუალებათა მრავალფეროვნებაც იზიდავს.

#### § 4. მ გ ე ლ ი

მგელს მელიის ტყუილებით სიცოცხლე აქვს გამწარებული, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ სწავლობს: მელია ხან მარხვას იმიზეზებს (მსხალაძე, 1973, გვ. 14), ხან „გულითადობას იჩენს“ და მგელს ხაფანგში აგდებს: „მელიამ მოიყვანა ხაფანგთან და უჩვენა: „აგერ ხორციო. მგელმა რომ დაინახა, მივარდა და ჩაეარდა ხაფანგში“ (იქვე, გვ. 17; გაჩეჩილაძე, 1976, გვ. 123; ფ. არქ. 22598). მელამ დიდი ყინვების დროს თევზის დაჭერაც ასწავლა მგელს: კუდი წყალში ჩაყავი მთელი ღამის განმავლობაში და რამდენი ბეწვიც აბია შენს კუდს, იმდენი თევზი მოეკიდებაო. სინამდვილეში მგელს კუდი წყალზე მიეყინა, მელიამ კი გლეხები დაახვია და ჯოხებით აცემინა. გამწარებული მგელი „აიწია რაც ძალი და ღონე ქონდა, კუდი იქ ჩატიო, თავს უშველა თავგატეხილმა და უკუდომ“ (ფ.არქ. 1145; რაზიკაშვილი, 1951, № 27; ფ. არქ. 367; სიხარულიძე, 1938, № 244; ფ. არქ. 30981; ფ. არქ. 5377).

სხვა შემთხვევაში: „ჩასო მგელი გოდორში და დააგორა. თან დაუძახა მეცხვარეს: -მგელის გოდორი მოდისო. მეცხვარეებმაც იმდენი სცემეს მგელს, დააოსეს“ (ფ.არქ. 21114; რაზიკაშვილი, 1951, № 27; ჩიქოვანი, 1938, № 4; ღლონტი, 1974, გვ. 387-391). ერთხელაც შიმშილისაგან გაწამებულს „დაუდგა მელია და გაუკერა უკანა ტანი. წავიდა მგელი თავის გზაზე. მგელს მალე გაუჭირდა საქმე. დაიწყო ყვირილი, როგორც იყო გამოგლიჯა უკანა ტანი და მორჩა“ (რაზიკაშვილი, 1951, № 27; ღლონტი, 1974, გვ. 384-391); მელამ მგელი ბოსელში შეიყვანა. იქ ისე გამოძლა, რომ გამოსვლა აღარ შეეძლო. მიუსწრეს და მოკლეს (რაზიკაშვილი, 1951, № 123).

მგელი მუდამ მელიისთვის სამაგიეროს გადახდას აპირებს: „-თუ შეგხვდი, უეჭველად უნდა მოგკლავ“ (ფ. არქ. 30981). ხშირად მგელი საწადელთან ახლოსაც არის: აი, როგორც იქნა დაიჭირა, შეუძლია, მიზანსაც მიაღწიოს, მაგრამ ყველაფერს დახარბებული მგელი ახლა კატკაჭივით დაჭრელებას მოინდომებს (ფ.არქ. 21114),

მიენდობა ცბიერ მელისა და გაწბილებული რჩება. მელისა ამ მომენტს ხელიდან არ გაუშვებს და სიცოცხლეს გამოასალმებს მგელს: „სანამ სახნისი გაწითლდებოდა, მელამ მგელი შეკრა. გამოიღო სახნისი და დაუწყო დინგზე სმა. მანამ უსო მელამ, სანამ მგელს სული გასძვრებოდა“ (ფ.არქ. 30981). სხვა შემთხვევაში დაუნდობელმა მელიამ შამფურით ორივე თვალი დათხარა მგელს, კლდიდან გადაჩეხა, მერე კი „ჩავიდა მელა, ღაჯდა და შეჭამა ეს მგელი“ (ფ.არქ. 21114).

ასევე მოხდა სხვა შემთხვევაშიც. მელიის ორეულმა ქართულ ცხოველთა ზღაპრებში – ტურამ მგელი აღულებული წყლით „ამოხრუკა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 21) ზღაპარში „დათვის, მგლისა და მელიის ამბავი“ (ლლონტი, 1974, გვ. 387-391) მელამ გამწარებულ დათვის, რომელსაც ცოტა ხნის წინ ბელები დაუხარშა, მიუგზავნა მგელი – შეილების ქორწილი აქესო და მაგრად აცემინა. ზღაპარში „ლომი და მელისა“ (ჩიქოვანი, 1938, № 7; ჩიქოვანი, 1963, გვ. 21; ლლონტი, 1974, გვ. 392) კი ავადმყოფ ლომს (ვეფხვს) წამლად შესთავაზა მგლის კოჭი ან მგლის ტყავში გახვევა: „მირჩიეს: მგელს ფეხი მოსტეხონ, კოჭი ამოართვან და ნადირთ მეფეს მიართვანო! მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი. მგელს თქრიალით წამოუვიდა სისხლი, ფეხები სულ გაუწითლდა და მწარე ღმუილით მოშორდა მხეცებს“ (ჩიქოვანი, 1963, გვ. 21).

მგელი თავისი უნიათობით მუდამ მარცხდება, მაგრამ ყოველთვის არ იღუპება. მაგალითად, შინაური ცხოველები: ცხვრები, თხები, კეცი, ვირი, ცხენი, ხბორები, ბატკანი, ძროხა, ზაქები სამაგიეროს უხდიან მას ბოროტი განზრახვისთვის და ხახამშრალს უშვებენ.

მგელი ცხოველთა ზღაპრებში თავისი მოუხერხებლობით მუდმივად მშიერია, სულ სარჩოს მოპოვებას ცდილობს, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. საკმაოდ ბრწყინვალე ცხოველია და ხელიდან ყველაფერი უსხლტება, რაზეც ბედი მიაგდებს. მასზე გაუმაძღარს ვერც ვიტყვით, რადგანაც მხოლოდ შიმშილის დაკმაყოფილებას ცდილობს. მისგან თავის დახსნა საკმაოდ ადვილია. მაგალითად, ზღაპარში „მგელი, თხა და ცხენი“<sup>2</sup>: „დამშეული მგელი თხას

<sup>2</sup> ამ სიუჟეტის ზღაპრებია: ფ.არქ. № 106, 551, 590, 21934; მგელი საქართველო, ტ. II, გვ. 183-184; ქართული (აჭარული) ზღაპრები, გვ. 29; ქართული ზღაპრები, აღ. ლლონტის შედგ., 1974, გვ. 395.

შეხვდა და უთხრა: „უნდა შეგვჭამო! თხა არ დაიბნა“<sup>3</sup>, სთხოვა - ჯირკზე ავალ, გადმოვხტები და მერე შემჭამეო. მგელი დასთანხმდა, „თხა გადმოხტა და ისე მოკურცხლა, რომ მგელმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო“. „ხახამშრალი მგელი თავის გზას გაუდგა და წინ ახლა ცხენი შემოეყარა“. მისი თხოვნაც შეასრულა, ამ უკანასკნელმა კი წიხლი ჰკრა. მგელი ცხრაჯერ გადაკოტრიალდა და მიწაზე გაიჭიმა.

სხვაგან ცხვრებს უთხრა მგელმა: „-ხორცი მინდაო.- სულ შენი არა ვართო, ოღონდ მამიშენისეული მაყრული გაგვაგონეო. გაუხარდა მგელს, დაიწყო ღმუილი“ (ფ.არქ. 551). გამოცვივდნენ, კინალამ დაახრჩვეს ძაღლებმა. ახლა ზაქებს უთხრა: „-ხორცი მინდავო!... ზაქებმა უთხრეს: -ეს მინდორი გაგვიყავიო, მემრე შეგვჭამევო“. აქეთ-იქიდან მისცვივდნენ ზაქები, „გვერდები სულ დაუმტერიეს“. ზღაპრის დასასრულს, თითქოს, შეიგნო მგელმა თავისი შეცდომები და თავისთვის ბუტბუტებდა: „-მამაჩემი როდის იყო მომღერალიო, რო მე გამოველიო; მამაჩემი როდის იყო ზემლამერიო, რო მე მესწავლა ზემლამერობაო! მაგრამ არც ეხლა დააყენეს მგელი; სოროში კაცი დახვდა ატუზული, წაავლო კუდში ხელი და იქიდანაც გამოაგდო. მგელმა წაიბუტბუტა: -ჩემ სახლში ჩემ გულის პასუხს არ მათქმევინებთ?!" ზღაპარ „მგელ და თხაშიც“ (ფ.არქ.21934) სოროში კაცი დახვდა მგელს და კომბლით მაგრად მიბეგვა. ამ სიუჟეტის მქონე რუსულ ზღაპარში ზოგჯერ მგელს მრჩეველი ჰყავს, რომელიც ყოველი წარუმატებლობის შემდეგ მას სხვა ცხოველს სთავაზობს (Пронин, 1976, გვ. 251). მრჩეველის როლში აქ მელა გვხვდება, რომელიც თავისი რჩევებით ღუპავს მგელს.

ერთ-ერთ ზღაპარში მგლის უმწეობით გაკვირებული მთქმელი ცდილობს მისი უსუსურობის ახსნას და მას დაბერებულად წარმოგიდგენს: „იყო ერთი წუწკი მგელი. ისეთი გაემშაყებული იყო ეს მგელი, რომა არსად არაფერი არ გვეცლებოდა. აკლებული ჰყავდა მთელი ფარეხები. გავიდა ხანი და დაბერდა ეს მგელი. დაბერდა და კბილები დაცვინდა. უკბილოა და ვერაფერს ვეღარ აწყობს. ჩავარდა საგონებელში. შიმშილით კუჭი ეწვება ხშირათ“ (ფ.არქ. ქ. 76, გვ. 47). უკბილო მგელი ნათლულმა მელამ ციყვს მიუგზავნა - რკინის კბილების ჩამჯენიაო. ციყვმა კი ხის კბილები

---

<sup>3</sup> აქ ციტატები მოტანილია ზღაპრიდან „მგელი, თხა და ცხენი“-ლაზური ზღაპრები, შემდგ. ზ. თანდილაძე, 1970, გვ. 18-19.

ჩაუსვა. ვითომ ნამკურნალევი მგელი დაერია ცხერებს, მაგრამ მთელი კბილები ერთბაშად დასცივდა. უკბილომ ვეღარც ციყვსა და მელაზე იყარა ჯავრი და „დაუწყო ცდა შიმშილით სიკვდილს. მელამ და ციყვმა გაიგეს ეს ამბავი და სულ სიცილით იჭაჭებოდნენ“.

მგლის სიუჟეტის მქონე ცხოველთა ეპოსში გვხვდება ისეთი ზღაპარი, სადაც მგელი მელის მსგავსად „სამღებრო ჭურში ჩავარდა... როგორც იყო ჭურიდან ამოხტა სულ ლურჯად შეღებილი“ (ჩიქოვანი, 1938, გვ. 31-32; ფ. არქ. 23869). ამანაც შეიფერა ახალი სამოსი და გზას გაუდგა. შეხვდა თხას, ძაღლს, ვირს, მამალს. მგელმა მათ უთხრა: „...მივდივარ საბეროში, სული უნდა ვიცხოვნო“. თან გაჰყვნენ. ბოლოს მგელმა მათ შეცოდებანი ვერ შეუნდო და ერთმანეთის მიყოლებით გამოასალმა სიცოცხლეს. ძაღლს კი უთხრა —ხალხს აწუხებ ყეფითო. მათში ყველაზე საზრიანი ძაღლი გამოდგა — მგელს მსუქან ცხერებს შეჰპირდა, მეცხვარეების ბინაზე კი მიიყვანა. „ამ ძაღლმა დაიყუჟა და გააღვიძა სხვებიც... ეცნენ ყველა ძაღლები მგელს და სულ ლუკმა-ლუკმა დაგლიჯეს... მგელს კი სიხარბით თხა და მამალი შესაჭმელი დარჩა“.

გვაქვს ისეთი სიუჟეტიც, სადაც მგლის ბერად შედგომისთვის აუცილებელი არ არის მისი ლურჯად შეღებვა. ის უამისოდაც მიდის იერუსალიმში (ფ.არქ. 509; 7404; რაზიკაშვილი 1951, №25; ჩიქოვანი, 1938, №18): „ეხ, შე ოხერო ჩემო თავო... მრავალი ცოდო გადევს კისერზე, ეხლა უნდა იერუსალიმში წავიდე ცოდვების მოსანანიებლათ. ადგა მართლაც და წავიდა“ (ფ.არქ. 590). გზაზე შემოხვდნენ: ცხვარი, ვირი და ძროხა, მიესალმნენ: „— გამარჯობა ჩვენი სულის მტერო... ჩვენი სულის ბატონო“. თან კი არ გაჰყოლიან და არც მგელს უფიქრია მათი წაყვანა: „...წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო“—უთხრეს. „მოშივდა გზაში. თქვა: —...იმ ძროხას ჯერ შეეჭამ და მერე წავალ იერუსალიმსო. დაბრუნდა და ძროხასთან მივიდა...— ჯერ შენ უნდა შეეჭამო და მერე წავალ იერუსალიმს“. მერე სხვებთანაც მიბრუნდა, მაგრამ სამივემ ჩვეული სიმშვიდით, ჯერ ხახამშრალი დატოვეს მგელი, შემდეგ სიკვდილის პირასაც მიიყვანეს, „ბოლოს კი მეცხვარე მიეპარა და კეტით ცემა“.

ამ სიუჟეტის ზოგიერთ ვარიანტში მგელი კვდება: „ცხენმა მაგრათ მუქნია ფეხი, მიარტყა და სული გააგდებია“ (მსხალაძე, 1973, გვ. 29). მგელი იღუპება, აგრეთვე, ზღაპარში „ვეფხვი, მელა და მგელი“ (ფ.არქ. 5630). მშვიერი მგელი და მელა ვეფხვმა წაიყვანა,

ჭამით გაგაძლობთო. დაეტაკა ვირს, სამად გაგლიჯა და „გადაუგდო ერთი ნაწილი მგელს, ერთი – მელას და ერთიც თვითონ დაიტოვა“. მგელს ეგონა ამას მეც შეეძლებო, იპოვა ცხენი, ორჯერ შემოურბინა, მაგრამ ნირი არ შეცვლია, მესამედ „დაეტაკა ცხენს. გაარტყა წიხლი ცხენმა ცხვირში. გადაბრუნდა მგელი და კვდება. მივიდა მელა და უთხრა: -ახლა ძმაო, კუდიც დაგიგრძელდა, ბალანიც აგემტვრა და თვალებიც ჩაგისისხლდაო“.

მგელს კიდევ ერთი ტიპის ზღაპრებში ვხვდებით. აქ ის შინაურ ცხოველებს შვილებს ან მელიას შვილობილს სტაცებს და უჭამს. ყოველივე ამისთვის საკადრის პასუხსაც იღებს. მაგალითად, ზღაპარში „ციკნები და მგელი“: „თხას სამი ციკანი ჰყავდა. როდესაც თვითონ საბალახოდ მიდიოდა, შვილებს უბარებდა: კარი არავის გაუღოთო: ისინიც იკეტებოდნენ. მათ საიდუმლო მგელმა გაუგოთ – თხას მიბაძა და ციკნებმაც კარები გაულეს. „მგელსაც ეს უნდოდა, მოიტაცა ერთი ციკანი და გაიქცა. როცა თხა მოვიდა, სხვებმა უამბეს რაც მოხდა. დედა თხამ მგელს მუცელი გამოჟატრა. ზოგჯერ კი მგელი დაუსჯელი რჩება (ძველი საქართველო, ტ. II; ფ. არქ. 4900; არჯევანიძე, 1971, გვ. 118).

მგელი ზუსტად ასევე ამწარებს მელიასაც, რომელმაც „საღლაც ტყეში იპოვა ერთი დაკარგული ციკანი. წაიყვანა ეს ციკანი, ერთ საბძელში მოიყვანა და იქ ზრდიდა. როდესაც წავიდოდა ბალახის მოსატანად, კარს დაკეტავდა და ციკანთან კიდევ განდობილი სიტყვა ჟონდა. როდესაც მოვიდოდა საბძელთან და ბალახს მიუტანდა ციკანს, დაუძახებდა: „კარები გამიღე, შენი დედა ვარ, შენთვის ბალახი მომიტანიაო“. ერთ მშვენიერ დღეს, „მგელმა დაუგდო ყური და გაიგო ამათი საიდუმლოება“. მიბაძა მელას და ციკანი შეჭამა. ამის შემდეგ კი მელამ სამაგიერო გადაუხადა მგელს (ფ.არქ. 21114).

ერთხელ მგელმა ღორს მიბაძა და გოჭების შეცდენაც მოინდომა, მაგრამ აქ უკვე არაფერი გამოუვიდა და ხელცარიელი დარჩა (ფ.არქ. 22024).

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟი მგელი საერთოდ ძალიან მოუხერხებელია. საჭიროების შემთხვევაში, თითქოს, სწორედ იმ ერთადერთ საშუალებას ირჩევს, რომელიც ამ მომენტისათვის ყველაზე მეტად გამოუსადეგარია: ჯიქურ მიდის საკბილოზე და პირდაპირ უცხადებს: -„ხორცი მინდაო“ (ფ.არქ. 551); -„უნდა შეეჭამო“ (თანდილავა, 1970, გვ. 18-19). ასე, თითქოს, იმიტომ იქცევა, რომ დარწმუნებულია თავის შესაძლებლობებში, სჯერა

თავისი ფიზიკური ძალისა, მაგრამ ტყუევდება. მხოლოდ ფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობა დიდად საიმედო არ ყოფილა.

შინაური ცხოველი მგელთან შედარებით ფიზიკურად სუსტია და, ერთი შეხედვით, თავიდანვე განწირულიც, მაგრამ ყოველთვის აუღელვებელია და თავდაჯერებული. ის ყოველგვარი პანიკის გარეშე ხვდება მგლის გამოჩენას. თითქოს ელოდა კიდეც და დასახვედრადაც მზად არის. ის ცინიკურადაც მიმართავს მგელს: „სულ შენი არა ვართო, ოღონდ მამიშენისეული მაყრული გაგვაგონეო“ (ფ.არქ. 551). მათ შორის დაპირისპირება არც ხდება, შინაურ ცხოველებს მხოლოდ თითო სათხოვარი აქვთ მგელთან. ისიც ამაყად ყველა თხოვნას ასრულებს. ეს კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ შინაური ცხოველები გადარჩნენ, მგელი კი ხახამშრალი და კარგად მიბეგვილი დარჩეს. ცხვრები, ზაქები და სხვანი საზრიანები არიან და სულაც არ უჭირთ მისი დამარცხება – ყოველი მათგანი თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით ერთი და იმავე მეთოდით ტოვებს მგელს ხელცარიელს. ერთნი თუ ძაღლების მეშვეობით იგერიებენ მგელს, მეორენი დამოუკიდებლად ახერხებენ ამას. მგლის დამმარცხებელთაგან ტრიქსტერი მხოლოდ მელიაა, თუმცა სხვებიც იოლად იცილებენ მას თავიდან.

როგორც უკვე ვნახეთ, მგელი სხვისთვის ავის მსურველია და მართო თავის მუცელზე ფიქრობს. თუმცა, თავისი თავისთვისაც არაფერში უქნია ღმერთს. საოცრად სწორხაზოვნად აზროვნებს, უნიათოა და მისგან ჭკუათამყოფელი მოქმედება არ არის მოსალოდნელი. ის მხოლოდ ერთი-ორგან გამოიჩენს საზრიანობას, მაგალითად, ტურის მიმართ და ისიც უშედეგოდ: ერთგან მგელს ტურის დასჯა აქვს გადაწყვეტილი, სახლში დაიმალება და ცოლს ეტყვის: ტურას უთხარი – სახლში არ არისო და გამოუდგება, მაგრამ ამჯერადაც მარცხდება (მსხალაძე, 1973, გვ. 22). სხვაგან უკუდო მელიებს ორმოზე გადაახტუნებს, რომ გაიგოს, რომელია მისი მტერი მაძლარი მელია. რაც უნდა იმას მართლაც მიაღწევს, მაგრამ საქმეს ბოლომდე ვერც აქ მიიყვანს (იქვე).

მისი უძლურება, იქნებ, მთლად შემთხვევითი არც არის. მგლისთვის ხომ წმინდა არაფერი არსებობს. მაგალითად, ზღაპარში „მარხული მელა“ (იქვე, გვ. 14) მელიამ წინასწარვე იცის, მგელი მარხვას არ დაიცავს და ხაფანგში დამაგრებულ ხორციდან გზავნის. მელიის ვარაუდი გამართლდა – მგელი გაექანა ხორცისაკენ, გაება მახეში და მორწმუნე მთქმელის პოზიციიდან ღირსიც იყო. არც

სხვაგან მოხვდა მგელს ტყუილად, მაგალითად, „ზღაპარში მგელზე“ (ფ.არქ. 551) თვითონვე აღიარა, უარესი მეკუთვნოდა, მამისეულ გზას რომ ვულალატეო: „მამაჩემი როდის იყო მომღერალიო, რომ მე გამოველიო, მამაჩემი როდის იყო ზემლამერი, რო მე მესწავლა ზემლამერობაო!“

ამრიგად, მგლის სიუჟეტის ზღაპრებში სულ სამი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მგელი ტრიქსტერ მელიასთან მარცხდება;
2. შინაური ცხოველები მგელს ხახამშრალს ტოვებენ;
3. მგელი შინაურ ცხოველებს შვილს სტაცებს.

## § 5. დ ა თ ვ ი

დათვი რამდენიმე ტიპის ცხოველთა ზღაპარში გვხვდება, სადაც ის ხან მელიას უპირისპირდება, ხან კი-შველს, კატას ან კაცს. მელიასთან დაპირისპირებისას დათვი გაბრიყვებული რჩება და ხშირად ილუპება კიდეც: მელია მას ქონს პარავს (უმიკაშვილი, 1964, გვ. 283-285; ლლონტი, 1974, გვ. 374-376; ფ.არქ. 1144); გახეთქილ ხეში თათს ჩააყოფინებს (ძველი საქართველო, ტ. II, გვ.186); მეცხვარეს ან მწყემსს აცემინებს (რაზიკაშვილი, 1951, № 24): „-იქ კარგი ღუმაო, - ეტყვის და ხაფანგში გააბამს (ფ.არქ. 13086); ორ ტოტს შუა გაჩხირავს და ცემს (ძიძიგური, 1959, გვ. 273-274); ენას წისქვილის ქვებში მოაყოლებს (ფ.არქ.13086); ბელებს ადუღებულ წყალში ჩაუყრის (რაზიკაშვილი, 1951, № 27; ლლონტი, 1974, გვ. 387-391); ნაკვერჩხლით დათვს ხახას და თვალ-პირს ამოსწავს (ფ.არქ. 5377); მოშიებულს თავისავე თვალს ჩააკნატუნებინებს (მსხალაძე, 1973, გვ. 18); ნაცარს შეაბერინებს და აბრმავებს (ლლონტი, 1974, გვ. 338; ფ. არქ. 1144); შეღების საბაბით ზვინზე აიყვანს და ცეცხლს წაუკიდებს (ჩიქოვანი, 1938, № 4); დაბრმავებულს სალი კლდიდან გადაჩეხავს. ამის მერე კი მელიამ „კლდეს შემოუარა, მიაგნო ლეშს, დაუწყო ჭამა და ისე გასუქდა, რომ კანში ვერ ეტეოდა“ (ფ.არქ. 5377). მელია ამ ტიპის ზღაპრებში ყოველთვის არ შეექცევა თავის ყოფილ ძმობილს, მაგრამ დათვის დაღუპვა გარდუვალაია.

ბუნებით მიმნდობ დათვს მელიისა ყოველთვის სჯერა და მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოისობით სულ ახალ-ახალ უბე-

დურებას აწყდება, ბოლომდე ვერც ხვდება, ყველაფერი მელიის წყალობით რომ მოსდის. რომც მიხვდეს, ვერც ამითი ეშველება საქმეს. მაგალითად, ერთხელ შეიგნო: „მე ტერი დევძმობილე თურ-მეო!“ (მსხალაძე, 1973, გვ. 18), მაგრამ ამასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და მისი ცხოვრება ისევ ტრაგიკულად დამთავრდა.

დათვი წინდაუხედავია, ჯიუტი და თავისნათქვამა. ზღაპარში „დაუჯერებელი დათვი“ მელიამ ის გააფრთხილა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყური არ ათხოვა და ხაფანგში ჩავარდა. თითქოს მელიამ წინასწარ იცის, დათვის ამბავი და იმიტომაც იჩენს „გულისხმიერებას“. აკი სულაც არ სწყენია დათვის სავალალო მდგომარეობა: „ეგ პაწაი ბელა (ხიფათი – რ.ჩ.) არის, ზვალ ხაფანგის პატრონი რომ მოვა, დიდ ბელას მაშინ ნახავო, – მიუგო მელამ დათვს და წავიდა“ (იქვე, გვ. 13).

მართალია, დათვი ამ ზღაპრებში მარცხდება, მაგრამ მთლად უსუსური მაინც არ არის. მას შეუძლია საკვების შოვნა: „ყოველ დღე მოაქვს თითო ცხვარი“ (ღლონტი, 1974, გვ. 374-376); დადის მაყვლის და ჟოლოს საკრაფად (სვანური, 1975, გვ. 17-18); მელიასაც კი ასწავლის, როგორ იშოვოს ერბო: „შენ მაგი ნუ გადარდევს, მე დავდგები ტყისპირში, შენ წაი სოფელში, ქათამი მოიპარე, წამეიყვანე და ჩემკენ გამეირბინე ჭრიახით. შენ კაცი გამოგეკიდება და აქ რომ მუა, მე დეეკავეფ მასო“ (აჭარული, 1973, გვ. 11); მერე კი მუქარით მოატანინა კაცს ერბო; ყანაში შრომობს (იქვე); მისი ბელები კალოს ლეწავენ (ცინდელიანი, 1975, გვ. 17-18). ზღაპარში „დათვის, მგლისა და მელიის ამბავი“ (ღლონტი, 1974, გვ. 387-391) გამწარებულმა დათვმა, რომელსაც ბელები დაუხოცა მელიამ, „სტაცა თათი მგელს, დაიდო და ერთი თუ ორი, დაჟეჟა რაც ძალი და ღონე ჰქონდა“.

ზღაპარში „შველი და დათვი“ (იქვე, გვ. 393-394) დათვმა მიბაძა შველს, ნუკრებს მოტყუებით კარები გააღებინა და ისინი შეჭამა როცა ეს გაიგო შველმა, გამწარდა და დათვს სამაგიერო გადაუხადა – ორმო ამოთხარა, დათვი შიგ ჩააგდო და ცეცხლი წაუკიდა. დათვი ამ როლში ქართულ ცხოველთა ეპოსში საკმაოდ იშვიათად გვხვდება. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ამ სიუჟეტში დათვს ძირითადად მგელი ენაცვლება, ის ხან თხას, ხან კი მელიას შვილებს ან შვილობილს უჭამს, რისთვისაც უმეტესად საკადრის პასუხს იღებს(ფ.არქ. 21114).

ზღაპარში „გლეხი, დათვი და მელია“ ცხოველებთან ერთად

მოქმედებს ადამიანიც. ამ ზღაპრის შინაარსი ასეთია: მელიამ ტოტებში გაჩხირა დათვი, კარგად ცემა და ისე დატოვა. კაცმა „დათვი რომ ამ გაჭირვებაში ნახა, გამოექანა, მიეშველა და გაათავისუფლა. „კაცი ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა. დათვიც თან გაჰყვა, კვალის თავში დაწვა და მხვნელს უთხრა: „მალე დახნავ, მალე დაგხრავ, გვიან დახნავ, გვიან დაგხრავო! მხვნელი ჩავარდა საგონებელში და მუშაობა შეანელა... გამოცუნცულდა მელა და მხვნელს გაბედულად მიმართა: -...მაგ კვალის თავში რა გდია შავადო?... (დათვს-რ.ჩ.) შეეშინდა - კიდევ რამე ხიფათს არ შემყაროსო! ჩურჩულით უთხრა მხვნელს: - უთხარი ჯირკია- თქო!“ მელიამ იმდენი ქნა, რომ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა: „-...დასცხე, თავი გააგდებინე, მაგ წყეულ დათვსო!-შეუძახა გახარებულმა მელიამ მხვნელს. მხვნელმაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოუქნია ნაჯახი და თავი გააგდებინა უმადურ დათვს, რომელმაც ამ კაცს ამაგი არ დაუფასა და შეჭმა დაუპირა (ძიძიგური, 1959, გვ. 273-274).

ამ ვარიანტში თუ დათვი კაცს უმიზეზოდ მტრობს, სხვაგან მტრობის მიზეზი საკმარისი აქვს. მაგალითად, ზღაპარში „გლეხი, დათვი და მელია“ (ფ.არქ. 1147) გლეხმა „პანტის ძირში დათვი ნახა. დათვს იმდენი პანტა ეჭამა, რომ იქვე ძირში გორავდა და ველარ მოენელებინა“. დათვმა უთხრა: „არავისთან არ გამამხილო, თორემ შეგჭამო. გლეხმა უპასუხა, რომ არავისთან არ გაგამხელო“. პირობა კი არ შეასრულა და ყველაფერი ცოლს უამბო. დათვმა გაუგო და სამაგიეროს გადახდა მოუნდომა. სხვაგან დათვს ამ სიუჟეტში მგელი ენაცვლება: „მგელმა უთხრა ღვდელს: -ერთ ნამუსს გეგენ-დობი და თუ შემინახავო, ...შენს ეზოში ყოველ დილას თითო ცხვარი იქნებაო“ (მსხალაძე, 1973, გვ. 29). ვერც მღვდელმა შეასრულა პირობა და ახლა მგლისაგან მოუხდა მელას ადამიანის გადარჩენა.

მსგავსი სიუჟეტი გვხვდება უნგრულ ზღაპარშიც „მელა, დათვი და ღარიბი“ (Венгерские, 1974, გვ. 430-432): დიდი დათვი და პატარა კურდღელი ერთმანეთს დაჭიდებოდნენ. ამის დანახვაზე ღარიბი მოკვდა სიცილით. დათვმა იწყინა - როგორ თუ დამცინიო, შენც შეგჭამ და შენს ძროხებსაცო. დათვმა საღამომდე ადროვა კაცს მიწა მოეხნა, თორემ ცოლ-შვილი მშიერი დარჩებაო. საღამოს კი მელა მიეშველა და დათვისაგან იხსნა ადამიანი.

ზღაპარში „დათვი, მელა და ღორი“ (თანდილავა, 1970, გვ. 20-21; მსხალაძე, 1973, გვ. 11-13). დათვს და მის ძმობილებს: ტურას,

მგელს და ღორს კატა აშინებს. ისინი მელიის მეგობარი კატის დანახვაზე დაფეთდებიან, ერთმანეთს მიაწყდებიან და ილუპებიან კიდეც. ამ სიუჟეტის შესახებ უფრო ვრცლად საუბარი ქვევით გვექნება.

როგორც ვნახეთ, ტრიქსტერის სიუჟეტის ზღაპრებში მელია უპირისპირდება თავისზე ძლიერ ცხოველებს – ხან დათვს, ხან კი მგელს. ამ ზღაპრებში მელიას მიზანი ერთია – უზრუნველყოს თავისი თავი საკვებით განურჩევლად იმისა, რა საშუალება დასჭირდება ამ მიზნის მისაღწევად.

მელია დათვთან თავიდან მეგობრობს – ისინი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და ერთმანეთის მიმართ სითბოსაც იჩენენ. საქმესაც შესაძლებლობის მიხედვით ინაწილებენ. მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია – ამ იდილიას მელია არღვევს. თითქოს ეს კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაც ამ ცბიერი არსების გეგმით არის გათვალისწინებული, რადგანაც ძლიერ დათვთან პირდაპირ შებმა შეუძლებელია.

მელიის დათვთან ურთიერთობისას დასწრების მომენტი არ ფიგურირებს. თავიდანვე ცხადია, რომ დათვი ძმობის პირობას არ დაარღვევს და ამიტომ მელიის ვერაგობა უფრო საზარელია. დათვი კეთილი და მიმნდობია. თვითონ მშვიერი დაუფიქრებლად უშვებს მელას „სანათლად“, სადაც იცის, რომ დანაყრების საშუალება იქნება და ძმობილს მიამიტურად სთხოვს: – ჩემთვისაც რამე გამოაყოლე ხელსაო. მელა კი აქაც და სხვაგანაც დათვს ხახა-მშრალს ტოვებს. ერთხელაც დათვი „მიხთა მელას ტყვილუფს: „მეტერი დევიძმობილე თურმეო!“ (მსხალაძე, 1973, გვ.19) და იმათი ძმობა ამითი გათავდა, მაგრამ გულუბრყვილო დათვი შემდგომშიც ენდობოდა მელას, სანამ ბოლოს კლდეზე არ გადაჩეხა.

გარკვეულად სხვა მდგომარეობაა მგელთან ურთიერთობისას. წინდახედული მელა მეტ სიფრთხილეს იჩენს მასთან დამოკიდებულებისას და ორ ნაბიჯზე ვერ ენდობა. დანახვისთანავე მახეს უგებს: პირველ რიგში თავის გადარჩენის მიზნით და მეორეც – თავისი ფეხით მოსულ ნადავლზე რატომ იტყვის უარს. მელიისა და მგლის შეხვედრა ორი მტაცებლის შეხვედრაა. აქ საინტერესოა, ვინ ვის დარჩება ლუკმად. ეს დაპირისპირებაც ყოველთვის მელიის გამარჯვებით მთავრდება. ხშირად ზღაპრის ფინალში მელა თავის ძლიერ მეტოქეს მხოლოდ ღუპავს, მაგრამ გვაქვს ისეთი დასასრულებიც, სადაც მოკლულ დათვს ან მგელს არხინად შეექცევა

კიდევ. დალუპვის წინ კი უმეტესად თვალებსა სთხრის ორივეს. ამ თვალების დათხრის ეპიზოდებში კარგად ჩანს დათვისა და მგლის განსხვავებული ბუნება. შიმშილისაგან შეწუხებული დათვი თუ მხოლოდ სიტყვას ენდობა და მელიის რჩევით თავისი ხელით დაითხრის თვალებს, დაჭრელების მსურველი მგლისათვის ინსტრუმენტებია საჭირო. თოკს, შამფურს და ცეცხლს თვითონ მოიტანს მგელი და თავს დააბმევინებს მელას. დაუბმელი კი არა მგელი დაბმულიც იბრძვის, როცა მიხვდება თავის გასაჭირს, მაგრამ უკვე გვიან არის – მელია გახურებული შამფურებით დათხრის თვალებს. ამის შემდეგ კი მგელს სხვა აღარაფერი დარჩენია, დათვივით მიენდობა და კლდიდან გადაიჩეხება.

ერთადერთი სიუჟეტი, სადაც დათვი ყოველგვარი უსიამოვნო ფათერაკისაგან დაზღვეულია და ბოლომდე უვნებელი გადარჩება, არის მცირე ფორმის ზღაპარი „ნადირთა ძმობა“ (ფ.არქ. 1140). აქ დათვი სრულიად განსხვავებული სახითა და თვისებებით წარმოსდგება ჩვენს წინაშე. ის ძლიერია და გამარჯვებული. ამ ზღაპართან დაკავშირებით იხილე ჩემი წიგნის „უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ I თავის II პარაგრაფი – „ცხოველთა ზღაპრები“.

როგორც უკვე ვნახეთ, დათვი ქართულ ცხოველთა ეპოსში საკმაოდ პოპულარული პერსონაჟია. დათვი აქ გვხვდება რამდენიმე ტიპის ზღაპარში, სადაც მისი სახე ერთფეროვანი არ არის: ის ზოგან – გულუბრყვილა (მელიასთან), ზოგან – მშიშარა (კატასთან), სხვაგან გლეხს თვითონ აშინებს, მაგრამ ყველა ზღაპარში ბოლოს იღუპება. მხოლოდ ერთი ტიპის ზღაპარშია ის ძლიერი, დანარჩენ ცხოველთა რისხვა და გამარჯვებული.

## § 6. ტურა, ლომი, ვეფხვი, კურდღელი

მელიის შემდეგ ქართულ ცხოველთა ეპოსში ყველაზე ხშირად დათვი და მგელი გვხვდება. რაც შეეხება სხვა მხეცებს, ისინი საკმაოდ იშვიათად ჩანან და მათზე თითო-ოროლა სიუჟეტი თუ გვაქვს. გარეული ცხოველები, რომლებსაც ქართულ ცხოველთა ეპოსში ვხვდებით ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, არიან: ტურა, ლომი, ვეფხვი და კურდღელი. შეეჩერდებით თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე.

ტურა. ტურა, საერთოდ, მოქმედებს მელიის სიუჟეტის მქონე ცხოველთა ზღაპრებში. მაგალითად, ზღაპარში „ტურა და მგელი“ (მსხალაძე, 1973, გვ. 21) ის ზუსტად მელიის ოინებით გადის ფონს: ტურამ მარილის საშოვნელად თავი მოიმკვდარუნა და მგზავრებს რამდენჯერმე წინ დახვდა გაშოტილი. ბოლოს იმათ მარილი ტურასთან დატოვეს და თვითონ უკან გაბრუნდნენ სხვა „მკვდარი“ ტურების წამოსაღებად. ისიც ამას უცდიდა. „წამოხტა, მეიკიდა აი მარილი და ღიღინით გაუყვა გზას“. ეს მარილი ირემს აჭამა, წყალი კი არ დააღვეინა. საწყალმა ირემმა ითმინა, ითმინა და ბოლოს მოკვდა. „ტურასაც ზომ ეს უნდოდა! მაშინვე შეექცა ირმის გემრიელ ზორცს. კარგად რომ გამოძლა, მერე მისდგა და ირემი შიგნიდან თლათ გამოხრა: ისე, რომ ერთ მხარეს თუ შეძრებოდა, მეორესკენ გაძრებოდა“. მერე აქეთ გამოიტყუა მგელი, „ტყვიასავით შევარდა ირმის ჩონჩხში... მგელიც თან მიჰყვა... და კუდი ძირში მოგლიჯა. უკუდო ტურა მეორისკენ მაინც გაშა. მგელი კი ველარ გიეტია და... გაკვეხებული დარჩა“. ტურამ მოიტანა როზგი და მაგრად ცემა, ახლა მგელი დაეძებდა ტურას. ეს უკუდო ტურა კუდიანებს შეერია. კუდიანები „შეხვეწნენ:– გვასწავლე რამ გაგასუქა მასეო“. იმანაც ასწავლა თევზებით სავსე ტბა. იმაში კულები ჩაყავით და საკვები არ მოგაკლდებათო. „თან ისე გასწავლით, რომ ჩემგან განსხვავებით კულები შეგრჩებათო“. სინამდვილეში კი ყველა უკუდო დატოვა. ტურას გაუხარდა, ეგონა, გადავრჩი, უკვე მგელი ველარ გამომიცილობსო. მაგრამ მგელმა ხერხს მიმართა: გათხარა ერთი დიდი ორმო და მთელი ტურები ზედ გადაახტუნა – ვინც ვერ გადახტება, ის იქნება ჩემი მტერიო. მგელმა, მართლაც, გამოიცილო ის ტურა, მაშინვე ქორივით დაეცა, ის იყო უნდა მოეხრჩო, რომ მოფრინდა ერთი კოდალა. ტურა მაშინვე გამოელაპარაკა: „მცინე, მცინე, არ მომეხმარო, მაშინ ზომ ვიყავი კაი, რომ აგაჭრელეო“. ეს მგელმა რომ გაიგო, მოუნდა ლამაზად აჭრელება. თვითონვე მოიტანა საამისოდ იარაღები. ტურამაც დრო იხელთა: „ბაწრით წისქვილის კარზე დააკრა, გაადულა წყალი და... დაასხა. მგელმა ისევ იყვირა, მაგრამ მის ყვირილს ვიდან უყურებდა... ამოხრუკა“.

გარდა იმისა, რომ ტურა ცხოველთა ეპოსში საერთოდ მელას ენაცვლება, გვხვდება ისეთი სიუჟეტიც, სადაც მგლის ნაცვლადაც გამოდის. მაგალითად, ზღაპარში: „ნადირთა ძმობა“: ცხოველებმა აქ ნადავლი წინასწარი პირობით უფროსობის მიხედვით უნდა გაინაწილონ. ამ პრივილეგიას პირველად ტურა ჩემულობს: –მე

იესო ქრისტეს დავდედდიო, მაგრამ დათვი იმასაც მგლის მსგავსად ხახამშრალს ტოვებს.

ერთგან ტურას დამოუკიდებელი როლიც აქვს. აქ მას დათვ-თან, მგელთან და ღორთან ერთად კატა აშინებს. ამ ზღაპარში ტურა მელიას არ ენაცვლება, რადგანაც ეს უკანასკნელი ყოველთვის ახერხებს კატასთან საერთო ენის გამოძებნას.

ქართულ ფოლკლორში გვხვდება ისეთი ზღაპარიც, სადაც ტურა და მელია ერთ სიუჟეტში გვხვდება. ამ ზღაპრიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხოველები ერთი ბუნებისანი არიან, მათში მაინც უფრო თავზეხელაღებულია მელია. ეს ზღაპარია „ტურა და მელა“ (ჩიქოვანი, 1938, გვ. 22): ტურამ დედაკაცს ქათამი მოპარა. დედაკაცი იძახდა: - ტურამ ერთი ლიტრა ქათამი მომპარაო. ამაზე ტურა განაწყენდა: - ერთი ლიტრა არ ყოფილაო. მელამ ტურას გამოართვა ქათამი და უთხრა: „-დე ჩემზე ძნა იანგარიშოსო“ და თავისთვის გააქანა.

ლომ. ლომიც მხოლოდ რამდენიმე ცხოველთა ზღაპარში გვხვდება. ერთი მათგანია „ლომი და კურდღელი“ (ჩიქოვანი, 1963, გვ. 24-25), სადაც ტრიქსტერი კურდღელი მას ადვილად ატყუებს და თავიდან იცილებს. ზღაპარში ჩანს ლომის სიძლიერე: „როცა მხეცებში ლომი გაერეოდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა: ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეეცქეოდა“. მხეცებმა მას მუდმივი სარჩოც დაუნიშნეს. ფიზიკურად ძლიერი ლომი ადვილად მოტყუვდა, მიენდო ეშმაკ კურდღელს და დაიღუპა კიდეც. კურდღელმა იოლად მოუძებნა პატივმოყვარე ლომს სუსტი ადგილი: „-თქვენთან ნადირი მომყავდა, გზაზე მეორე ლომი შემხვდა, გამომტაცა და ჩაათრია ღრმა ჭაშიო“. ლომმა მეტოქის არსებობა რომ შეიტყო, განრისხდა, მოინდომა მისი დასჯა და გადაჰყვა კიდეც ამ აშბავს: „ლომმა კურდღელი ფიცხლად გაუშვა, ჩახტა ჭაში მტრის დასასჯელად და კურდღლის წასართმევად, მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგ ჩაიხრჩო“.

ზღაპარში „ლომი და მელია“ (იქვე, გვ. 21) ადვილად გამწარდა ავადმყოფი ლომი მგლის სიტყვებზე: „როცა საერთო მოლხენა და ქეიფია, მელია ზომ არასოდეს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა, იცის, რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოელისო“. ასევე ბევრი არ უფიქრია ლომს, როცა მელიამ წამლად მგლის კოჭის შეჭმა ან მგლის ტყავში გახვევა ურჩია. სასწრაფოდ ეძებრა მგელს და კოჭი

ამოართვა. ამ ზღაპარში ლომს ნადირთა მეფეს უწოდებენ და დიდ პატივსაც სცემენ: „მოსულიყვნენ სანახავად სხვადასხვა მხეცები, თავს ევლებოდნენ და უვლიდნენ თავიანთ ბატონს“. ზრუნვას დაჩვეულმა ლომმა წყენაც იცის: „ძალიან იწყინა მელისას ასეთი უყურადღებობა“.

ამ ტიპის აფხაზურ ზღაპარს, სადაც ლომის ნაცვლად დათვი გვხვდება, გაგრძელებაც აქვს. აქ დათვის სანახავად ცხოველები ხელცარიელები არ მოდიან – საკვები მოაქვთ. ერთხელ მგელთან ერთად კურდღელიც დააბეზლებს მელისას. დათვის გადასარჩენი წამალიც შესატყვისია: დილით უზმოზე კურდღლისა და მგლის გულ-ღვიძლის შეჭმა. დილაშდევ დათვს მელია შეუჭამს „წამალს“ და ტყეში გაიქცევა, მთელ ქვეყანას რომ მოსდოს დათვის უმადურობისა და მრისხანების ამბავი. ამ დღიდან ტყის ბინადარნი შორიდან უვლიდნენ მის ბუნავს, აღარაფერი მიჰქონდათ მისთვის და ბოლოს დათვი შიმშილით მოკვდა (Зыхნა, 1970, გვ.86-87). ამ აფხაზური ვარიანტის ფონზე ქართული ფრაგმენტული ჩანს.

ძლიერი ლომი დათვს ენაცვლება ზღაპარ „ნადირთა ძმობის“ ვარიანტებში. აქ ის ნადავლს ისაკუთრებს და სხვა ნადირებს ცარიელს ტოვებს. „კატის მოსარჩლე ვეფხვის“ ერთ-ერთ ვარიანტში ის ვეფხვსაც ენაცვლება და აქ კაცმა ასწავლა ჭკუა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფისათვის.

მართალია, ქართული ცხოველთა ეპოსის სიუჟეტთა საძიებელში გვხვდება „ლომის ერთგულებაც“ (№ 74 1), მაგრამ ფოლკლორისტ ვ. მაცაბერიძის სამართლიანი შენიშვნით ის ლეგენდაა და ცხოველთა ზღაპარი არ არის. აქ მოთხრობილია, თუ როგორ გადაარჩინა მადლიერმა ლომმა ტუსადად ჩავარდნილი კაცი, რომელმაც ადრე თათიდან ზიწვი ამოუღო ლომს (ფ.არქ., 63; 151). ამ სიუჟეტში ლომს დათვიც ენაცვლება. ის კაცს ძროხის ბარკალს უძღვნის (სიხარულიძე, 1938, № 248).

ასევე ლეგენდაა და ცხოველთა ზღაპრებს არ განეკუთვნება საძიებელში შესული „ყორანი გადაარჩენს მინდვრის მუშებს“ (№ 249). ამ სიუჟეტში ყორნის როლში ჩვენ ყვავიც გვხვდება: ყვავი მუშების თვალწინ ჩავარდა ქვაბში, სადაც თურმე გველი ყოფილა ჩასული. როცა ხალხი გაერკვა, რაშიც იყო საქმე, თქვეს: „-ეს ყვავი ჩვენთვის ღმერთს გამოუგზავნიაო, თორემ სუ დავიხოცებოდითო“ (ფ.არქ., 23750).

ვ ე ფ ხ ვ ი. ცხოველთა ზაპარში გვხვდება ფიზიკურად ლომითი ძლიერი ვეფხვი. ზღაპარში „ვეფხვი, მელა და მგელი“ (ფ.არქ., 5630) მოთხრობილია, რომ ვეფხვმა ერთხელ მშვიერი მელია და მგელი წაიყვანა: „წამოდით, ერთი ჩემ მარიფათს შეხედეთ, ჭამით გაგაძღობთ“. მართლაც, ადვილად გაგლიჯა ვეფხვმა ვირი. მგელს ეგონა, მეც შევძლებ ამასო. ცხენს მოუნდომა შეჭმა, მაგრამ გაარტყა წიხლი ცხენმა და მოკლა.

მეორე ზღაპარი ვეფხვის მონაწილეობით არის „კატის მოსარჩლე ვეფხვი“, რომელიც ეტიმოლოგიური ხასიათისაა. აქ მოთხრობილია იმაზე, თუ რატომ დარჩა კატა პატარა და ვერ გაიზარდა თავისი ნათესავი ვეფხვივით. ამ სიუჟეტის ვარიანტებში ვეფხვის ნაცვლად ლომი (ცანავა, 1970, გვ. 38) და დევიც (ყიფშიძე, 1920) გვხვდება. ამ ზღაპრის შესახებ უფრო დაწერილებით ქვემოთ შეეჩერდებით.

კ უ რ დ ღ ე ლ ი. ქართული ცხოველთა ეპოსის კურდღელი წინდახედული და ფრთხილი არსებაა, მაგრამ საკმაოდ მშიშარა. მან იცის, რომ სუსტია ფიზიკურად და წინასწარ იჭერს თადარიგს. ყველაფერში რაღაც ცუდს ელის. გრძნობს – როცა სიტუაციაში გაერკვევა, გვიან იქნება და ადრევე ფრთხილობს. ზღაპარში „კურდღელი, მელა და მგელი“ (ჩიქოვანი, 1938, №8; ფ.არქ., 1149) ცხოველები ქვეყნის დაქცევის შიშით გარბიან: შემთხვევით ფოთოლი ჩავარდება ტბაში, ან კაკალი (რკო) დაეცემა კურდღელს თავში. ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ კურდღელი დაფრთხეს. ის თვლის, რომ ზევიდან უმიზეზოდ არ ჩამოვარდნილა საგანი და ამას კარგი შედეგი არ მოჰყვება, ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და გარბის. ქვეყნის დაქცევისა სხვა ცხოველებსაც ეშინიათ და ერთმანეთის მიყოლებით უკანმოუხედავად მისდევენ კურდღელს.

აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტის ზღაპრის ვარიანტებში ჩვენ კურდღლის ნაცვლად წიწილა (თანდილავა, 1970, გვ. 7), ქათამი და მელიაც გვხვდება. მაგალითად, „მელიის ზღაპარში“ (ნიჟარაძე, 1893) ხის ქვეშ მჯდომ მელას ფოთოლი დაეცა, ქვეყანა იქცევაო, იფიქრა და გაიქცა. მას მგელი, დათვი, თხა, ცხვარი და მამალიც გაჰყვნენ.

ზღაპარში „კურდღელი“ (მსხალაძე, 1973, გვ. 11) ნათქვამია, რომ კაცები ვირს ჭედავდნენ. ეს დაინახა კურდღელმა და გაიქცა – მეც დიდი ყურები მაქვს, ფერიც ვირისა მაქვსო და შეშინდა – მეც არ

დამჭედონო. როცა მელიამ ჰკითხა: -ისინი ვირს ჭედავენ, შენ რა მიგარბებიანებსო? კურდღელმა უპასუხა: „-მეც დამიჭირვენ, დამ-ჭედენ და მერე არკეიე, ვირი ხარ, თუ - კურდღელიო!“ თუ პირველ ზღაპარში თითქმის უმიზეზოდ არის კურდღელი შეშინებული, აქ უკვე საამისოდ მეტი საბაბი აქვს.

მშიშარა და ფრთხილი კურდღლის გარდა ქართულმა ფოლკლორმა ტრიქსტერი კურდღელიც იცის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კურდღელი ძალიან პოპულარული პერსონაჟია ბევრი ხალხის, განსაკუთრებით კი აფრიკელების ცხოველთა ეპოსისა. ამ ხალხთა ზღაპრებში ის ისეთივე საზრიანი, გონებამახვილი, ცბიერი და ყოვლისშემძლე პერსონაჟია, როგორც ჩვენს ცხოველთა ეპოსში მელია. ამ ხალხთა ზღაპრებში ის ტრიქსტერ მელიას როლში გვხვდება. მაგალითად, ბირმულ ზღაპარში „როგორ იპარავს ბოცვერი ბანანებს“ (Бирмские, 1957, გვ.29) ის თავს იმკვდარუნებს ქართული ზღაპრის თევზების ქურდი მელიას მსგავსად.

ქართულ ეპოსში ტრიქსტერი კურდღელი მხოლოდ ერთ ზღაპარში გვხვდება. ეს არის „ლომი და კურდღელი“ (ჩიქოვანი, 1938, № 14; ლლონტი, 1974, გვ. 386-387). უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ამ სიუჟეტის მქონე ზღაპარი აფრიკელ ხალხთა ზღაპრებშიც გვაქვს. ამ სიუჟეტის მიხედვით კურდღელს დიდი ჯაფა არ დასდგომია, მთელი მხეცების რისხვა რომ მოეშორებინა თავიდან. არც იმაზე შეშინებულა, ლომთან წასვლის რიგმა რომ მოუწია, თქვა: „-რაკი ჩემი რიგია, რა გაეწყობა! გამიშვით მარტო მე და გიჩვენებთ, რომ საღამოს ლომის სახსენებელიც აღარ იქნება და თქვენც საშუადამოდ დაგიხსნით ტანჯვისაგანო“. მართლაც, კურდღელმა პირობა შეასრულა. მისი მოტყუებული ლომი ჩახტა ჭაში, მტრის დასასჯელად და ნადავლის წასართმევად, მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგ ჩაიხრჩო“. როგორც ვხედავთ, კურდღელი ამ ზღაპარში ტრიქსტერისათვის დამახასიათებელი სიმშვიდით აღწევს მიზანს.

ეს ზღაპარი ქართულ ფოლკლორში ნაკლებ ვარიანტულია, მსოფლიო ხალხთა ზღაპრებში კი საკმაოდ არის გავრცელებული. მაგალითად, გვხვდება ჩინურ (Китай, 1961, გვ. 136), ავღანურ (Афганские, 1955, გვ. 121) და სხვა ხალხთა ფოლკლორში. ამ ზღაპრის შესახებ მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ის ქართულ ფოლკლორში ინდური „პანჩატატრას“ („ქილილა და დამანა“) კრებულიდან შემოვიდაო (ჩიქოვანი, 1971, გვ. 204).

„კურდღლის და მისი ბაჭიების თავგადასავალი“ (ფ.არქ., 1138), რომლის სიუჟეტური ნომერი საძიებელში არის -71 1, არ არის ცხოველთა ზღაპარი. აქ მოთხრობილია კურდღლისა და მისი ბაჭიების გონებამახვილობის შესახებ: მოულოდნელ ყინვას მოუშადადებელი შეხვდა დედა კურდღელი და ბაჭიებს ძალიან სციოდათ. კურდღელი ცდილობდა ბაჭიები როგორმე გაერთო: „ხან ზღაპრებს ეუბნებოდა მათ, ხან უამბობდა გმირულ თავგადასავალს მკვირცხლთა და დაუძლეველთა თვისთა წინაპართა“. ბაჭიებს მაინც სციოდათ. ერთხელ ორმოცი ვერსის მანძილზე ცეცხლი დაინახა კურდღელმა, ჩაცუცქდა, წინა თათები მიუფიცხა და ბაჭიებიც შეაგულიანა: „-ცეცხლზე ვითბობ ხელებსაო“. ერთმა ეშმაკმა ბაჭიამ უთხრა: „-ცეცხლის ნაპერწკალი თვალში მეცაო“. ეს ნაწარმოები მახვილსიტყვაობის კარგი ნიმუშია.

## § 7. ა ღ ა მ ი ა ნ ი

ცხოველთა ეპოსში ადამიანს მხოლოდ ეპიზოდური როლი აქვს და ისიც საკმაოდ იშვიათად. ის აქ დაპირისპირებულ სახეებს გეაძლევს განსხვავებული სიუჟეტების მიხედვით. ერთგან თუ ძალის განსახიერებაა, მეორეგან უმწეოა და სხვის იმედზე დარჩენილი. პირველი ჯგუფის ზღაპრებში ცხოველები აღიარებენ მის სიძლიერეს და კარგადაც იყენებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. მაგალითად, „წავიდა მელია. მოიყვანა ერთი თოფიანი მწყემსი და აჩვენა დათვი. მწყემსმა მოკლა დათვი და ტყავიც წაიღო და ხორციცა“ (ლლონტი, 1974, გვ. 376); სხვაგან მელიამ მგელი ჩასვა გოდორში და დააგორა მეცხვარეებთან. იმათ კი „იმდენი სცემეს მგელს, დააოსეს“ (ფ.არქ. 21114); ან კიდევ, წყალში კუდმიყინული მგელი დაინახეს ქალებმა, „შემოესივნენ და ცემით სული გააცხებინეს“ (ფ.არქ., 5377); მელა ეუბნება მგელს: „მაგ ხაფანგის პატრონი რო მოვა, მერე იკითხე, რაც დაგემართებაო“ (გაჩეჩილაძე, გვ. 123) და არც შემცდარა; მას მერე კი რაც შინაურმა ცხოველებმა „კარგი“ დღე დააყენეს მგელს, გასავათებულმა თავის სოროს მიაშურა. იქაც კაცი დახვდა, „წაავლო კომბალს ხელი და ერთი მაგრად მიბეგვა“ (ფ.არქ., 21934). მელია დათვს მეცხვარეს აცემინებს - ექიმად მწყემსს მიუყვანს; სხვაგან კი მელიას მონადირე გადაუხდის სამაგიეროს ჩიტის ბარტყების შეჭმისათვის.

ადამიანი ხშირად ატყუებს კიდევ ცხოველებს, მაგალითად, ზღაპარში „დათვი და დედაბერი“ დედაბერი თავს იხსნის დათვისაგან მისთვის გაუგებარი სიტყვებით (ვირსალაძე, 1949, გვ. 61; ჩიქოვანი, 1938, № 19); სხვაგან კი მწყემსს პერიოდულად ქათმები უნდა ეძლია მელიასათვის, „ორჯერ კი მისცა მელიას დედლები, მერე კი უარი უთხრა...“ (ლლონტი, 1974, გვ. 375); მართალია, ზოგჯერ დაპირებულს მართლაც აძლევს (ჩიქოვანი, 1938, № 25; რაზიკაშვილი, 1951, № 61; სიხარულიძე, 1938, № 245; ჯეჯილი, 1905, III), მაგრამ ისეთი შემთხვევაც გვაქვს, როცა თავიდანვე ძაღლებს მიუსევს (ხალხური, ზ-18, ფ.10).

ადამიანის უძლეველობაც მუდმივი არ არის. მთელ რიგ ზღაპრებში ის უმწეოა. მელია რომ არა, მისი ბედი სასწორზე ძევს – მგელი, დათვი, ან გველი ემუქრება დაღუპვით. სწორედ ამ დროს მოვევლინება კაცს მხსნელად მელია. ის ხან თავისით მფარველობს კაცს, ხან კი ეს უკანასკნელი მიმართავს – სამართალი გაარჩიოს. თავის თავში დარწმუნებული მელია ავტორიტეტულად ასრულებს თავის საქმეს. არის რა ყოველთვის კაცის მხარეს, მას გასაჭირში არ ტოვებს. კაცის მტრები ამ ზღაპრებში დაუნდობლები არიან, მაგრამ მელიასთან ვერაფერს ხდებიან. მელია კაცს ეხმარება ყოველთვის განურჩევლად საქმის ვითარებისა. ის არ იშურებს თავის უნარს – გამჭირიან გონებას, მოქარგულ ენას და ამ საქმეს დაუმაღლებლად აკეთებს. თვითონ მელიაც აშინებს ადამიანს. მაგალითად, მელია „გაქანდა და პატარძალს კალთაში ჩაუხტა. დაუნახა მელამ, რომ პატარძალს ბეჭდებით ქონდა თითები საესე. უთხრა: - ეგ ბეჭდები კუდზე გამიკეთე, თორემ შაგარცხენო. რაღა მეტი საშუალება ჰქონდა, გაუკეთა კუდზე“ (ფ.არქ., 30981).

გვაქვს შემთხვევები, სადაც ცხოველები კაცს აბრეცებენ და ხახამშრალსაც უშვებენ. მაგალითად, ერთ ვაჭარს ცხენით სოფელში თევზი მიჰქონდა. მელია გზაზე გაიძაბა და სული განაბა. გამოიარა ვაჭარმა. დაინახა მელია. ძალიან გაუხარდა, აიღო და ცხენზე დაკრულ დოშებს დააკრა. მელია მალე მოცოცხლდა, გაიხსნა ფეხები, მერე ერთი ღიდი დოში ააგლიჯა და გადმოაგდო გზაზე. გადმოხტა თვითონაც და გასწია“ (ლლონტი, 1974, გვ. 388); სხვაგან ურმით მიმავალ გლეხს უყო იგივე ოინი (ფ.არქ., 1145); ერთგან მეურმეს ღვინო დაუქცია (ფ.არქ., 30981). ერთხელაც დათვი არიგებს მელას ჭკუას, როგორ უნდა იშოვონ ერბო: „...ქათამი მუიპარე, წამეიყვანე და ჩემკენ გამეირბინე ჭრიახით. შენ კაცი

გამოგეილება და აქ რომ მუა, მე დევკავეუ მასო, მერე მე ვიციო“ (მსხალაძე, 1973, გვ.18); მელია ადვილად ატყუებს მოსამართლედ მოწვეულ მეცხვარეებს: „...ღამე გამოვიარე მეცხვარის ბანზე და ბანში კი ჩავეარდიო, აბა, მე აქ რა მესაქმებოდაო?.. მოსამართლეებმა გაამართლეს მელია და გაუშვეს“ (ლლონტი, 1974, გვ. 375).

ადამიანის დამარცხებაც შეიძლება. ქართულ ცხოველთა ეპოსში კაცს ჩიტი ამწარებს. მაგალითად, ძაღლის მეგობარი ბელურა გლეხს უხდის სამაგიეროს ძაღლის დაღუპვისათვის; ზღაპარში „მელია და მწყერჩიტა“ ფრინველი მელიას დაანაყრებს და აცინებს. ყველაფერ ამას კი ადამიანის გაბრიყვების ხარჯზე აღწევს: „დედაკაცს გუთანზე სადილი მიჰქონდა. ოფოფი მივიდა და დედაკაცს წინ დაუჯდა. დედაკაცმა თქვა: თუ ეს ოფოფი არ დაეიჭირე და ჩემი გოგოები არ გაეახარე, არ იქნებოო.ჯერი ძირს დადგა და თვითონ ოფოფს გამოუდგა. ოფოფი ნელ-ნელა დაფრინავდა და დედაკაცი კარგა შორს გაიტყუა. მელია მივიდა. გადააბრუნა ქოთანნი. ერთი ღონივრად მიაძღა... საყდართან ორი თავმოტვლეპილი ბერი დგას, ორივეს ჯოხები უჭირავს. ოფოფი მოფრინდა და ერთ ბერს თავზე დააჯდა, მეორე ბერი გაცეცხლდა... დაუქნია ჯოხი, ოფოფი უნდა მოეკლა. ოფოფი აფრინდა და ჯოხი კი ბერს მოხვდა თავში და გაუხლიჩა. ოფოფი ახლა იმ ბერს დააჯდა თავზე. გაჯავრებულმა თავგატეხილმა ბერმა მოუქნია ოფოფს ჯოხი, უნდა მოეკლა. ოფოფი აფრინდა და ჯოხი კი თავის ამხანაგ ბერს მოსდო და თავი შუაზე გაუხლიჩა. მელია კი იცინის, იცინის,კვდება სიცილით“ (იქვე, გვ. 382-385); ან კიდევ: „მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია, უნდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი“ (ფ.არქ., 1141; ლლონტი, 1974, გვ. 380).

როგორც ვნახეთ, ცხოველთა ეპოსში საკმაოდ იშვიათად გვხვდებიან ადამიანები: დედაკაცი, ქალი, ბავშვი, პატარძალი, მეურმე, მეცხვარე, მწყემსი, მონადირე, გლეხი, ბერი, მღვდელი, ვაჭარი.

## § 8. შინაური ცხოველები

შინაური ცხოველების გამოჩენა ცხოველთა ეპოსში გვიანდელი მოვლენაა. ის უკავშირდება ცხოველების მოშინაურების ეპოქას და მათზე ზრუნვით არის გამსჭვალული. გარეული ცხოველები თუ თით-

ქმის ყველა ზღაპრის პერსონაჟები არიან, შინაური ცხოველები მათში ნაკლებად მონაწილეობენ. ეს ცხოველები არიან: კატა, ძაღლი, ვირი, ცხენი, მოზვერი, ვერძი, კრავი, თხა, აქლემი და ღორი. რამდენჯერმე ვხვდებით ძროხასა და ხარს. ჩვენ ცალ-ცალკე შევჩერდებით თითოეული შინაური ცხოველის როლზე ცხოველთა ეპოსში.

კ ა ტ ა მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში გავრცელებული პერსონაჟია. გავიხსენოთ თუნდაც ევროპულ ზღაპრულ ეპოსში ცნობილი „ჩექმებიანი კატა“. ეს პერსონაჟი გვაგონებს მელიას ქართულ ზღაპარში „მელია და მეწისქვილე“, სადაც ის ჩვეული მოხერხებით ბედსა სწევს საწყალ მეწისქვილეს.

ქართული ცხოველთა ზღაპრის კატა ჩექმებიანი კატისაგან სრულიად განსხვავებული პერსონაჟია. აქ ის მთელი გარეული ცხოველების რისხვაა – მისი ეშინია ყველას, ვინც კი თვალს მოჰკრავს. მაშინ როდესაც კატა მათ სულაც არ ერჩის და, პირიქით, თვითონვე ეშინია მათი. ამ ზღაპრებში კატისა და სხვა ცხოველების დაპირისპირების მიზეზი არ ჩანს, გამარჯვება კი ყოველთვის კატას რჩება – მისი ხილვით დაფეთებული ცხოველები (დათვი, ტურა, ღორი) ერთმანეთს მიაწყდებიან და იღუპებიან. თვითონ კატა კი აგრძელებს მშვიდ და უდარდელ ცხოვრებას. ზღაპარში „ღორი, დათვი და მელა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 11) ან „დათვი, მელა, ღორი“ (იქვე, გვ. 13) კატა თავისდაუნებურად აშინებს დათვსა და მის მეგობრებს, რომელნიც თავგზააბნეულნი იღუპებიან. რაც შეეხება მათ ნაშრომს, ის „დარჩათ კატას და მელას“ (იქვე, გვ. 14). მელამაც სწორედ იმიტომ მოიყვანა შემოდგომაზე კატა ყანაში, რომ მისი იმედი ჰქონდა. „ღორმა დაინახა, რომ მოდის მელა და მას პაწაი რაცხა მოყვება. ღორმა ეს დათვს უთხრა. შეშინდენ ისინი“ (იქვე, გვ. 13) და თავის შველის მიზნით დაიმაღლნენ: „დათვმა ევდა ხეზე, ღორმა ქუნჩლებში დეიმალა“ (იქვე), მაგრამ არც ამან უშველათ: „ღორი ნაღია ქვეშ რომ წევს ქუნჩლებში, სულს რომ ითქვამს, ამ ქუნჩლებს აქანებს. კატამ დააცქირდა, თავგი ეგონა და ღუხტა ზედ დრუნჩზე ჭვანგებით.

აი რა დამეცაო! – დეფჟივლა ღორმა და გეჟქა. ღორმა რომ იყვირა, კატამაც შეშინდა და სოჭზე გუხტა. დათვმა იფიქრა: ...ალბათ მოკლა, ახლა ჩემს შესაჭმელად მორბისო! ხის წვეროდან წუხტა დათვმა... და მოკტა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 13).

თითქოს შემთხვევითობის წყალობით იმარჯვებს კატა,

სინამდვილეში მელას წინასწარ ჰქონდა ნავარაუდევია ეს შედეგი. ცხოველებს კატისა სხვა სიუჟეტის მქონე ზღაპრებშიც ეშინიათ. მაგალითად, ზღაპარში „კატის ამბავი“ (თანდილავა, 1970, გვ. 22-24): კატამ დაიძინა და კრუტუნი ამოუშვა. ქოხს ტურა მიაღება და კატის კრუტუნი „მუქარად მოეჩვენა: ერთი მოხედოს ვინმემ, დავფლეთ და შევჭამო! შეშინებული ტურა გაიქცა. დათვი შემოხვდა და ისიც გაიყოლა. დაიძმობილეს მგელი და ღორიც. ბოლოს დაიღალნენ, გადაწყვიტეს, ის კაცი მოვიპატიოთო. გასამასპინძლებლად ძროხისა და ცხენის ყაურმა გააკეთეს. წავიდა მისართმევად, მაგრამ დაინახა, კატა იზმორებოდა, ისევ შეშინდა და დანარჩენებიც აიყოლია. თავის მხრივ ცხოველებისა კატასაც შეეშინდა, გარეთ გამოვარდა და ხეზე ავარდა. იქიდან ტურამ ზღართანი მოადინა. როგორც იქნა, ძლივს უშველეს თავს. კატა ბოლოს ისევ ქოხში შებრუნდა, იქ ყაურმა დახვდა და გემრიელად შეექცა.

ამ სიუჟეტში კატა სხვა ხალხთა ზღაპრებშიც გვხვდება, მაგალითად, ბელორუსული ზღაპარი „კატა, მელა, მგელი, დათვი და ტახი“ (Белорусские, 1958, გვ. 24). ის აქაც ყველა ცხოველს აშინებს მელიის გარდა. ეს უკანასკნელი თავიდანვე სიფრთხილეს იჩენს და კატას იახლოვებს. ეს სიუჟეტი ქართულ ზღაპრულ ეპოსში დამოუკიდებლად იშვიათად გვხვდება და ყანის გაყოფის ეპიზოდს მოსდევს. ბელორუსულ ზღაპარში პატრონის მიერ ტყეში გაშვებულ კატას მელა დაუახლოვდება, შესთავაზებს, ჩემი პატრონი იყავიო. ისიც დათანხმდება. დანარჩენი ცნობისმოყვარე ცხოველები კატას გაცნობის მიზნით დაჰპატიჟებენ, მაგრამ როცა სტუმრად მათთან მიმავალს დაინახავენ, შეშინდებიან, ერთმანეთს მიაწყდებიან და იხოცებიან.

როგორც ვხედავთ, კატისა ცხოველებს ეშინიათ, რადგან პირველად ხედავენ. ამ სიუჟეტის უნგრულ ზღაპარში მელიასა და კატას ერთმანეთისა ეშინიათ, მაგრამ აქ კატა ჭკუას ხმარობს და მელას გაეცნობა (Венгерские, 1974, გვ. 432-434). ის წარუდგება როგორც ხელმწიფე კოტოფიი, ვისაც მთელი ცხოველები ემორჩილებიან. ტყის სხვა ბინადარნი მოკრძალებით ცდილობენ, გაიცნონ კატა და სადილად ეპატიუებიან. მიუხედავად ამისა, შიშმა მაინც თავისი ქნა და ყველანი აქაც დაიღუპნენ. კატა და მელა კი დღემდე არიან. ერთ რუსულ ზღაპარში მელია კატას ცოლად გაჰყვა (Русские, 1957, № 41). აქ მას ყურადღება არ აკლია: მგელი ცხვარს მორათმევს, დავთი კი-ხარს (იქვე, № 40). საერთოდ ეს პერსონაჟი

რუსულ ფოლკლორშიც იშვიათად არ გვხვდება. ბელორუსულ ზღაპარშიც „Котик-золотой лобик“, მოხუცი დიდი პატივისცემით მიმართავს კატას, რომელსაც სურვილის შესრულება შეუძლია: „Котик- золотой лобик, золотое ушко, серебряное брюшко, золотая шерстинка, серебряная ворсинка, золотая лапка, серебряная шапка“ (Белорусские, 1958, გვ. 39).

იქნებ, უმიზეზოდ არც არის, ცხოველებს კატისა რომ ეშინიათ? ვინც მის ყოვლისშემძლეობას ცნობს და აღიარებს, აკი წყალობასაც იღებს. მაგალითად, ბელორუსულ ზღაპარში მოხუცს ყველა სურვილი შეუსრულა კატამ. წყალობა თუ არა, უსაფრთხოება ხომ გარანტირებული აქვს მის თაყვანისმცემელს: მაგალითად, გადარჩა მელია, რომელმაც უნგრულ ზღაპარში აღიარა კატის ხელმწიფობა; ბელორუსულში სთხოვა, ჩემი პატრონი იყავიო; რუსულში – მას ცოლად გაჰყვა; ქართულში კი თავგი შესთავაზა.

კატას ცხოველების შეშინებაზე მეტიც შეუძლია. მაგალითად, ქართულ ზღაპარში „კატა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 38-39) მან მთელი სოფელი გადააშენა. ამ ზღაპრის შინაარსი ასეთია: კატას ქათმები მოჰყავდა პატრონთან და აჭმევდა. ერთხელ სტუმრად ერთად წავიდნენ. მასპინძლის სახლში ბევრი თავგი იყო. ამ სოფელში კატა რა იყო, არ იცოდნენ. კაცმა კატა მიუშვა თავგებზე. იმან კი ზოგი შეჭამა, ზოგი კი გააქცია. მასპინძელმა ეს რომ ნახა, სტუმარს სთხოვა-მომყიდეო. პატრონმა ათას ოქროდ დაუთმო. როცა მასპინძლებმა გაიგეს, კატა ყველაფერს ჭამსო, შეეშინდათ და გაიქცნენ. მათ სხვებიც მიჰყვნენ და მთელი სოფელი დაიცალა. მერე დაბრუნდა ერთი კაცი, ენახო, კატა რას შვებაო. ის კი ამ დროს თავს იფხანდა. კაცმა იფიქრა, ჩემი შეჭმა უნდა და მეძახისო. ისევ გაიქცა. ხალხმა ბოლოს დათვს სთხოვა შველა. ისიც მოვიდა. კატა ამ დროს ხეზე იყო ასული. დათვიც შეახტა ხეს. შეშინებული კატა გადმოხტა. დათვს ეგონა- შემჭამსო. გაიქცა და მდინარეში ჩავარდა. შეშინებული ხალხიც დათვს მიჰყვა. ასე აასახლა კატამ სოფელი.

როგორც განხილული ზღაპრებიდან ჩანს, კატამ ერთგულება იცის. გარდა ამისა, მისი მიზანი არ არის ვინმესთან დაპირისპირება. ის თვითონ არის სხვების მიერ დამფრთხალი და მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ამასობაში კი თავისდაუნებურად სხვებს აშინებს .

მ ა ლ ლ ი. კატის შემდეგ შინაურ ცხოველთაგან ყველაზე

პოპულარულია ძალლი. ის საკმაოდ ერთფეროვან სახეს გვაძლევს ცხოველთა ეპოსში. ძალლი, როგორც წესი, დადებითი პერსონაჟია – ძლიერი, სამართლიანი, პატრონის ერთგული, შინაური ცხოველები და ფრინველების დამცველი. ის ეხმარება განსაცდელში ჩავარდნილ ჩიტებსაც. ძალლი იშვიათად არის მარტო და უმეტესად სხვა ძაღლებთან ერთად მოქმედებს. ისინი ძირითადად მელიას ემტერებიან და ამარცხებენ, ასევე ერთობლივი ძალით მგელსაც უღებენ ბოლოს.

გაჭირვებაში ჩავარდნილი ფრინველები საშველად ძაღლებს უხმობენ ხოლმე, რომლებიც მელიას საშინელ ღღეს დააწყვენ. მაგალითად, ოფოფს ერთგან ცხვრის ბინა ეგულებოდა და მელა იქით წაიყვანა. ძაღლების დანახვაზე მელა „გაიქცა, (ისინი) გამოუდგნენ. ვიდრე სოროს კარებზე მივიდოდა, წასწდნენ და დაიჭირეს, მამლისა და ბატის ცოდვა ძაღლებმა გადაუხადეს“ (ფ.არქ., 17490); ერთხელ მელიამ მამალს შესთავაზა: „-აგერ, დაბლა, ყანის ბოლოში დაპნეულა სიმინდი, ჩვედეთ და აკრიფოთო...“ მამალი მიხვდა მელიას ოინს და ძაღლებს უხმო, იმათაც „გასწიეს და გამოსწიეს“ (მსხალაძე, 1973, გვ. 9).

ფრინველები ძაღლის ერთგულებას მეგობრობით პასუხობენ. მაგალითად, ზღაპარში „ბელურა და ძალლი“ (იქვე, გვ. 14) ბელურა ძაღლს მფარველობს – დაძინებულს დარაჯობს, საკვების შოვნაში ეხმარება – ხან ხორცს მიუტანს ბაზრიდან, ხან – პურს. ბოლოს კი მის დამღუპველ კაცს სამაგიეროს უხდის: კაცს ჯერ ღვინით სავსე ბოთლები დაამტკრევინა, მერე კი ცხენი მოაკვლევინა. იგივე სიუჟეტის ზღაპრები გვხვდება რუსულ ფოლკლორშიც (Русские, 1957, № 66, 67).

მგელსაც „კარგ“ ღღეს აყრიან ძაღლები: მისი „მაყრული“ „სოფლის ძაღლებმა გაიგეს, მაშინვე გამოიქცნენ, ეცნენ და სულ მტვერი აღინეს. ძლივსლა ცოცხალ-მკვდარმა გაასწრო...“ (ფ.არქ., 590), ან კიდევ „ეცნენ ყველა ძაღლები მგელს და სულ ლუკმა-ლუკმა დაგლიჯეს“ (ფ.არქ., 23869). როგორც ვხედავთ, ძაღლები ფრინველებს მელიისაგან იცავენ, შინაურ ცხოველებს კი – მგლისგან.

ვ ი რ ი ცხოველთა ეპოსის ზღაპართაგან რამდენიმე სიუჟეტში გვხვდება. ესენია: 1. კუმულაციური ზღაპარი, სადაც ის ხელადასთან, ფილთაქვასთან, მახათთან, მამალთან და სხვებთან ერთად მიდის ღვინის ან ხარის მოსაპარად. აქ ეირი ძმობილების ერთგულია

და თავისი წვლილი შეაქვს საერთო გამარჯვებაში. 2. ვირი მგლის სიუჟეტის ზაპრებში გვხვდება, როგორც მისი დამმარცხებელი ერთ-ერთი შინაური ცხოველი. ვირი, სხვათა მსგავსად, მოტყუებით გაწილებულს ტოვებს მშვიერ მგელს და წიხლსაც უთავაზებს კბილებში (ფ.არქ., 22024). ამ სიუჟეტში ზოგჯერ მას ცხენიც ენაცვლება (მსხალაძე, 1973, გვ. 29; ლლონტი, 1974, გვ. 395). ამით გარდა, სამიოდე სიუჟეტი გვაქვს ისეთი, რომლებიც საკუთრივ ვირს ეხება. აქ ის გაურბის თავის ბედს უკეთესი მომავლის იმედით, მაგრამ მისი მძიმე ხვედრი გარდუვალი ჩანს და საბოლოოდ ან ეგუება ბედს, ან იღუპება. ამ ზღაპრებში: 3. ბეგის ვირმა ვირობა არ მოიშალა და ისევ გლეხის ვირებში გაერია (ჩიქოვანი, 1938, № 28); 4. ვირმა სამჯერ გამოიცვალა პატრონი იოლი სამუშაოს ძებნაში, მაგრამ შეღავათი ვერსად ნახა. ბოლოს თქვა: „ვირი ყოფილვარ, ვირივით უნდა ვიმუშაო“ (ფ. არქ., 13100); 5. „ვირი და აქლემი“ (ფ.არქ., 23870) - აქ ის თავისი სიჯიუტით თავსაც იღუპავს და ძმობილსაც ღუპავს.

ამ სიუჟეტთაგან ყველაზე პოპულარულია ბოლო ზღაპარი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანსაც აქვს გამოყენებული თავის იგავებში. ამ ზღაპრის ვირი ჯიუტია და წინდაუხედავი. ოღონდ თავისი სურვილი აისრულოს, არავის უგდება ყურს და არაფერს ერიდება. „ამ ვირმა უთხრა აქლემს: - ძმაო აქლემო, ისეთ ჰავარზე (ხალისზე) მოვედი, რომ ერთი ბაიათინა შემოვძახოვ“. აქლემის თხოვნის მიუხედავად ვირმა არ დაიშალა. მისი ყროყინის ხმა ვაჭრებმა გაიგეს, ორივე იპოვეს და ქარავანთან მირეკეს. ვირი თავისი სიჯიუტისთვის დაისაჯა კიდევ: გარდა იმისა, რომ ისევ ჯაფა დაადგა, აქლემმაც საკადრისი მიაგო - ხევზე მიმავალმა კუნტრუში მოინდომა და დაუძლურებული ვირი, რომელიც ზურგზე ეკიდა, ღრმა ხევში გადაჩეხა.

საერთოდ, ქართულ ცხოველთა ეპოსში კარგად ჩანს, რომ ვირი გლეხის მარჯვენა ხელია: „იყო ერთი ფუხარა (ღარიბი) კაცი, ჰყამდა ერთი ვირი და ამით არჩენდა ცოლ-შვილს: ტყიდან შეშა მოჰქონდა, წისქვილში და სუყველგან ის დაჰყამდა“ (ფ.არქ., 23870).

როგორც ზღაპრული ეპოსიდან ჩანს, მარტო ვირი არ გაურბის პატრონს. სხვა შინაური ცხოველებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას პატრონის მიმართ და თავს შველიან. მაგალითად, ზღაპარში „ვირი, თხა, ღორი და მამალი“ (ძიძიგური, 1974, გვ. 323) - თავის გადარჩენის მიზნით პატრონისგან გამოქცეული ცხოველები

დამხანაგდნენ. მათი საქმე აქ უკვე კარგად მიდის – ისინი მგლებსაც კი აშინებენ. ასევე უმართლებთ მეგობრებს აჭარულ ზღაპარშიც „ძმობილები“ (მსხალაძე, 1973, გვ. 9).

აქ ლემი ქართულ ცხოველთა ეპოსში ერთადერთ სიუჟეტში გვხვდება, ეს არის „ვირი და აქლემი“. ამ ზღაპრის მიხედვით აქლემი ღინჯი, ფრთხილი და საზრიანი ცხოველია. ის დიდი ჯაფისგან ერთხელ თავდახსნილი ცდილობს, ისევ არ ჩაუვარდეს ადამიანს ხელში. როცა დაუძლურებულმა ძალა მოიკრიფა, ვირს უთხრა: „– მოდი, აქედან წავიდე, თორემ გზა ახლოა, ჩემი პატრონი გამოივლის, მოვა, დაგვიჭერს და ორთავეს წაგვიყვანსო. მოდი, სადმე გადავილუნეთო“ (ფარქ., 23870). ხოლო როცა მაძლარმა ვირმა ყოყინი მოინდომა, გააფრთხილა: „– კაცო, დამანებე თავიო. ჩემი პატრონი მუდამ ამ მთის ძირში გზაზე დადის ხოლმე, ხმას გაიგონებენ და გვიპოვნიანო და ხომ არ გინდა კიდევ წვალებაში ჩავარდეთ“. ვირმა თავისი მაინც არ დაიშალა და ორივენი, მართლაც, ისევ ვაჭრების ხელში აღმოჩნდნენ. შრომისაგან ქანცაწვევითი ვირიც ბოლოს აქლემს აჰკიდეს. ამ უკანასკნელმა ეს ველარ აიტანა და სამაგიერო გადაუხადა ბრიყვსა და ჯიუტ ვირს: ვირის ხვეწნის მიუხედავად, „შეტლინკა ამ აქლემმა, მიიგდო ბოლო ხევისკენ და ეს ვირი გადაადგო ღრმა ხევში“. ამ სიუჟეტის ზღაპარში ერთგან აქლემს თხა ენაცვლება, რომელიც ვირს სამაგიეროს ვერ უხდის, მაგრამ ის დაუსჯელი მაინც არ რჩება: „ვირს აზიდვიეს და აზიდვიეს ქეები. მალე ვირს გადაშპა ზურგზე ტყავი და მოკტა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 15). ბოტი კი დაკლეს.

მგლის დამმარცხებელი შინაური ცხოველები. ცხოველთა ეპოსში უმეტესობა შინაური ცხოველებისა მხოლოდ მგელს უპირისპირდებიან. ისინი ფიზიკურად სუსტნი და, ერთი შეხედვით, თავიდანვე განწირულნი არიან, მაგრამ სრულიად აუღელვებელნი და თავდაჯერებულნი. ყოველგვარი პანიკის გარეშე ხვდებიან მგლის გამოჩენას. თითქოს ელოდნენ კიდევ და ამისთვის მზადაც არიან. ისინი ცინიკურად მიმართავენ მგელს, თითო სურვილის შესრულებას სთხოვენ და თავსაც გადაირჩენენ. ამ უკანასკნელს კი ხახამშრალს ტოვებენ და კარგადაც მიბეგვავენ. ყოველი მათგანი თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით ამარცხებს და ხელცარიელს ტოვებს მგელს. ეს ცხოველები არიან: ცხვრები, თხები,

ვირი, ცხენი, კვიცი, ხბორები, ბატკანი, ზაქები, ძროხა და ღორი.

ცხენი, ვირის მსგავსად, თავის ძლიერ წიხლს იყენებს მგლის წინააღმდეგ, მაგრამ ჯერ ატყუებს – სთხოვს: ბარათი მაქვს უკან მობმული, „მინახე, ზომ არ დამკარგვიაო და მერე შემჭამეო!“ (ლლონტი, 1974, გვ. 395), ან „წერილი მიმაქვს, დაებრუნდები და მერე შემჭამეო“ (მსხალაძე, 1973, გვ. 29). საკუთარი ძალით ამარცხებენ ძლიერ მეტოქეს ცხვრები და ზაქებიც. მაგალითად, მგელმა ცხვრების თხოვნით ბალახის გაყოფა მოიწადინა. ისინიც გამოიქცნენ, ვითომ რომელი მოვასწრებთო, „დაეჯახნენ ორივე გვერდით მგელს და ნეკნები სულ ერთმანეთში აურიეს“ (ფ.არქ., 590). სხვაგან ზაქებმა სთხოვეს მგელს მინდერის გაყოფა (ფ.არქ., 551). მაგრამ დამოუკიდებლად მგლის დამარცხება ძნელდება. უმეტესად ძაღლებს იშველიებს გაჭირვებაში ჩაყარდნილი პირუტყვი. მაგალითად, ერთგან მამისეული მაყრულის შესრულება სთხოვეს ცხვრებმა მგელს (იქვე). ასევე მოიქცა ძროხაც: „...ერთი კიდეე გამაგონე შენი მაყრული სიმღერა, მეც ბანს გეტყვი“ (ფ.არქ. 590). ხბორებმაც ამ ხერხს მიმართეს: „ჩვენი ხორცი მაშინ შეგერგება, თუ შენ მამაპაპურ სიმღერას გაგვაგონებო“. ყმუილზე გამოვარდნენ ძაღლები და ერთი მაგრად გაწეწეს (ფ.არქ., 21934); „სოფლის ძაღლებმა გაიგეს... და სულ მტვერი ადინეს“.

მგლის ხელიდან დასასხლტომად უბრალო დაპირებაც სრულიად საკმარისია: ერთხელაც ცხვარმა უთხრა: „მაცალე, მუცელში ორი კრავი მყავს, იმას ვშობ და მერე შემჭამეო...“ (მსხალაძე, 1973, გვ. 29); სხვაგან თხამ ურჩია: „-ცარიელი ძელები ვარ, მე რა გემო უნდა ჩამატანო, მე ერთი კარგი შვილი მყავს, ზედ ქონი გადმოდის სულ, იმას მოგიყვან და ის შეჭამეო“ (ფ.არქ., 21934); ბატკანი დაპირდა: „გემრიელად რომ შემჭამო, პილპილსა და მარილს მოგიტანო და მერე შემჭამეო“ (იქვე). მგელს არც ღორთან და მის გოჭებთან გამოსდის რამე (ფ.არქ., 22024). მგელი ყველა სახის თხოვნას უსრულებს სამსხვერპლოს. მაგალითად, „თხამ მას ერთი ოინის შესრულება სთხოვა შეჭმამდე, ჯირკიდან გადმოხტა და ისე მოკურცხლა, რომ მგელმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო“ (ლლონტი, 1974, გვ. 395).

მიუხედავად შინაური ცხოველების საზრიანობისა გვაქვს სიუჟეტები, სადაც ისინი საკმაოდ იოლად ტყუედებიან – საკმარისია, მგელმა მხოლოდ შეფერილობა შეიცვალოს მაგალითად, სამღებროში ჩაყარდნილ მგელს სულის საცხონებლად „საბეროში“

გაჰყვნენ: თხა, ვირი, ძაღლი და მამალი. მელიის მსგავსად, ვერც მგელმა შეუნდო შეცოდებანი თავის „ძმობილებს“, მაგრამ ვერც აქ შეირგო მგელმა ნადავლი და ძაღლის საზრიანობას ემსხვერპლა.

შინაური ცხოველი გამწარებული დედის როლშიც გვხვდება. მხოლოდ ამ ტიპის ზღაპრებში აღწევს მგელი მიზანს. აქ ის ციკნების დედას ჰბაძავს, მოტყუებით ციკნებს კარებს რამდენჯერმე გააღებინებს და ყოველ ჯერზე თითოს ჭამს. ერთგან მგელმა შვილებს დედა თხაც მიაყოლა.

ცხოველთა ეპოსში ორიოდ სიუჟეტში ვხვდებით ხარსაც. ის ეპიზოდურ როლშია. ერთგან მწყერჩიტა გლეხის გამწარების მიზნით ხარს რქაზე დააჯდა, გლეხმა მოუქნია მწყერჩიტას, ამ უკანასკნელმა აიციდინა, ხარს რქაში მოხვდა და მოსტეხა. სხვა ზღაპარში ჩანს, მიწათმოქმედმა დათვის ბელებმა როგორ დაადგეს ხარს უღელი და კევრში შეაბეს.

მიწათმოქმედებას დათვის ბელების გარდა შინაური ცხოველებიც მისდევენ. მაგალითად: კრავი გაზაფხულიდან მოყოლებული ხნავს, თესავს, ფარცხავს, მარგლავს, მკის, ძნას კრავს, ლეწავს, ანიაკებს. ასევე შრომობს მარცვლეულის მოსაყვანად თხაც. ამ ცხოველებს ზღაპრის დასასრულს მელიასთან უხდებათ დაპირისპირება თავიანთი მონაგარის დასაცავად.

## § 9. ფ რ ი ნ ე ლ ე ბ ი

ცხოველთა ეპოსში ფრინველებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ისინი უმეტესად მელიის სიუჟეტის ზღაპრებში გვხვდებიან, სადაც საზრიანობით იხსნიან თავს მათი მუდმივი მტრისაგან. მაგალითად, მელამ მამალი დაპატიჟა ყანის ბოლოს დაპნეული სიმინდის ასაკრეფად, „მამალმა მიხთა მელას დუბარას (ეშმაკობას) და უთხრა: - ჩემ ჯანიდან არაფერი გამჟა, ეზოში დედლებიც არიან, შენ ჩადი ყანაში, მე იმათაც წამოვიყვან და მოვალ“. სინამდვილეში კი ძაღლები მიუქსია მელას (მსხალაძე, 1973, გვ. 9-10); სხვაგან მელიის თათებში მოხვედრილმა, თითქოს უკვე განწირულმა კაკაბმა ადვილად შეაცდინა მელია: -სანამ შემჭამ, ჯერ ღმერთი ახსენეო (ფ.არქ., 1142), ან ჯერ მაღლობა თქვი ღვთისადმი სადილისთვისაო

და გაუსხლტა. ამაზე მელიამ ტირილითა თქვა:

„კაკბისა მოსატყუარსა  
ვაი-ვაგლახი მელსაო,  
ჰქონდა მშიერი მუცელი,  
რალა დიდება ღმერთსაო“.

სხვაგან მელია მწყერჩიტას ნათლიმამაა, მაგრამ პირს მაინც წაატანს. მიიღებს კიდეც სამაგიეროს, მწყერჩიტამ ისეთი ოინი უყო, რომ მელიას თავი გაატეხვინა (ფ.არქ.1141; ლლონტი, 1974, გვ. 380). ოფოფმა კი თავი დაპირებით გადაირჩინა: „ერთს კარგად გაგაძლებ, კარგად გაცინებ და ისე გარბენინებ...“, სინამდვილეში კი ძაღლებს ჩაუგდო მელიის თავი (ლლონტი, 1974, გვ. 382-385); მელიასთან საერთოდ თხოვნა არ ჭრის, მაგრამ კარგ დაპირებაზე ჭკუას კარგავს – ერთხელ ოფოფმა მსუქანი ბატისა და ბატასინის შეხსენებით იხსნა თავი გასაჭირიდან.

ფრინველები ერთმანეთს ეხმარებიან, მათ მეგობრობა და ურთიერთ გატანა იციან: ერთხელ მამალი შეაცდინა მელიამ ტყუილებით და მოიტაცა. „ჩხავის მამალი თურმე –მიშველეთ დედლებო, თქვენი ჭირიმეო... გაფრინდნენ დედლები მელიისკენ, აუტრუეს მელიას გული მამალზედა და იმ ყოფაში და ფოთიალში ძაღლებმა დაიწყეს ყეფა სოფელში... გაათავისუფლეს მამალი დედლებმა და წამოიყვანეს...“ (ფ.არქ., 20849).

უმეტესად ფრინველები ადვილად ტყუედებიან და სანამ არ იწვნევენ თავიანთი შეცდომის შედეგს, გონზე ვერ მოდიან. მაგალითად, შავად შეღებილი მელიას მიერ მოტყუებული ფრინველები: მამალი, დედლები, ბატი, ძერა, მწყერი რიგრიგობით ილუპებიან. მხოლოდ უკანასკნელმა – ოფოფმა იხმარა ჭკუა, მელია შეაცდინა და თავი გადაირჩინა (ლლონტი, 1974, გვ. 385); ზღაპარში „მელა და მამალი“ (ფ.არქ., 13115) შეიყარნენ ორმოცი მამალი და მივიდნენ მელასთან. ესენი ილოცებდნენ და დაიძინებდნენ ხოლმე. მელა კი ხან ხუთ მამალს, ხან კი ათს, ოცს დაიჭერდა, ჭამდა და თან იძახდა: „-ეგ ქოსამ, ეგ ქაჩალმა, ეგ კი ვანიკომ წაიყვანაო“. ბოლოს ხუთი გადარჩენილი მამალი გონს მოეგო, მძინარე მელიას თვალები დასთხარა და მერე მწევარი მოუყვანა.

ამ ზღაპარში მამალი საკმაოდ ადვილად ენდობა მელიას. მელიას სიტყვებზე: „...ერთი ორმოცი მამალი მინდა ამხანაგათ, რომა საერთოთ ვილოცოთ ხოლმე და მადლი ვადიდოთო“, მამალმა დაუფიქრებლად შეაგროვა ორმოცივე და მიუყვანა. მამალი ასევე

მიმდობია სხვა ზღაპრებშიც. ამ თვისებით ფრინველებში მას გამოირჩეული ადგილი უჭირავს. ასევეა რუსულ და ბელორუსულ ფოლკლორშიც – აქ მას კატა იხსნის ზოლმე. მისი გადარჩენა ყოველთვის მაინც ვერ ხერხდება: „ერთხელ დედლები კრუხად იხსდნენ, ვეღარ მიეშველნენ და შეჭამა მელიამ“ (ფ.არქ., 20849).

„უცოდველი“ მელიის თვალში ყველა ფრინველი ცოდვილია. ზოგს რა ედება ბრაღად და ზოგს–რა: მამალს ხან ასი ცოლის ყოლა უსაყვედურა, ხან უდროოდ ყვირილი, ერთხელაც უთხრა: „მე რო საქათმესთან მივალ, ყვირილს იწყებ, ხალხს აღვიძებ და პირცარიელს მტოვებ, ვინ მოგცა უფლებაო?“ ძერას უთხრა: „-ერთი საწყალი დედაკაცი ერთ-ორ წიწილას ძლივს გამოზრდის, მიხვალ და მოსტაცებ, მე კი ხელცარიელს მიშვებო“ (მსხალაძე, 1973, გვ. 9). ბატს შარი მოსდო – ბუმბულს რად იცვლიო; შენს კვერცხებს თვითონ რატომ არ სჩეკავო?!; შენი ყიყინი არც სიმღერაა, არც ტირილიო“ (ფ.არქ., 17490).

თუ საერთოდ იერუსალიმს მიმავალ მელიას მიჰყვებიან ფრინველები, ზღაპარში „დედალა და მამალა“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 8–10) უკვე გზად მიმავალ ფრინველებს: დედალას, მამალას, ჩხიკვს, სკვინჩას შეუერთდება მელია. აქ სკვინჩამ იყარა მეგობრების ჯავრი, სხვის დაუხმარებლად მოახერხა მელიისთვის გაეხეთქინებინა თავი, „მერე კი ჩამოფრინდა მსხლიდან, მელიის ტვინით ერთი კარგად გამოძდა და მშვიდობით გაუდგა თავის გზას“.

ისეც ხდება, რომ მელიას უხდება ფრინველებთან სათხოვნელად მისვლა. მაგალითად, მან მწყერჩიტას სთხოვა: „ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელეზინე და თავი არ მომიკვდება, ჩემს ღლეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო!“ (ფ.არქ., 1141; ღლონტი, 1974, გვ. 380) ისიც უსრულებს თხოვნას: „აფრინდა და გაედევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებზე ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, სანამ ფერდებს დაიხეთქავდა“. სიცილი მოუნდა და აცინა კიდევ. საერთოდ მწყერჩიტა სასაცილო სიტუაციების შექმნის დიდოსტატია, ასევეა სკვინჩა და ოფოფიც. ამ ტიპის ზღაპრებში ეს ფრინველები საზრიანები და მოხერხებულები არიან და თითქოს ტრიქსტერის როლშიც გამოდიან – ისინი ადვილად ატყუებენ და ამარცხებენ მელიას. ასევე ადვილად ამარცხებს ბელურა კაცს, რომელმაც „ტაჭკა“ გადაატარა ძაღლს და მოკლა. ბელურამ კაცს ჯერ ღვინით სავსე ბოთლები დაამტკრევინა, მერე კი ცხენიც მოაკვლევინა (მსხალაძე, 1973, გვ. 15).

მელიისა და ფრინველების დაპირისპირების მქონე ზღაპრებში განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან სიუჟეტები, სადაც მელია მოტყუებითა და დამუქრებით დედა ჩიტს ბარტყებს ართმევს. ჩიტმა ჩიორამ ტყეში ხეზე ბუდე გაიკეთა და შიგ სამი კვერცხი დადო, გამოჩეკა პატარა ჩიორები, მათ ზრდიდა და დიდ სიხარულში იყო. მაგრამ უბედურება ეწვია. „წყეულმა მელამ ბუდეს მიაგნო“ და დაემუქრა. შეშინებულმა ჩიორამ სამივე ბარტყი გადმოუგდო მელიას. ეს ამბავი მონადირემ შეიტყო და მელია მოკლა (ფ.არქ., 1139). ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით მონადირემ მელიას დანით გაუფატრა მუცელი და ბარტყები ბუდეშივე ჩაუსვა გახარებულ ჩიორას (ლლონტი, 1974, გვ. 372-373). ამ ზღაპრის შესახებ ზევით უკვე გვქონდა საუბარი.

როგორც ვნახეთ, ფრინველთაგან ცხოველთა ეპოსში ვხვდებით: მამალს, დედალს, ბატს, მწყერს, კაკაბს, ჩხიკვს, სკვინჩას, ოფოფს, ძერას და ბელურას.

## თ ა ვ ი IV

### კუმულაციური ზღაპრები

ზღაპრულ ეპოსში კუმულაციური ზღაპრები კომპოზიციის მიხედვით არიან გამოყოფილნი ცალკე ჯგუფად. ვ. პროპი გვთავაზობს მათ კლასიფიკაციას სტრუქტურის მიხედვით (Пропи, 1976, გვ. 242). ის კუმულაციური ზღაპრების ორ ტიპს არჩევს: „ფორმულიანს“ და „ეპიკურს“ (იქვე, 243-244). ასეთ ზღაპრებზე სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ არსებობს. მისი შესწავლის ადრეული პერიოდის ისტორია კარგად არის ნაჩვენები მ. ზაავიოს წიგნში (Haavio, 1929).

კუმულაციური თხრობა (ჯაჭვური ასხმა სიუჟეტებისა) ზღაპრის ყველა ქვეჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. ის გვხვდება, როგორც ცხოველთა ეპოსში, ასევე ჯადოსნურ და ნოველისტურ ზღაპრებშიც. ეს გარემოება გარკვეულ სირთულეს ქმნის ამ ტიპის ზღაპართა გამოცალკევებისას. ზღაპრულ ეპოსში ცალკე ჯგუფის გამოყოფისას სტრუქტურის გარდა მისი შინაარსი და ძირითადი აზრიც უნდა გავითვალისწინოთ. როგორც ირკვევა, სტრუქტურისა და კომპოზიციის მხრივ მსგავსი ზღაპრები მთელ რიგ შემთხვევებში

სხვადასხვა მიზნებს ემსახურება და განსხვავებულია მათი მთავარი აზრიც. მაგალითად, მიუხედავად მსგავსი ფორმისა, ბევრი საერთო არ ჩანს ზღაპრებში – „რწყილი და ჭიანჭველა“ და „ერთ-ციდა ქმარი და ორ-ციდა ცოლი“. ამ უკანასკნელ ზღაპარში ცოლმა ქმარს შალ-აბრეშუმი გაატანა გასაყიდად. შალი ქმარმა გადაცვალა ხარზე, ხარი – მამალზე, მამალი – სამ ნემსზე. ბოლოს ეს ნემსებიც დაეკარგა. ვაჭარი და ერთ-ციდა ქმარი დაობენ: ცოლი ამის გამო მოკლავს ქმარს, თუ – არა. ნიძლავს ქმარი იგებს და მდიდრდება (სიხარულიძე, 1938, № 262). სახლში ხელცარიელად დაბრუნებულ კაცს ცოლი რომ არ უჯავრდება – ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ამის შემდეგ გამდიდრდა ცოლ-ქმარი. ამ ზღაპრის მიზანიც მათი გამდიდრებაა, რაც მომავლის იმედს აძლევს ცოლ-ქმარს. გამდიდრებისკენ კი მიისწრაფვიან ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟები. ცოლ-ქმრის კინობითი ფორმის სახელებიც ამ ქვეყანრის ზღაპრისთვის არის დამახასიათებელი. ქმარი თავისი საქციელითაც ამჟღავნებს საერთოს ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟებთან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ განხილული ზღაპარი შინაარსობრივად ნოველისტურია და სწორედ ამ ქვეყნუფში ჯობს ამგვარი ზღაპრების ცალკე ტიპად გამოყოფა. აგებულების მხრივ კუმულაციური და ქვეყნუფის მიხედვით კი ნოველისტურია, აგრეთვე, „გლეხი და ქილა ერბოც“. ეს სიუჟეტი გვხვდება როგორც რუსულ, ასევე ევროპულ ფოლკლორშიც. წინა ზღაპარში თუ საგნების გაცვლა სინამდვილეში მოხდა, აქ მხოლოდ ოცნებაა ამაზე: გლეხს ერბო მიაქვს გასაყიდად და თან ოცნებობს: იმ ფულით იყიდოს წიწილები, მოგებულთ – გოჭები, იმათი გაყიდვის შემდეგ დაიდგას სახლი, ოჯახს მოეკიდოს და სხვა. ამ ტიპის ზღაპრებში ოცნება გაცვლაზე ყოველთვის ცუდად მთავრდება. იქ კი, სადაც საქმე დაუფიქრებლად სრულდება, მაგალითად, მიდის შალის გასაყიდად, ყველაფერი კეთილად ბოლოვდება: ოჯახი მოულოდნელად დიდი ქონების მფლობელი ხდება. ქილა ერბოს პატრონიც რომ მინდობოდა ბედს და მასზე ბევრი არ ეფიქრა, ალბათ ისიც ეწეოდა საწადელს, მაგრამ წინასწარ გამდიდრების მსურველი ხელცარიელი დარჩა. როგორც ჩანს, გლეხს გამდიდრებაზე ფიქრის ნაცვლად საქმე უნდა გაეკეთებინა. ეს ზღაპრები, რასაკვირველია, სტრუქტურის თვალსაზრისით კუმულაციურია, მაგრამ ქვეყნუფის მიხედვით – ნოველისტური.

ცხოველთა ეპოსშიც შეიძლება გამოიყოს პატარა ჯგუფი ზღაპრებისა, რომელთა სტრუქტურაც მთლიანად ჯაჭვურ თხრობაზეა აგებული. აქ ის კუმულაციური ზღაპრები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები (მწერები ან მცენარეები) არიან, ცალკე ჯგუფს შექმნიან ცხოველთა ეპოსში კუმულაციური ზღაპრებისას. ქართულ კუმულაციურ ზღაპრებზე სხვადასხვა დროს სპეციალურად შეჩერდნენ: მ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე და თ. ქურდოვანიძე (ჩიქოვანი, 1938, გვ. XLV-XLVII; ვირსალაძე, 1960, გვ. 384; ქურდოვანიძე, 1980).

ქართულ ცხოველთა ეპოსში სულ რამდენიმე სიუჟეტი გვაქვს, რომლებიც ე.წ. კუმულაციურ ზღაპრებს მიეკუთვნება. ესენია: „წყი-ლი და ჭიანჭველა“, „თხა და ვენახი“, „ღამურა და ბალახი“, „ეშმაკი მელას ზღაპარი“, „კაცი, ტურა, მელია, კატა, დათვი და მგელი“, „ერთი ხელადის ამბავი“, „ჩარექა“, „ყურუსუდნა“, „გერიტი“.

კუმულაციურად მიიჩნევს თ. ქურდოვანიძე ზღაპარს „მგლის ბერად შედგომა“ (ქურდოვანიძე, 1980, გვ. 79). ამ ზღაპრის მსგავსს („Волк-дурень“) ვ. პროპიც კუმულაციურად თვლის (Пропп, 1976, გვ. 251). ჩვენ კი ეს ზღაპარი ტიპიურ ცხოველთა ზღაპრად მიგვაჩნია, სადაც რამდენიმე შინაური ცხოველი ყველა თავისებურად უსწორდება მგელს და ამარცხებს.

კუმულაციურ ზღაპრებში მოვლენათა თანმიმდევრობა ყოველთვის დაცულია და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. აქ ერთი ამბავი შესაბამისად იწვევს ყველა დანარჩენს – განვითარების მთელ ჯაჭვს.

ზღაპარ „თხა და ვენახში“ (სიხარულიძე, 1965, გვ. 268) ი. გოგებაშვილს შეუცვლია ერთი სიტყვა „ია“ უფრო გასაგები სიტყვით „მოდი“, რომელიც საბოლოოდ ასე დამკვიდრდა: „მოდი, ვენახოთ ვენახი“ (ჩიქოვანი, 1975, გვ. 254).

აქ დასახელებული ზღაპრების უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან მიმართების თაობაზე იხილეთ ჩემს წიგნში: „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“ თავი I, § 3-კუმულაციური ზღაპრები.

ზღაპრების „ჩარექას“, „ერთი ხელადის ამბავის“ პერსონაჟები – ფილთაქვა, მახათი, ვირი, მამალი, კვერცხი, ხელადა და სხვა, რომლებიც ზღაპრის მთავარ გმირს გამარჯვებას მოაპოვებინებენ – ნოველისტურ ზღაპრებშიც გვხვდება, სადაც ისინი ჯადოსნური თვისებებით არიან აღჭურვილნი და ზღაპრის გმირს ბედს სწევენ –

ამდიდრებენ. მაგალითად, ფილთაქვა გვხვდება ქართულ ნოველისტურ ზღაპარში: „შაში და მელია“, საერთოდ ხელსაფქვავე სხვა ხალხთა ნოველისტური ზღაპრებისთვისაც ტიპიურია ჯადოსნური ფუნქციით. ხელსაფქვავე ყველგან გამდიდრების, დიდი დოვლათის, უკეთესი ბედის საწინდარია. მაგალითად, კორეულ ზღაპარში „საცეხველი“ (კორეული, 1972, გვ. 180-181), ამ უკანასკნელს ყველაფრის გაჩენა შეუძლია, რასაც პატრონი ინატრებს. ასევეა სლოვაკურ ზღაპარშიც „ხელსაფქვავე“ (სლოვაკური, 1971, გვ. 91-95). აქ ამ ხელსაფქვავეს წყალობით პატრონმა სხვა ჯადოსნური საგნებიც იშოვა. ესტონურ ზღაპარში საწყალ გოგონას ბრძენმა აჩუქა ისეთი ხელსაფქვავე, რომელიც თავისით ფქვავდა მარცვლელულს, ბოროტი დიასახლისი კი ფერფლად აქცია (ესტონური, 1970, გვ. 23-25).

ასეთივე ჯადოსნური უნარი აქვს მახათსაც. იტალიურ ზღაპარში გვხვდება ჯადოსნური ნემსი, რომელიც დაბრმავებულ თერძს და უხელო მის ქალიშვილს შეკვეთებს უსრულებს, სიღარიბისაგან იხსნის და ბედსაც სწევს („ნემსი“) (იტალიური, 1970, გვ. 218-219).

ქართულ ნოველისტურ ზღაპრებში ჯადოსნური თვისებებით გამოირჩევა, აგრეთვე, ვირი. მას შეუძლია ძვირფასეულობის გაჩენა და თავისი პატრონის გამდიდრება.

აფხაზურ ზღაპარში „მამალი, ღორი, თხა და სახედარი“ (აფხაზური, 1966, გვ. 65) ჩანს, რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ ამ ცხოველებს ადამიანთა ყოფაში: „სახედრით შეშას ეზიდებოდა და წისქვილში საფქვავე მიჰქონდა, თხა პატარა თიკნებსა ზრდიდა და რძეს იწველებოდა, ღორი გოჭებს ჰყრიდა, ხოლო მამალი ქათმის ოჯახს ამრავლებდა. როცა გოჭები და წიწილები დაიზრდებოდნენ, ქვრივი მათ ყიდდა, ანდა ხორცად იყენებდა“. როგორც ვხედავთ, ჩვენი ზღაპრის პერსონაჟთაგან მამალსაც აქვს განსაკუთრებული ფუნქცია. საერთოდ, ამ ზღაპრის პერსონაჟები გამოირჩევიან თავიანთი პრაქტიკული მნიშვნელობით ოჯახში და საერთოდ მეურნე კაცის ყოფაში. შინაურ ცხოველებს, ფრინველებს და საოჯახო ნივთებს უკვე დიდი ადგილი უჭირავს გლეხის ყოფაში და ეს ზღაპრებიც მაშინ არის შექმნილი, როცა კაცმა უკვე კარგად იცის იმათი ფასი. ე.ი. ეს ზღაპრები ცხოველთა ეპოსის სხვა ნიმუშებთან შედარებით ყველაზე გვიანდელი პერიოდისაა.

## ეტიოლოგიური გადმოცემები

ეტიოლოგიური (ბერძნული სიტყვაა: aitia – მიზეზი და logos – მოძღვრება) გადმოცემები ცხოველთა ზღაპრებთან ერთად უძველესია მთელ ხალხურ პროზაში და დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს მითთან. ის აგებულია მითის პრინციპით – როგორც ახსნა ამა თუ იმ საგნის, მოვლენის თუ რაიმე სხვის წარმოშობისა (Сказки, 1976, გვ. 18). განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ტომთა სხვადასხვა ტიპის არა ეტიოლოგიურ ზღაპრებს დღესაც აქვს შემორჩენილი ეტიოლოგიური დასასრული.

ქართული ეტიოლოგიური გადმოცემები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე. ქართული ხალხური ზღაპრების კრებულებში კი პირველად მისი ნიმუში – „ჭინჭრაქა და ჭიჭინობელა“ მ. ჩიქოვანმა დასტამბა (ჩიქოვანი, 1938). ამ ტიპის გადმოცემები ცხოველთა შესახებ უმეტესად ცხოველთა ზღაპრებთან იბეჭდება. აქ ხომ ცხოველთა წარმოშობაზე, მათ თვისებებზე და თავისებურებებზეა საუბარი. ელ. ვირსალაძემ ამ ჟანრის 15 ნიმუში ქართული ლეგენდებისა და გადმოცემებისადმი მიძღვნილ კრებულში გამოაქვეყნა (Вирсаладзе, 1973, № 90–104). ფ. ზანდუკელი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ზღაპარი მნიშვნელოვნად ატარებს თქმულებათა იერს და სიუჟეტიც შესაბამისად ვითარდება (ზანდუკელი, 1977, გვ. 114–115). აფხაზური ფოლკლორის მკვლევარი ს. ზუხბა მათ ეტიოლოგიურ ზღაპარ-მითებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „უახლოეს დრომდე ბევრნი აღიქვამდნენ მათ როგორც განსაზღვრულ რწმენას. მას მერე რაც აღარ არის ის რწმენა და ზღაპრად გადაიქცა, ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა დამრიგებლური აზრი, ზოგიერთმა კი სახუმარო ხასიათი მიიღო“ (Зухба, 1970, გვ. 88). ა. ანშბა ეჭვის ქვეშ აყენებს ს. ზუხბას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღეს ხალხს აღარ სწამს აქ მოთხრობილი ამბები და ამბობს: „რასაკვირველია, ხალხს შორეულ წარსულში სჯეროდა ამ ამბების, მაგრამ შეწყვიტა თუ არა მისი დაჯერება, ჩვენ არ ვიცით“ (Аншба, 1982, გვ. 127).

როგორც ვხედავთ, ამ ჟანრის განხილვისას მთელი რიგი სირთულეები იჩენს თავს. ჩვენ ჯერ მოვიტანთ ამ ტიპის ნაწარმოებთა ნიმუშებს და შემდეგ ვაჩვენებთ მის მიმართ ჩვენს

დამოკიდებულებას.

ქართულ ეტიოლოგიურ გადმოცემებში შეიძლება რამდენიმე ჯგუფი გამოიყოს. ამ ზღაპრებში მოთხრობილია: 1. ამა თუ იმ არსების წარმოშობაზე; 2. რატომ არის მათი გარეგნობა ასეთი; 3. რატომ აქვთ მათ გამორჩეული თვისებანი.

პირველ ჯგუფში ძირითადად ფრინველთა წარმოშობაზეა საუბარი. მაგალითად ოფოფზე: რძალი გაბრწყინებული თვალებით ქმარს ელოდა და თმას ივარცხნიდა, სწორედ ამ დროს შეასწრო თვალი მამამთილმა. შერცხვენილმა ქალმა ღმერთს შესთხოვა – ფრინველად მაქციეო და ოფოფად იქცა (აკაკის კრებული, 1889, I, განყ. III, გვ. 28; Кавказ, 1850, № 40; Вирсаладзе, 1973, № 100).

სხვა გადმოცემაში დედინაცვლის მიერ შევიწროებულმა გერმა, სწორედ მაშინ, როცა თმაში სავარცხელი ჰქონდა გარჭობილი, ინატრა, ნეტავ თავისუფალ ფრინველად მაქციაო და ოფოფად იქცა (Машурко, 1894, № 18, განყ. III). შესამეგან კი დაღუპული ვაჟკაცის ცოლი გადაიქცა ოფოფად, რომელსაც თმაში სავარცხელი ჰქონდა გარჭობილი (ივერია, 1886, 263; Хаханов, 1895, გვ. 107).

გადმოცემაში გუგულის წარმოშობაზე – დედინაცვალი ორ გერს ტყეში ძროხას ამწყემსინებდა. ერთხელაც მათ ძროხა დაეკარგათ. დედინაცვალმა ისინი ღამე გაყარა ძროხის საძებნელად. შეშინებული ბავშვები მთელი ღამე ერთმანეთს გაჰყვიროდნენ: – ნახე? – არაო. წმინდა გიორგის შეეცოდა ბავშვები და ისინი გუგულებად აქცია (СМОМПК, 1894, № 18, განყ. III). სხვა ეტიოლოგიური გადმოცემის მიხედვით კი: იყო ერთი მუყაითი გლეხი ოტია, რომელიც სხვებსაც აგულიანებდა, ეუბნებოდა – იმუშავეთო. ღმერთმა ოტია გუგულად აქცია და როგორც სამაგალითო მეურნეს ნება მისცა, აიღოს ხოლმე მოსავლის ნამატი. მას მერე დაფრინავს გუგული და ხალხს აფრთხილებს: – გაზაფხულია და ხანით<sup>4</sup> (Кобалия, გვ. 120-121).

ბუს წარმოშობაც გუგულის გაჩენის მსგავსი სიუჟეტით არის გადმოცემული: დაკარგული ხბოს საძებნელად დედინაცვლის მიერ გაგზავნილ ბიჭებს ტყეში შემოადამდათ და ღმერთს შველა სთხოვეს – ჩიტად გვაქციეო. ღმერთმაც შეისმინა მათი თხოვნა და ისინი ბუებად აქცია, რომლებიც ადრე არ არსებობდნენ. მათ

---

<sup>4</sup> გუგულის წარმოშობაზე „Кавказ“-ში დაბეჭდილი გადმოცემაც – 1849 წ., № 18.

დედინაცვლისა დღემდე ემინიათ, ზიდან ზეზე ზტებიან და ზბოს ისევ ეძებენ: -იპოვე? -ვერა, ვერაო (СМОМПК, ტ. I , გვ. 127).

გადმოცემა მოლაღულის წარმოშობაზეც გუგულისა და ბუს მსგავსია. აქაც დედინაცვალთა გერებს ძროხის საძებნელად გზავნის ღამე ტყეში, სადაც ისინი ერთმანეთს ეძახიან: -ბიჭო, ბიჭო, გოგია, იპოვე?, -ვერა, ვერა, ვერაო (СМОМПК, 1894, № 18, განყ. III).

წკრომზე გადმოცემაში ობოლი და-ძმა ტყეში ფაფას ხარშავდა. ფიჩხი შემოაკლდათ. მოსატანად წასვლისას დამ ძმას უთხრა: -თუ ფაფას ხელს ახლებ, თავზე მთა დაგემხობაო. ძმა ფაფას მაინც მიეპარა და მთა ჩამოემხო. დამ ვეღარ იპოვა იგი. მას მერე სულ ეძებს: -ძმაო, ძმაო! - და იქცა წკრომად (იქვე).

კულ წარმოშობაზე ნაამბობია: ქალმა საყვარლის მოლოდინში ვაზში მოამზადა - ქათამი დაკლა და შამფურზე წამოაცვა. მაგრამ ხედავს, სტუმრად თავისი ძმა მოდის. ქალმა სასწრაფოდ ჯამი გადააფარა შემწვარ ქათამს და შეინახა. შორიდან მოსულს კი პურითა და ფხალით გაუმასპინძლა და ჩქარა გაუშვა. როცა მიბრუნდა, კარადაში ქათამი აღარ დახვდა. ჯამი შეზრდოდა ქათმის ზორცს, გაცოცხლებულიყო და სახლიდან წასულიყო. ასე გაჩნდა კუ (СМОМПК, ტ. , განყ. III; СМОМПК, ტ. II, განყ. II, გვ. 119; Вирсаладзе, 1973, № 90). სხვა ზღაპრის მიხედვით კი: ახალგაზრდა რძალი ბანაობდა, კარის დაკეტვა კი დაავიწყდა და დედამთილმა დაინახა. შერცხვენილი რძალი ძირს დაწვა და ფარდაგი გადაიფარა. იმ წუთშივე ქალს ზურგზე შეეზარდა ეს ფარდაგი, რომელსაც დღესაც ატარებს როგორც თავისი ურცხვობის სასჯელს (Вирсаладзе, 1973, № 91).

დათვი, მგელი და მელაც ადრე აღამიანები ყოფილან. ქრისტე ღმერთმა მათ წყალობა უყო: ტყე ვენახად უქცია, მინდორი - ყანად, რიყე კი - ცხერად. ისინიც საქმეს მოეჭიდნენ და გამდიდრდნენ. ერთხელ ქრისტე მათ მათხოვრის სახით მოევლინა. იმათ კი უდიერად მიიღეს და წყალობა დაინანეს. ამაზე განრისხდა ქრისტე ღმერთი, ტყეს, მინდორსა და რიყეს პირვანდელი სახე დაუბრუნა, მეზრე დათვად აქცია, ყანის პატრონი - მელად, მწყემსი კი - მგლად (ვირსალაძე, 1964, გვ. 165-166). სხვა გადმოცემის მიხედვით დათვი ადრე მღვდელი იყო. წირვაზე მიმავალს სულმა წასძლია და ლელვი შემოეჭამა. ეს ქრისტემ დაინახა და დასწყევლა: „მხეცი ყოფილხარ და მხეცად იქეციო!“ (ფ.არქ., 215).

II ჯგუფის გადმოცემებში - რატომ აქვს ასეთი გარეგნობა ამა თუ

იმ არსებას, ნაამბობია როგორც ფრინველებზე, ასევე მწერებზე და ქვეწარმავლებზე. მაგალითად, ერთგან მოთხრობილია, რატომ აქვს მერცხალს კუდი მაკრატელა, ხოჭოს რატომ არა აქვს ენა და გველი რატომ იკვებება ბაყაყებით: თურმე ნოეს კიდობანში ბზარი გაჩნდა. გველმა თქვა: წყალს მე შევაჩერებ, ოღონდ გემრიელი ხორცით მკვებეთო. ნოემ ხოჭო გაუშვა: -გამიგე, რომელი ხორცია უკეთესიო. ხოჭოს კაცის ხორცი მოეწონა. ეს აზრი გაუზიარა მერცხალს. მერცხალმა ჯერ თავისი ხორცი გაისინჯა, შემდეგ ხოჭოს სთხოვა ენის გამოყოფა მისი ხორცის გასასინჯად და მოხერხებულად ამოაგლიჯა ენა. ნოესთან რომ მივიდნენ, გველმა იკითხა: - რა ვჭამო? - ხოჭოს ენა აღარ ჰქონდა და მერცხალმა უთხრა: -ბაყაყებით. ასე გადაარჩინა მერცხალმა ადამიანი. გაჯავრებულმა გველმა მერცხალს კუდი გამოაგლიჯა. ამიტომ არის ხოჭო უენო და მერცხალი კუდმაკრატელა (СМОМПК, ტ. II, განყ. III, გვ. 78-79; СМОМПК, ტ. II, განყ. II, გვ. 118; Вирсаладзе, 1973, № 103).

მსგავსი სიუჟეტისაა გადმოცემა „გველი, მერცხალი, ფუტკარი და ბაყაყი“: ადრე გველი ანგელოზი იყო. ღმერთმა ის გველად აქცია და დიდხანს მშიერი დადიოდა. გველმა ღმერთს ფუტკარი და მერცხალი მიუგზავნა - საჭმელი შემირჩიეო. ღმერთმა მათვე დაავალა ეს საქმე. ფუტკარმა ბავშვის ხორცი აირჩია. მერცხალმა მას ენა ამოაგლიჯა და ღმერთს გველის საჭმელად ბაყაყები ურჩია. ღმერთმაც ეს დაუნიშნა გველს საკვებად. ბაყაყები კი წაბლის ტყეში წაბლს აგროვებენ - კბილები ამოგვივა და შევჭამთო (СМОМПК, 1894, № 18, განყ. III).

სხვაგან მოთხრობილია, თუ რატომ არა აქვს ტაბაკას ცალ მხარეს თვალი. თურმე, როცა ის შამფურზე იწვებოდა, ხმა გავრცელდა - ქრისტე აღსდგაო.- თუ მართლა გაცოცხლდა, ეს ტაბაკა გაცოცხლდესო, - თქვეს და ნახევარგვერდშემწვარი თევზი შეფართხალდა და წყალში გადახტა (იქვე).

კატა კი იმიტომ არის თავის ნათესაობაში ყველაზე პატარა, რომ ადამიანთან ცხოვრობს. ეს უკანასკნელი კი ძლიერი არსებაა და მასთან ყოფნა ადვილი არ არის, როგორც ვეფხემაც (იშვიათად ლომმა) გამოსცადა თავის თავზე<sup>5</sup> (ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 184-186; სიხარულიძე, 1938, № 237; ლლონტი, 1956, გვ. 130; ფ.არქ., 8623; СМОМПК, 18, განყ. II, გვ. 131).

<sup>5</sup> ვეფხვის ნაცვლად ეხედებით დევსაც -СМОМПК, VIII, განყ. II, გვ. 64.

რაც შეეხება შვინდის ხეს, ის იმიტომ არ იზრდება მაღალი, რომ გაზაფხულის ერთ თბილ დღილას დათვმა შეამჩნია, ტყეში მარტო შვინდი ყვოდა. იფიქრა, ყველაზე ადრეც ეს დამწიფდებაო და მის ქვეშ დაიძინა. რამდენჯერაც გამოიღვიძა, შვინდი სულ მკვასზე იყო და ისევე აგრძელებდა ძილს. ერთხელ დიდი წვიმა მოვიდა, წყალმა მწიფე პანტა წამოიღო. ეს რომ დათვმა დაინახა, წამოვარდა გაბრაზებული და შვინდის ხეს კენწერო მოამტვრია. მას მერე აღარ იზრდება მაღალი შვინდის ხე (სონლულაშვილი, 1957).

ადამიანის ცნობიერებაში, მას მერე რაც ის გამოეყო გარემომცველ ბუნებას, მთელი რიგი საკითხებისა სხვაგვარად დადგა. ეს ორი უკანასკნელი გადმოცემაც ამ მოგვიანო პერიოდისაა. აქ შესადარებლად უკვე ერთი გვარისანი გამოდიან. მაგალითად, კატა პატარაა ვეფხვთან შედარებით, შვინდის ხე კი – სხვა ხეებთან დაპირისპირებისას. ამ გადმოცემებში აღარც ღვთის ნება ჩანს – ერთ შემთხვევაში ადამიანის ძალამ, მეორეში კი ღვთის დაუდევრობამ გამოიღო განსხვავებული შედეგი.

III. რატომ აქვს ასეთი თვისებები ამა თუ იმ არსებას. ამ ჯგუფში მაგალითად, ნაამბობია: ჭინჭრაქა ღობე-ღობე იმიტომ იმალება, რომ ის ჭიჭინობელამ შეარცხვინა: ერთხელ, როდესაც ჭინჭრაქა და ჭიჭინობელა მეზობლის სატირალში იყვნენ წასულნი, ამ უკანასკნელმა ტირილი აღარ გაათავა და ჭიჭინებდა მთელი სამი თვე. ჭინჭრაქა კი სირცხვილისაგან ღობე-ღობე იმალებოდა მთელი ამ ხნის მანძილზე (ჩიქოვანი, 1938).

სხვა გადმოცემაში მოთხრობილია, ჭინჭრაქა, ეს პატარა ჩიტი, ხშირად გულაღმა რატომ წევბა და თავის პატარა ფეხებს ცისკენ რატომ აიშვერს ხოლმე. როცა მას კითხეს: -რად აკეთებ ასეო? - უპასუხა: -თუ ცა ჩამოინგრა, მე დაეიჭერ ფეხებითო (СМОНІК, 1894, № 18, განყ. III).

რაც შეეხება ბუს, იმან ერთხელ მოიწვია ფრინველები: -თქვენი ბატონი ვარ და ფეხები დამბანეთო. დაბანეს. ყვირილი დაიწყო: -ფეხი ნუ მატკინეთო. ფრინველებს ეწყინათ და სცემეს. შერცხვენილი ამიტომ დღისით ვეღარ ჩნდება (იქვე).

კამეჩი კი იმიტომ იძახის „ნ-ო-ეო“, რომ, საერთოდ ნელა მოსიარულემ, ნოეს კიდობანს ვერ მიუსწრო. კამეჩმა კარგი ცურვა იცოდა. როცა მიცურა კიდობანთან, აწია თავი და ნოეს დაუძახა: -ნოე, ნოე, ნოეო! ნოემ დაინახა კამეჩი და შეუშვა კიდობანში. კამეჩმა კი ვერ მოასწრო სიჩქარით ტალახის ჩამობანვა და შავი ფერი

შერჩა. ადრე კი ის თოვლივით თეთრი ყოფილა (იქვე, გვ. 79; ღლონტი, 1956).

სხვა გადმოცემაში მოთხრობილია ჭოტის გასაჭირზე. წინათ ჭოტი იყო ფრინველთა მეფე. ჩიტები თავს უხილავდნენ ხოლმე. ერთხელ ჩხიკვი უხილავდა თავს და ჰკითხა: - რბილი ბუმბული რათა გაქვსო? - სულითაც რბილი და სუსტი ვარო- უპასუხა ჭოტმა. მაშინ ჩხიკმა ჩიტები აუჯანყა და შეშინებული ჭოტი ფულუროში დაიმალა. მას შემდეგ ღლისით იმალება, ღამლამობით კი ამბობს: - ჩემს ტანჯვას დიდი ხანია მივეჩვიეო (СМОНПК, 1894, № 18, განყ. III; СМОНПК, 32, განყ. II, გვ. 116-117; Вирсаладзе, 1973, № 101).

ძერას კი მუდამ იმიტომ სწყურია, რომ ნოემ როდესაც ფრინველები გაუშვა, ძერა აღარ დაბრუნებულა. ამიტომ ღმერთმა დასაჯა: ყოველთვის გწყუროდესო. მას მერე ძერა წყლის თავზე დაფრინავს, წყალი სისხლად ეჩვენება, არა სვამს და ყვირის: მწყურიაო (СМОНПК, 1894, № 18, განყ. III). სხვა ვარიანტის მიხედვით კი: ღმერთმა როცა წყალი გააჩინა, ყველა ფრინველი დაეწაფა მას. მხოლოდ ძერა არ მივიდა წყალთან. ღმერთმა დასაჯა. ამიტომ იგი მხოლოდ ნამით იკლავს წყურვილს. სიცხეში კი სწყურია. მაღლა აფრინდება ცაში და ყვირის: მწყურია, მწყურიაო (იქვე). სხვა ვარიანტით კი ძერამ ღმერთს ბარტყები არ მისცა და ასე იმიტომ დაისაჯა (ვირსალაძე, 1964, გვ. 252).

გადმოცემაში, რომელიც ბულბულს ეხება, მოთხრობილია, რომ რაღაც ცოდვისათვის მას მისჯილი ჰქონდა, მთელი ღამე ეფხიზლა და ეგალობა. თუ არა და პირში სვია ამოუვიდოდა და დაახრჩობდა. ბულბულიც ამიტომ ეძახის სიმღერით ველურ თხებს და სვიაზე მიაწინებს: - მოდიო, ძირიანად ჭამეთო (СМОНПК, 1894, № 18, განყ. III).

გადმოცემაში „ფუტკარი რატომ ერიდება ზოგიერთ ყვავილს“ მოთხრობილია: ღმერთმა გადაწყვიტა, ფუტკრის ერთგულება გამოეცადა და უთხრა: გადათვალე, რაც დედამიწაზე ყვავილებია და ჩამომითვალე, რომელი მათგანი მოგცემს თაფლს და საკვებს. ფუტკარმა მთელი ყვავილები გადათვალა და ის იყო პასუხით უნდა დაბრუნებულიყო, რომ დაინახა მისთვის უცნობი სამი ყვავილი: თხის ფხელი, სამყურა და წუწნელა. - სულ მინდორში დაეფრინავ, მაგრამ პირველად ეხედავ, ესენი ბევრ თაფლს მომცემენო, იფიქრა და გადაწყვიტა ღმერთისთვის დაემალა მათი არსებობა. ერთხელაც თუ მისი წყალობა მომაკლდა, ესენი დამრჩებაო. მიფრინდა ფუტკარი ღმერთთან და ყველა ყვავილი ჩამოუთვალა ამ სამის გარდა.

დმერთმა კი უთხრა: -მაშ, დღეის შემდეგ იმ ყვავილებით იკეპებ, რომლებიც ჩამომითვალე. იმ სამ ყვავილს კი არ მიეკარო, თორემ დაიღუპებიო. ამიტომაც ამ სამ ყვავილზე ფუტკარი თაფლს არასოდეს აგროვებს (ჯეჯილი, 1915, № 7-8; ვირსალაძე, 1964, გვ. 248; ვირსალაძე, 1973, №99).

დღეა კურდღელი ბაჭიებს ძუძუს მხოლოდ სამი დღე და ღამე იმიტომ აწოვებს, რომ მან ბაჭიას ჰკითხა: ერთი წელი გაწოვო თუ სამი დღე და სამი ღამეო. ბაჭიას მეორე უფრო მეტი ეგონა და ის აირჩია (СМОМПК, № 32, განყ. II, გვ. 118; ვირსალაძე, 1973, № 94).

ხალხურ სიტყვიერებაში გვხვდება, აგრეთვე, გადმოცემა იმის შესახებ, თუ რატომ შეიძულა ბულბულმა ვაზის ლერწი და ეენახი: ერთ ხანს ვაზის ლერწი და ბულბული დიდი მეგობრები იყვნენ. ბულბული ზედ დაფრინდებოდა ხოლმე და გალობდა. ლერწი კი ცრემლებად იღვრებოდა და უცებ ეზრდებოდა მწვანე ულვაშები. მთელი ღამე გალობდა ბულბული, ლერწი კი ფეხებზე ეხვეოდა. დილას ბულბული ისე მაგრად იყო ზედ დაბმული, კელარ გაფრინდა და სული იქ დალია. სწორედ ამის შემდეგ არის, რომ ბულბული ეენახს აღარ ეკარება (СМОМПК, № 18, განყ. III, გვ. 37-38; ვირსალაძე, 1973, № 92).

გვხვდება, აგრეთვე, გადმოცემა ძაღლისა და კაცის მეგობრობაზე:თავიდან მარტო ცხოვრობდა ძაღლი. ერთხელ შეხვდა ტურას და ერთად გააგრძელეს გზა, მაგრამ გზაში გაიგო, მგელი უფრო ძლიერი ცხოველიაო და ახლა მგელთან წავიდა. მგლისგან დათვთან გადავიდა, მაგრამ როცა გაიგო - ადამიანზე ძლიერი არაეინ არისო, მასთან მივიდა, აღარ მოშორებია და ერთგულად ემსახურება (ვირსალაძე, 1964, გვ. 250; ვირსალაძე, 1973, № 96).

სვანურ გადმოცემაში „სოსრიყვი“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 124-125) მოთხრობილია, თუ რატომ აქვს მგელს ძლიერი კისერი; რატომ არა ყავს ყვავს ერთის მეტი შვილი, ისიც თავის მტერი და რატომ აფრინდება ხოლმე მწყერი ფრთების ხმაურით.

სოსრიყვი რომ გაჩნდა, მამამ „სოლამთან წაიყვანა გამო-საწრთობად. სოლამს იგი საგულდაგულოდ გამოუწვრთია, მაგრამ მუხლებისთვის ვერაფერი მოუხერხებია. ეს ამბავი ნართებს გაუგიათ. სოსრუყვსა და ნართებს ბრძოლა გაუმართავთ“. ნართები ვერაფერს აკლებდნენ, მაგრამ ბოლოს წისქვილის ქვა უსვრიათ და ორივე მოუმტკრევიათ. სისხლი ღვარად მოსდიოდა, „ამ დროს მგელს ჩაუვლია.

-მგელო, სოსრუყვი დაგენაცვლოს, ჩემი სისხლი მიირთვიო!

-ღმერთმა ნუ ქნას, რომ შენი სისხლი დასაღვეად გავიმეტოო,-  
უთქვამს მგელს.

-მაშ, თუ ასეა ჩემი მაჯის ძალა შენი კისრისთვის დამი-  
ლოცნიაო.

თურმე ამის შემდეგ აქვს მგელს ასეთი ღონიერი კისერი“.

მერე ყორანს შესთავაზა სოსრუყვმა თავისი სისხლი. ყორანიც  
დაეწაფა.

„-მაშ, დღეის შემდეგ ერთის მეტი შვილი ნუ მოგცა ღმერთმა და  
ისიც შენი მტერი: თორმეტ მთას იქით თუ არ დაიკარგე,  
მოგიბრუნდეს და შეგჭამოსო“-უთხრა სოსრუყვმა. მერე სისხლი  
მწყერს შესთავაზა. ის კი არ მიეკარა. სოსრუყვმა უთხრა:

„-მაშ, როცა კი აფრინდები, შენმა ფრთებმა ისეთი ბათქანი  
მოადინოს, რომ ყველას შეეშინდესო.

უთქვამს ესა და სული დაუღვეია“.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილ გადმოცემებს სხვადასხვა  
ხალხის ფოლკლორში (აფხაზურ, რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ,  
ინდურ, ბუშმენურ და სხვა) ეძებნება პარალელები.

როგორც ვნახეთ, ქართული ეტიმოლოგიური გადმოცემები ძი-  
რითადად ფრინველების წარმოშობაზე, მათ გარეგნობაზე და თავი-  
სებურებებზე მოგვითხრობს. ფრინველების გარდა ვხვდებით გად-  
მოცემებს მწერებზეც, თევზებზეც, ქვეწარმავლებზეც, ცხოველებ-  
ზეც და ხეებზეც. მაგალითად, ხოჭოზე, ტაბაკაზე, ბაყაყზე, გველზე,  
კუზე, კურდღელზე, კამეჩზე, დათვზე, მგელზე, მელაზე, კატაზე...

ამ გადმოცემათა მიმართების შესახებ უძველეს რწმენა-წარ-  
მოდგენებთან იხილეთ ჩემს წიგნში „უძველეს რწმენა-წარმოდგენ-  
ათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“, თავი I, §1- ეტიმოლოგიური  
გადმოცემები.

## თ ა ვ ი VI

### ცხოველთა ეპოსის პერსონრაჟის გენეზისი

ცხოველთა ეპოსის პერსონრაჟები გამორჩეულ სახეს ქმნიან  
მთელ ხალხურ შემოქმედებაში. ისინი განსხვავდებიან როგორც  
მითის, ასევე ზღაპრული ეპოსის სხვა ქვეყანარის ცხოველები-

საგანაც, რაც აღრმავებს ინტერესს ამ პერსონაჟთა გენეზისისადმი. ამ საკითხთან დაკავშირებით ფოლკლორისტიკაში გამოთქმულია არა ერთი ვარაუდი. განვიხილავთ თითოეულ მათგანს და შემდგომ ვაჩვენებთ ჩვენს პოზიციას.

## § I. მითოლოგია და ცხოველთა ეპოსი

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები მითოსიდან გადმოვიდნენ. ამ საკითხში გასარკვევად ჩვენ შევუდარეთ მითის ცხოველებს ცხოველთა ეპოსის შესაბამისი პერსონაჟები. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხების მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით, ღომი ღვთაებრივი სიძლიერის, სიდიადის, ძალაუფლების, მზის, ცეცხლის სიმბოლოა. მის სახესთან დაკავშირებულია, აგრეთვე, გონიერება, კეთილშობილება, დიდსულოვნება, სიმამაცე, სამართლიანობა, სიამაყე, ტრიუმფი, მედიდურობა, სიფხიზლე (Иванов, 1982, Лев, გვ. 41). ქართულ ცხოველთა ეპოსში ღომი ორ სიუჟეტში გვხვდება. მართალია, ორივეგან ის ტყის ნადირთა მეფეა, მაგრამ ადვილია მისი მოტყუება და ზომაზე მეტად ფიცხია, ამას კი მშვენივრად იყენებენ მასზე სუსტი არსებანი თავის გადასარჩენად. მაგალითად, ერთგან მელიამ გამწარებულ ღომს მგლის ტყავი გააძრობინა; სხვაგან კი ცბიერმა კურდღელმა თავი დააკარგვინა – ისე მოუხერხა, რომ განრისხებული ჭაში ჩახტა და დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ ეს ბოლო სიუჟეტი საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში.

ვეფხვი, მითოლოგიური წარმოდგენებით, არის ცხოველთა მეფე, ტყის პატრონი. ის, აგრეთვე, ცნობილია როგორც მთებისა და გამოქვაბულების სული (Топоров, 1982, გვ. 511). ქართულ ეტიმოლოგიურ გადმოცემაში კი, კატის მოსარჩლე ვეფხვი კაცმა ადვილად დაამარცხა.

ცხოველთა ეპოსში დათვი თითქმის ყოველთვის დამარცხებულია და ზღაპრის დასასრულს იღუპება კიდეც. მითოლოგიურ წარმოდგენებში კი ის არის ღვთაება, წმინდა ცხოველი. მოგვიანო მითოლოგიურ სისტემაში მას აქვს ძალის, გაბედულების, გამძლეობის სიმბოლური მნიშვნელობა (Иванов, 1982, Медведь, გვ. 128-130).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ განსხვავებული დამოკიდებულებაა

მითისა და ცხოველთა ეპოსის ზემოთ ჩამოთვლილ პერსონაჟებს შორის. ასევე განსხვავებულ სახეებს გვაძლევენ სხვა პერსონაჟებიც. მაგალითად, ცხვარი ცხოველთა ეპოსში მგლის დამმარცხებელია; მითოლოგიურ სისტემაში კი სიმბოლოა გაუბედაობის, სიმორცხვის, სიმშვიდის, უწყინარობის, სინაზის (Топоров, 1982, Овца, გვ. 237). ქათამი მითოლოგიაში შეიძლება იყოს ღვთაება, დემიურგი. მამალი კი მზის კულტთან არის დაკავშირებული, ამასთანავე მკვდრეთით აღდგომის, ცხოვრების მარადიული განახლების სიმბოლოა (Соколов, 1982, გვ. 309). ცხოველთა ეპოსში კი ეს შინაური ფრინველები მხოლოდ მელის საკბილონი არიან. ალბათ აქ უნდა გავიხსენოთ ა. ვესელოვსკის მოსწრებული ნათქვამი: „მე ვერასოდეს დავიჯერებ, რომ მელა პატრიკეენას ოინები ღრუბლებში ხდებოდა და არა საქათმეში“ (Веселовский, 1938, გვ. 103).

როგორც ვიცით, მგელი ცხოველთა ეპოსში გამოირჩევა უმწეობით, უსუსურობით – მუდმივად მშიერია, რადგანაც ყველაფერი თვალსა და ხელს შუა უსხლტება. ის საკმაოდ სულელია და ყოველთვის იოლად ამარცხებენ როგორც მშვიდობის მოყვარული შინაური ცხოველები, ასევე ცბიერი მელია. მგლის ამ ტიპს ჩვენ თუ შევუდარებთ მითოლოგიურ წარმოდგენებში დამკვიდრებული მგლის სახეს, ვნახავთ, რომ აქ რადიკალურად განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. „ევრაზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ბევრი ხალხების მითოლოგიურ წარმოდგენებში მგლის სახე ძირითადად დაკავშირებულია საბრძოლო რაზმის წინამძღოლის (ან ომის ღმერთის) კულტთან და ტომის წინაპართან... ომის ღმერთის ფუნქციით მგელი გამოდის ინდოევროპული მითოლოგიის ტრადიციით... თვით მეომრებიც ან ტომის წევრებიც წარმოდგენილი იყვნენ მგლების სახით ან იწოდებოდნენ მგლებად (ხეთურ, ირანულ, ბერძნულ, გერმანულ და სხვა ინდოევროპულ ტრადიციებში) და ხშირად ირთვებოდნენ მგლის ტყავით“ (Иванов, 1980, გვ. 242). მგლის, ისევე, როგორც დათვის საპატივცემულოდ ეწყობოდა ღვთაება (Аникин, 1959, გვ. 63).

ასეთი გაორება იგრძნობა სხვადასხვა ხალხების რწმენებსა და მათ ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს შორისაც. ეს საყოველთაო მოვლენა აინტერესებდათ ა.ფ. ანისიმოვს და ვ.პ. ანიკინს: „თითქმის ყველა ზღაპარი ცხოველებზე ამბობს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ჩვენ ეხვდებით ცრურწმენებში და მათთან დაკავშირებულ ფანტასტიკური ხასიათის მოთხრობებში“ (იქვე). ა. ფ. ანისიმოვი ზღაპარში

ხედავს „მხატვრულ ფორმაში ასახული დედისეული გვარის დამხობას“ (Анисимов, 1950, გვ. 321). ე.ი. მატრიარქატის დაცემას მოჰყვა ტოტემურ არსებათა თაყვანისცემის შეცვლა მათი გამასხარავებით.

ამ საკითხზე მსჯელობისას, საჭიროა მოკლედ ითქვას მითისა და ზღაპრის ურთიერთობის საკითხზე. ფოლკლორისტიკის თანამედროვე ეტაპზე, როგორც ვიცით, ითვლება, რომ ზღაპარი მითისაგან წარმოიშვა და მის განვითარებას წარმოადგენს. მაგალითად, ე. მელეტინსკი წერს: „ზღაპრის მითისგან წარმოშობა ეჭვს არ იწვევს“ (Мелетинский, 1977, გვ. 1). ვ.ი. პროპი აღნიშნავს: მითი წესჩვეულებაზე მეტ ხანს ცხოვრობს და გადაიზრდება ზღაპარში (Пропп, 1946, გვ. 15-16). ლევი-სტროსი ზღაპარში ხედავს, მხოლოდ ოდნავ „შესუსტებულ“ მითს (Мелетинский, 1969, გვ. 140). ე. მელეტინსკი თვლის, რომ მითის ზღაპრად ქცევას ხელს უწყობს: 1. მისი დერიტუალიზაცია, 2. დესაკრალიზაცია, 3. დემითოლოგიზაცია თვითონ გმირისა, 4. დემითოლოგიზაცია მოქმედების დროისა, 5. გადასვლა კოსმიური მასშტაბიდან პირადი ბედის გამოსახვაზე, 6. დასუსტება ან მოსპობა ეტიოლოგიზმისა, 7. მოწყვეტა პირობითი ზღაპრული ფანტასტიკისა რწმენისგან, მისი უტყუარობის რწმენის შესუსტება და შეგნებული დაშვება პოეტური გამონაგონისა (Мелетинский, 1972, გვ. 182).

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, „ფოლკლორი არ არის მითოსური ცნობიერების განმეორება და გაგრძელება. მითოსური ამბავი არ არის ფოლკლორული ზღაპარი... მითოსური ამბავი აუცილებლად მის რეალობად განცდას გულისხმობს, ზღაპარი კი თავის სათქმელს ამბის რეალობად განცდის გარეშე გვაცნობს და გვაგრძნობინებს“ (დობორჯგინიძე, 1981, გვ. 125). „ანდრეში, გინა მითოსში ყველაფერი ნამდვილია, ამით იგი უპირისპირდება ზღაპარს, სადაც ყველაფერი გამოგონილია“ (კიკნაძე, 1983, გვ. 161). როგორც ო. ფრეიდენბერგი აღნიშნავს, „მითი არ არის რომელიმე ჟანრი, როგორც ჟანრია, მაგალითად, მოთხრობა. მითი მიიღება უნებლიედ... მითი ჟანრი კი არ არის, არამედ უშუალო ფორმაა შემეცნებითი პროცესისა“ (Фрейденберг, 1978, გვ. 28). მითისაგან განსხვავებით ზღაპარი უკვე მხატვრული აზროვნების შედეგია – მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც გარკვეული მიზნით შეგნებულად არის შექმნილი. ზღაპარში ადამიანზე, მის ცხოვრებაზეა საუბარი მაშინ, როდესაც „მითი ყოველთვის არის ბუნების ან სა-

ზოგადობის ამა თუ იმ მოვლენის განზოგადება“ (Лосев, 1964, გვ. 457).

პაპუასების ფოლკლორზე დაყრდნობით, რომლებსაც ჯერ არა აქვთ კლასიკური ცხოველთა ზღაპრები, ბ.ნ.პუტილოვი ასკვნის, რომ „არა გვაქვს საფუძველი გამოვიყვანოთ კლასიკური ცხოველთა ზღაპრები უშუალოდ ტოტემური წარმოდგენებიდან. აქ საქმე უნდა გვქონდეს პირველ რიგში გაცილებით უფრო ფართო და რთული მითოლოგიური ტიპის კომპლექსთან, მეორეც - გზა საკუთრივ ცხოველთა ზღაპრისკენ იყო, ასე ვთქვათ, მრავალსაფეხუროვანი და გათავისუფლება მითოლოგიური (მათ რიცხვში ტოტემური) კავშირებისგან ხდებოდა რიგი ტრანსფორმაციების შედეგად“ (Путилов, 1980, გვ. 85). ამავე საკითხზე ე.ვ.პომერანცევა წერს: „არ არის საჭირო ცხოველთა ზღაპრის მითოლოგიური ხასიათის გაზვიადება და მთლიანად მისი გამოყვანა ძველი რელიგიური წარმოდგენებიდან“ (Померанцева, 1963, გვ. 75).

ახლა ვნახოთ, რა მიმართება გვაქვს ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებსა და ეროვნულ ეთნოგრაფიაში შემორჩენილ რწმენა-წარმოდგენებს შორის.

## § 2. ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები და ხალხური რწმენა-წარმოდგენები

საქართველოში ყველაზე უკეთ ჩვენთვის საინტერესო ცხოველთაგან მგლის კულტია შესწავლილი და ჩვენც ძირითადად მასზე შევჩერდებით. როგორც უკვე ვნახეთ, მგელი მსოფლიო მითოლოგიაში ომის ღმერთს განასახიერებს. ის ქართულ ყოფაშიც საბრძოლო რიტუალთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მეფე ვახტანგ I გორგასალად იწოდებოდა, რაც სპარსული სიტყვაა და მგელ-ლომს ნიშნავს. როგორც ვიცით, ვახტანგ მეფეს სპარსელებმა ასე უწოდეს, რადგანაც ისინი მის ფარზე თუ მუზარადზე იყო გამოსახული, რასაკვირველია, გარკვეული მოსაზრებით. სვანების დროშა „ლემ“ გენეტიკურად დაკავშირებულია ტოტემურ ცხოველ მგელთან (Бардавелидзе, 1957, გვ. 46). სვანების ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ისინი მგელს „მიაწერდნენ ზებუნებრივ ფიზიკურ ძალასა და მოხერხებას, ჭკუასა და საზრიანობას, არაჩვეულებრივ მხედველობას, უნარს ჩამოაშოროს მათ ადამიანთა

მტრული ზემოქმედება, შესაძლებლობას წინასწარ დაინახოს და გაიგოს თორმეტი მთის იქით მომხდარი ამბავი, რომლის გარბენაც, თითქოს, ერთ ღამეში შეუძლია.

ამასთანავე, სვანების რწმენით, მგლები ფლობდნენ ადამიან-თათვის სასიკეთო მაგიურ ძალას. ამასთან ეხმარებოდნენ და მფარველობდნენ ადამიანებს. სწორედ ამით ხსნიან სვანები, რომ მგლის კბილის ამულეტი მათ ავსულებს და სხვა თვალს არიდებს. მგლის ხორცისა და ქონის შეჭმით, მისი ხორცისა და ძვლების ნახარშისაგან დამზადებულ სასმელთან „ზიარებით“ ისინი არჩენდნენ ადამიანს სხვადასხვა ავადმყოფობისაგან“ (Бардавелиძე, 1957, გვ.44). მგლის მოკვლა ტაბუირებული იყო. შემთხვევით ტაბუს დამრღვევი „სვანი დგებოდა მოკლული ცხოველის წინ თავშიშველი, პატიებას სთხოვდა და არწმუნებდა, რომ ის შეცდა, რადგანაც ვერ იცნო, თორემ ამას ისევე არ ისურვებდა, როგორც ღვიძლი ძმის მოკვლას. შემდეგ ის ცხოველს დაიტირებდა, როგორც ოჯახის წევრს, გაატყავებდა და დამარხავდა“ (იქვე, გვ.44-45).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაზე ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები არ არიან გამოსახულნი. ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ისინი ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ. აქ ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებით შინაურ ცხოველებს: ხარს, ცხენს, კერძს, თხას; აგრეთვე, გარეულ ჩლიქოსნებს: არჩვს, ირემს, ჯიხვს.

როგორც ვხედავთ, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები ძირითადად არ ჩანან. ის გამონაკლისი შემთხვევა, რომელიც ეხება მგელს, მოწმობს, რომ მათ ეროვნულ რწმენა-წარმოდგენებში სულ სხვა – რადიკალურად საპირისპირო როლი აკისრიათ. ეს კი რომელიც ემთხვევა მითოლოგიური წარმოდგენების ფუნქციას.

### § 3. ცხოველები ეპოსში და სინამდვილეში

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები სინამდვილეში არსებულ ცხოველთა შესატყვის სახეებს არ ქმნიან. ამ გარემოებას პირველად ანიკინმა მიაქცია ყურადღება. ის წერს: „გამოცდილებით ხალხმა იცოდა, რომ მგელი მტაცებელი, მოხერხებული, ჭკვიანი, გაქნილი, ავი არსებაა“ (АНИКИН, 1959, გვ. 63). ხალხი თუ ასეთად თვლის

მგელს, ვნახოთ, რა აზრი აქვთ ამ საკითხზე ზოოფისიკოლოგებს: „მგელი გონებრივად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ცხოველია. მისი „საზრიანობა“ კარგად ვლინდება ამ ნადირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (გეგეჭკორი, 1982, გვ. 98). აქ იგულისხმება მათი უნარი, საჭიროების შემთხვევაში ზროვად მოქმედებისა. გარდა ამისა, მგელი ნადირობის ეშმაკურ ხერხებს ასწავლის თავის ლეკვებს (იქვე, გვ. 29). ცხოველთა ეპოსში კი არაფერი ჩანს მსგავსი – არც ნადირობის ხერხების ცოდნა, არც ზროვად ნადირობის უნარი, არც საზრიანობა. ეს კი არა, მტაცებლებს ზღაპარში არც ყნოსვა აქვთ, არც გამჭრიახი თვალი და არავითარი აღლოს უნარი.

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს აბსოლუტურად არ გააჩნიათ რეალური ცხოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები, არადა ადამიანურ თვისებებს უხვად ფლობენ. აქედან გამომდინარე არც ის მოსაზრება უნდა იყოს გამართლებული, რომ ამ პერსონაჟთა სახით ნამდვილ ცხოველებზეა საუბარი.

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟების ტიპები ვერც ანდაზაში გააზრებულ სახეებთან ნახულობენ საერთოს, თუმცა ზოგიერთი ამ ჟანრთა საერთო წარმომავლობასაც კი უშვებს. ანდაზა გამოხატავს ამა თუ იმ ცხოველზე საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს მაგალითად: მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა; მგელი ისე არ მოკვდება, რომ თხის დასამარხი გახდესო; დათვი რომ სამგლე გახდაო, იმისი საქმე წახდაო; დათვისაც უნდა გეშინოდეს და იმისი ტყავისაცაო და სხვა. მხოლოდ მელიის სახე ემთხვევა ყველგან მის მოხერხებულ და ეშმაკ ბუნებას. მაგალითად, მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო.

ქართულ ცხოველთა ეპოსში ძირითადად ის ცხოველები მოქმედებენ, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ფაუნისათვის. ეს პერსონაჟები, უმეტესად, საერთოა ევროპელი ხალხების ცხოველთა ეპოსისათვის.

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟის ტიპი გენეტიკურად არც მითოსური წარმოდგენებიდან, არც ეთნოგრაფიულ ყოფაში მისი როლიდან და არც ამა თუ იმ ცხოველის რეალური სახიდან იღებს სათავეს. ცხოველთა ეპოსი სპეციფიკურ დამოკიდებულებას იჩენს ამ მხრივ, რაც იმაზე მიგვიჩივებს, რომ როგორც ყოველი ზღაპარი, ცხოველთა ზღაპარიც ადამიანზე, მის სურვილებზე და მისწრაფებებზე, პრაქტიკული ყოფით გამოწვეულ აუცილებლობაზე

მოგვითხრობს, რამეთუ ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟები ადამიანები არიან, რომლებიც ცხოველებად მოიხსენიებიან უძველესი ტოტემური რწმენის შესაბამისად.

როცა საბოლოოდ გაქრა ხალხის მახსოვრობიდან ცხოველისა და ადამიანის ნათესაობის, მისი ცხოველისაგან წარმოშობის რწმენის კვალი, როცა წარმოდგენაც კი აღარ ჰქონდათ ადამიანებს, რომ ოდესღაც ისინი ცხოველთა სახელებით იწოდებოდნენ, ცხოველთა ეპოსმა თავისი პირვანდელი გაგება დაკარგა. შეიცვალა დამოკიდებულება ცხოველი პერსონაჟების მიმართ და მათ უკვე რეალურ ცხოველებად აღიქვამდნენ. აღარ უკავშირებდა რა ცხოველ პერსონაჟებს ხალხი თავიანთ რწმენებს, ამ პერსონაჟების შეცვლაც შესაძლებელი გახდა. ძველი ტოტემების ადგილი იმ ცხოველებმა დაიჭირეს, ან მხოლოდ ისინიღა შემორჩნენ, რომელთაც ამა თუ იმ ხალხის ყოფაში ჰქონდა გარკვეული როლი. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპზე, როცა ადამიანები უკვე მესაქონლეობას მისდევდნენ, მტაცებელი ცხოველები (მგელი, დათვი, მელია და სხვა) დიდ წინააღმდეგობებს უქმნიდნენ მათ. ახლა უკვე მათი დამარცხება იყო საჭირო. ეს კი არ იყო ადვილი. შესაძლოა, ზღაპარი ახლა მათთან დაპირისპირებისას ამოუდგა ადამიანს მხარში და იქნებ, სწორედ ამიტომ შემორჩნენ ეს მტაცებლები ცხოველთა ეპოსს. ძლიერი და მოხერხებული მეტოქის უსუსურ და უნიათოდ ჩვენება, მათი გამასხარავება, აბუჩად აგდება საკუთარი ძალების რწმენას მატებდა და ოპტიმისტურად განაწყობდა ადამიანს. მთქმელი ხომ ყოველთვის ძლიერ და ეშმაკ ცხოველებზე საკმაოდ სუსტებსა და მოუხერხებლებს (არა იშვიათად შინაურებს) ამარჯვებინებს. ცხოველთა ზღაპრები იქმნებოდა წინაკლასობრივ საზოგადოებაში, როცა ჯერ კიდევ ცხოველები ადამიანს მოშინაურებული არ ჰყავდა (Русское народное, 1955, გვ.336). და მართლაც, ამ პერიოდის ზღაპრებში მხოლოდ გარეულ ცხოველებს ვხვდებით. მესაქონლეობის განვითარების შემდეგ კი გამოჩნდნენ ზღაპარში შინაური ცხოველები და ფრინველები (ცხვარი, თხა, ღორი, მამალი, დედალი და სხვა). სულ ბოლოს კი ცოცხლთა ზღაპრებში ისეთმა საოჯახო ნივთებმაც დაიმკვიდრა ადგილი, როგორიც არის: ფილთაქვა, მახათი, ხელადა და სხვა.

## ცხოველთა ეპოსი და იგავი

ცხოველთა ეპოსის იგავთან მიმართება ყოველთვის ინტერესს იწვევდა ფოლკლორისტებში. რა საერთო და განსხვავებაა მათ შორის. ამ საკითხით ჯერ კიდევ ი. გრიმი იყო დაინტერესებული. ის თვლიდა, რომ იგავი ცხოველთა ზღაპრიდან მოდის (Левин, 1981, გვ. 25). საბჭოთა ფოლკლორისტები დღემდე ისტორიულ მიმართებაში იხილავდნენ ამ საკითხს. ასეთ მიდგომას ი. ლევინი საკმაოდ ეჭვის თვლით უყურებს და ამას ხსნის ტექსტოლოგიის ნაკლები ცოდნით (იქვე). ის ცხოველთა ზღაპარსა და იგავს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს და ორივე ტერმინს ხმარობს ერთი საერთო მნიშვნელობით. ამის თაობაზე ი. ლევინი წერს: „შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ცნება ცხოველთა ზღაპარი და იგავი კულტურულ-ისტორიული გარემოების ძალით – სინონიმებია“ (Левин, 1981, გვ. 15). მაგრამ აქვე თავსაც იზღუკებს – ყოველ შემთხვევაში აზიაშიო. დ.მ. მოლდავესკი წერს: „რუსულ ზღაპრულ მასალაში ცხოველთა ზღაპარი არასოდეს აღიქმება, როგორც ცხოველთა ნამდვილი ცხოვრება. მათ მიიღეს ფორმა იგავ-არაკისა“ (Молдавский, 1967, გვ. 24).

ბერძნული ლიტერატურის სპეციალისტი პერი სხვაგვარად უდგება ამ საკითხს. ის სრულიად ასხვავებს ცხოველთა ზღაპარსა და იგავს ერთმანეთისაგან და თვლის, რომ ზეპირი გზით გაერცვლებული ხალხური ნაწარმოები ცხოველთა ზღაპარია, ლიტერატურული გზით შექმნილი კი – იგავი.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მომხრენი თვლიან, რომ არქაულ ცხოველთა ზღაპარს არ ახასიათებდა მორალიზაცია და მან იგავური გაგება კლასობრივ საზოგადოებაში შეიძინა. ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ა. ვერნერი, ა. ჯებლოუ, აფრიკულ ცხოველთა ზღაპარშიც კი ცდილობდა მორალიზაციის, „კეთილი“ და „ბოროტი“ საწყისის დანახვას, ვერ ითვალისწინებდა რა მის არქაიკას და ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟებს მუდმივ ხასიათებს ანიჭებდა (Werner, 1933, გვ. 25-26; Jablow, 1962, გვ. 32). ცხოველთა ზღაპრისა და იგავის მიმართების საკითხზე სპეციალურად შეჩერდა ი. ლევინი, რომელმაც ამ მიზნით დიდძალი უცხოური ლიტერატურა მიმოიხილა. ჩვენს დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი ცოტა

ქვემოთ ვაჩვენებთ. აქ კი შეეჩერდებით კიდევ ერთ საინტერესო მოსაზრებაზე, რომელიც ცხოველთა ზღაპრის გენეზისს ეხება. ი. ლევინი, აიგივებს რა ცხოველთა ზღაპარს იგავთან, უყოყმანოდ იზიარებს იგავის წარმოშობასთან დაკავშირებულ საკმაოდ ორიგინალურ და საეჭვო მოსაზრებას. ამ ვარაუდის ავტორი – ტილე აცხადებს, რომ იგავი წარმოიშვა ლანძღვისაგან (რომელშიც გამასხარავეებულია თანამოსაუბრის ნაკლი). ტილესგან დამოუკიდებლად, იგავი და ცხოველთა ზღაპარი ლანძღვასთან დაუკავშირებიან: იგავის თეორეტიკოსს ოტს, თეოლოგ ტილიხს, ზოოფსიქოლოგ – ეტოლოგ მეისერს (Левин, 1981, გვ. 24). ტილიხის აზრით, ადამიანის შედარება ცხოველთან უკვე შეურაცხყოფელია. მეისერის აზრით კი, ადამიანის შედარება ცხოველთან თავისთავად სულაც არ არის შეურაცხყოფელი თუ ცხოველს არ მიეწერება რაიმე უარყოფითი თვისება. ის როგორც ზოოფსიქოლოგი თვლის, რომ პირიქით, ცხოველისთვის უფროა შეურაცხყოფელი ადამიანური დახასიათება. ლევინი წერს: თუ ლანძღვიდან იგავის და ცხოველთა ზღაპრის წარმოშობაზე მაინც გვეპარება ეჭვი, იმას კი ვეღარ ვუარყობთ, რომ იგავს საფუძვლად უდევს განსაზღვრული საყოფაცხოვრებო სიტყვიერი სიტუაცია ზოგადი მნიშვნელობისა: ჭკუის სასწავლი საუბარი, რომელიც ლანძღვისგან მხოლოდ ტემპერამენტით განსხვავდებაო (იქვე).

იგავის და ცხოველთა ეპოსის ლანძღვიდან მომდინარეობა დაუშვებლად მიგვაჩნია მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილ ავტორიტეტთა აზრისა. ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები არიან: ყოჩაღი, მოხერხებული, ჭკვიანი, საზრიანი და მათი საწინააღმდეგო თვისებების მქონე ცხოველები. ამ ნაწარმოების მიზანი არავისი გამასხარავება და დაცინვა არ არის. იმ უძველეს ეპოქაში, როცა ცხოველთა ეპოსი შეიქმნა, სხვისი გამასხარავება არ იქნებოდა ნაწარმოების დედააზრი. იგავში, მსგავსად ცხოველთა ეპოსისა, ცხოველი სალანძღავი სიტყვა არ არის. ეს დაშვება გაუგებარია ორივე ჟანრისათვის. ამ ვარაუდის გამზიარებელი აბსოლუტურად გამორიცხავს ტოტემური რწმენის კვალს ცხოველთა ეპოსში. იმ უძველეს პერიოდში, როცა ცხოველთა ეპოსი შეიქმნა ცხოველი სალანძღავი სიტყვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც ის ხშირ შემთხვევაში წინაპარს, გვარის პირველშემქმნელს ნიშნავდა, ე.ი. ყოვლად პატივცემული და დაფასებული იქნებოდა. და საერთოდ, მთელი ერთი ჟანრის სხვა ჟანრისაგან, მითუმეტეს ერთი სიტყვიდან

ან ერთი სალანძღავი წინადადებიდან წარმოშობა გაუგებრად გვეჩვენება.

რაც შეეხება ი. ლევინის მეორე დებულებას – ცხოველთა ზღაპრისა და იგავის აბსოლუტურ იგივეობას, ისიც არ შეიძლება გავიზიაროთ. ი. ლევინი არ განასხვავებს ცხოველთა ზღაპარს იგავისაგან. იგი არა მხოლოდ იგავსა და ცხოველთა ზღაპარს არ გამოყოფს ერთმანეთისაგან, არამედ მათთან აიგივებს ანდაზასაც. მათი განუყოფლობის დამტკიცებას ის ხედავს არა მხოლოდ ლიტერატურულ სიტუაციებსა და ფოლკლორში, არამედ სასაუბრო მეტყველებაშიც (Левин, 1981, გვ. 12).

აღნიშნული მოსაზრების თაობაზე დავძენთ, რომ ყველა ენაში გვაქვს სამივე მნიშვნელობის გადმოცემი სიტყვა და საერთოდ ამ ჟანრთა გაერთიანება სუბიექტური ხასიათისაა, ის სინამდვილეს არ შეესატყვისება. არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ სრულიად სხვადასხვა ეპოქაში, აზროვნების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი ჟანრის ნაწარმოებები. ამასთანავე, სრულიად სხვადასხვა სფეროს – ლიტერატურისა და ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშები.

ცხოველთა ზღაპარი და იგავი აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა შექმნილი. იგავი, როგორც ვიცით, დიდაქტიკური ნაწარმოებია და მასში მორალი, ეთიკაა წინა პლანზე წამოწეული. ცხოველთა ზღაპარში კი მთავარია არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება, მთავარია ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყდეს დადებითად. ჯერ კიდევ არცთუ შორეულ წარსულში კავკასიის მთაში დამოწმებული იყო მეზობელი ტომების საქონლის დატაცების ფაქტები. ამ მოვლენას ს. მაკალათია თემის ეკონომიური პირობებით ხსნიდა (მაკალათია, 1935, გვ. 45). როგორც ფ. ლეონტოვიჩი აღნიშნავს, ქურდობა და მტაცებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთიელთა ცხოვრებაში. კავკასიის მთის ხალხთა გადმოცემებში კი მტაცებლობა სხვა გვარის წარმომადგენელთა მიმართ სრულიად კანონზომიერ მოვლენად ითვლებოდა (Леонович, 1882, გვ. 19). ამ გარემოებიდან გამომდინარე მ. ბეჟიტაძე წერს: „სწორედ ამის გამო აღიქმებოდა მეზობელ ტომთა მძარცველი გმირად, ხოლო ძარცვა ხალხის გმირული სულის გამოსაბრძმედ საშუალებად“ (ბეჟიტაძე, 1982, გვ. 22). ცხოველი პერსონაჟებიც ხომ ყოველთვის საკვებისათვის – აუცილებელი საარსებო საშუალებისათვის უპირისპირდებიან ერთმანეთს, რისთვისაც ყველა ხერხი

და საშუალება დასაშვებია. იგავი კი სულ სხვას ქადაგებს. არ შეიძლება იგავი (დიდაქტიკური ნაწარმოები) ეუწოდოთ ზღაპარს, სადაც მთქმელის მორალური მხარდაჭერაა იმ პერსონაჟის მიმართ, რომელიც „ძმობილს“ მდუღარე წყლით შვილებს დაუთუთქავს, თვითონ მას კი ათას უბედურებას დაჰმართებს: შამფურით თვალებს დასთხრის, კლდიდან გადაჩეხავს და ბოლოს შეჭამს კიდევ, მერე კი „კუდგაღერებულ“ გაუყვება თავის გზას არხეინად. ან კიდევ, მელა მგელს დაჰპირდა, დაგაჭრელებო, შეუკრა ფეხები და გახურებული შანთით მოკლა. მერე ჭკვიანმა მელამ „მგლის ქონი ჭურში ჩაასხა, ძვლები ხორათ დადგა და შეშათ მთელი ზამთარი ეყო“. მსგავსი ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. ჩვენ ამ ზღაპრებში ვერ ვხედავთ კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებას, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი თვლის.

მადაგასკარული ზღაპრების კრებულის წინასიტყვაობაში ი.ს. როდმანი წერს: „ცხოველთა ზღაპრები თავიანთი ხასიათით საყოფაცხოვრებო ზღაპრებთან არის ახლო. თუ დავივიწყებთ, რომ ცხოველთა სახით ადამიანები მოქმედებენ, მათში არავითარი არაჩვეულებრივის ელემენტი აღარ დარჩება. ამ ზღაპრებში იშვიათად გვხვდება ჭკუის სწავლება, მათში არ არის არავითარი იგავისებური მინიშნება, ისინი არ შეიცავენ აფორისტულობას. სწორედ ამიტომ ეს არის საყოფაცხოვრებო ზღაპრები და არა იგავ-არაკი“ (Сказки мадагаскара, 1965, გვ. 11).

შეგონება ცხოველთა ეპოსში იშვიათად გვხვდება. ის ახალი დართული უნდა იყოს და შეიძლება ითქვას, ლიტერატურის გავლენით. არა და ეს შეგონება ნაწარმოების გაგებაზე ახდენს გავლენას. ცხოვრებაში მომხდარი დიდი ეპოქალური ცვლილებების შედეგად, ცხოვრებისადმი მკაცრი მიდგომა შეიცვალა და ადამიანები უკვე მეტ ჰუმანიზმს იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ. დაიკარგა ცხოველთა ეპოსის არქაული აზრიც. მოგვიანებით, არ ესმოდა რა ხალხს მისი ნამდვილი მნიშვნელობა, შეეცადა ამ ჟანრის „გამართლებას“, მისთვის ფუნქციის მინიჭებას.

ე.ი. ზღაპარზე დართული შეგონება თავისებური ცდაა ამ ჟანრის ახლებური ახსნისა.

უძველესმა ზღაპარმა მორალიზაცია და მითუმეტეს შეგონება არ იცის. ამის თაობაზე წერს აფრიკული ფოლკლორის მკვლევარი ე.ს. კოტლიარი: „ტრიქსტერის ციკლში, ჩვენ ვერ ვპოულობთ პერავითარ კვალს მორალიზაციისას – ვერც დასასრულის სახით და

ვერც ამ კატეგორიის ზღაპრის აგების ხასიათში. გმირი არ იბრძვის სამართლიანობისათვის, არ იცავს რაიმე მორალურ ნორმებს. პირიქით, მისი საქციელი სწორედაც რომ ყოველივე ამის დარღვევაა“ (Сказки, 1976, გვ. 22). რასაკვირველია, არც უძველეს დროში იყო ცხოველთა ზღაპარი ანტიეთიკური, მაგრამ, როგორც ვიცით, ყველა ეპოქას თავისი ზნეობრივი კანონები გააჩნდა. თანამედროვე გაგებით მიუღებელი უძველეს პერიოდში კანონზომიერიც კი იყო.

მშრომელი ხალხისათვის დამახასიათებელია თავისი უკვდავების შეგნება და ხალხური ზღაპარიც განსხვავებული ფორმით ეპოქათა შესაბამისად ამ აზრს გადმოსცემს. ცხოველთა ზღაპარიც სწორედ ამ იდეის მატარებელია. ე.ი. აქ მთავარი არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებაა, მის მისაღწევად ყველა საშუალების გამოყენებით. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი გარკვეული ტომის წარმომადგენელი ადამიანია. დ. შენგელაია წერს: „როგორც გამოდის, ტოტემთა ურთიერთობა ხალხთა ურთიერთობას გამოხატავდა, თორემ აბა რა წარმოსადგენი იქნებოდა ცხოველების ადამიანური ენით ლაპარაკი?“ (შენგელაია, 1964, გვ. 16) როგორც ცნობილია, იმ უძველეს ეპოქაში მთელი ტომები და ცალკეული ადამიანებიც თავიანთი ტოტემების სახელებით იწოდებოდნენ. ყოველი ტომის სახელწოდება ნიშნავს კაცს და ასევე ტოტემს (ნ. მარი). „პირველყოფილი ადამიანი თავის მსგავსში ხედავდა პირველ რიგში განსახიერებას განსაზღვრული კოლექტივისა, ტოტემისა, ურდოსი, თემის და ა.შ. სხვა ადამიანი აღიქმებოდა მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფის სახით, რომელსაც ის ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, განისაზღვრებოდა მასთან დამოკიდებულებაც, როგორც „უცხო“, „მტრული“ ჯგუფის ან „თავისი“, „ნათესაური“, „მეგობრული“ ჯგუფის ადამიანთან“ (Мегрелидзе, 1973, გვ. 207).

ტოტემური წარმოდგენებისათვის დამახასიათებელია შერწყმულობა ერთეულისა სიმრავლესთან (Фрейденберг, 1978, გვ. 24). ამ დროს მხოლობითი ემსახურება მრავლობითის გამოსახვას (იქვე). ე.ი. ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი მთელი თავისი ტომის სახელით მოქმედებს. შეკითხვაზე: „შენ ვინა ხარ?“ ტოტემური ჯგუფის წარმომადგენელი ხომ ასე პასუხობს: „მე მგელი ვარ“ (Соколова, 1972, გვ.20) და ა.შ. ე.ი. ცხოველთა ზღაპრის გმირი სხვა ზღაპრის მსგავსად ადამიანია.

არა მარტო აფრიკელ ხალხთა ფოლკლორში, განვითარების

ევროპულ დონეზე მყოფი ხალხების ზღაპრებშიც შემორჩა აქა-იქ ამ გაგების კვალი. მაგალითად, ქართულ ზღაპარში „ტურა და მგელი“ მგელს ცოლი ეუბნება: „ორი ღლეა მოდის ერთი პაწაი კაცი, გკითხულობს შენ“ (მსხალაძე, 1973, გვ. 21). რუსულ ზღაპარში კი როცა მიუახლოვდნენ მგლები იმ ადგილს, სადაც თავშეყრილები იყვნენ: დათვი, თხა, ცხვარი, კატა, თეთრმა მგელმა თქვა: „ფუ-ფუ, არა რუსული სუნი ღვას, რა ხალხია აქ?“ (Русские, 1957, გვ. 67).

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟში ამა თუ იმ ტომის წევრის გააზრება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, სხვა თვალთ შვევდლოთ მთლიანად ამ ნაწარმოებს. კერძოდ დავინახოთ, რომ აქ ტოტემის სახელით წოდებული ადამიანები თავიანთი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე მოგვითხრობენ. ისინი გვიამბობენ იმ დაპირისპირებებზე სხვა ტომებთან და მათ წარმომადგენლებთან, რომელთაც სერიოზული ადგილი ეჭირა უძველესი ადამიანის ცხოვრებაში.

როგორც ვიცით, ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები ლაპარაკობენ, უგებენ ერთმანეთს და მოქმედებენ გონივრულად. ასეთი დამოკიდებულება კი ა.ფ. ლოსევის აზრით, არის ტიპური ალეგორია (Лосев, 1970, გვ. 380). ი. ლეეინის მსგავსად ცხოველთა ზღაპრისა და იგავის ცნებებს აბსოლუტურად არავინ აერთიანებდა, მაგრამ ბევრნი ასეთი გაგებისგან შორსაც არ იდგნენ, რამეთუ ცხოველთა ზღაპარში ალეგორიას ხედავდნენ და ის ესმოდათ, როგორც პერსონაჟის ფსიქოლოგიური მოძრაობისა და სულიერი ცხოვრების გამომხატველი (Аникин, 1969, გვ. 44).

იყო პერიოდი, როდესაც ითვლებოდა, რომ სოციალური ალეგორიზმი არის მნიშვნელოვანი თვისება ხალხური ცხოველთა ზღაპრისა და ამ ალეგორიული აზრის გარეშე ზღაპარი არ იქნებოდა ხალხისთვის საჭირო (იქვე, გვ. 39). საკითხისადმი ასეთი მიდგომის გამო ვ. პროპი აღნიშნავს, რომ იმ წლებში ასეთი კონცეფციები გარკვეულად აუცილებელი იყო და პროგრესულად ითვლებოდა (Пропп, 1976, გვ. 84). ვ.ა. ბახტინა კი ამ პოზიციას უკიდურესად ცალმხრივად და არასწორად თვლის (Бахтина, 1971).

ცხოველთა ეპოსი ანიკინის ფსიქოლოგიური გრძნობის გამომხატველად მიაჩნდა იმდენად, რამდენადაც ის თვლიდა, რომ ეს ზღაპრები გადმოგვცემს ხასიათებსა და ტიპებს ადამიანებისას. მაგალითად, ისეთებს, როგორიც არის მტაცებლური და ეგოისტური ხასიათი, სიხარბე, გაუმადლობა, ეშმაკობა, მლიქვნელობა,

თავნებობა, თვალთმაქცობა, დაუნდობლობა, ძალადობა, გაქნილობა. სოციალურ ალეგორიას კი იმდენად წარმოადგენდა ეს ნაწარმოები, რამდენადაც ეს უარყოფითი თვისებები გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს მიეწერებოდა. ე.ი. თუ ადრე ითვლებოდა, რომ ცხოველთა ზღაპარი ცხოველთა ცხოვრებაზე მოგვითხრობდა, მოგვიანებით თვლიდნენ, რომ მათ მიიღეს ალეგორიული ნაწარმოების – იგავის გაგება, სადაც, როგორც უკვე ითქვა, უარყოფითი თვისებების მქონე გაბატონებული კლასის წარმომადგენლები იყვნენ გაკიცხულნი.

ხედავენ რა მასში ადამიანური ხასიათისა და ურთიერთობების ტიპიზირებულ თვისებებს, ზოგიერთი მეცნიერი ცხოველთა ზღაპრებს სატირულ ნაწარმოებად თვლის (ცანავა, 1960; Молдавский, 1967). მათ მიაჩნიათ, რომ ცხოველთა ზღაპრები ადამიანის გასაკიცხ თვისებებს დასცინის. ჩვენ გაზვიადებულად გვეჩვენება მოსაზრება, თითქოს, ცხოველთა ეპოსში შეიძლება მოცემული იყოს ადამიანის ამა თუ იმ ტიპის ფსიქოლოგიური და სულიერი თავისებურების ასახვა. ასეთი გააზრება უძველეს ლიტერატურულ ნაწარმოებშიც გამოორიცხულია. საერთოდ ადრეული შუა საუკუნეების მწერლობაც არ ხატავს ხასიათს, ინდივიდს: „ასეთი ვითარებაა არა მხოლოდ ლიტერატურაში. ასეთია ცნობიერების საერთო პროცესი. ამიტომ არის, რომ შუა საუკუნეთა მხატვრობაში გვაქვს ხატი და არა პორტრეტი“ (გიგინეიშვილი, 1978, გვ.224).

„ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტს და სახეებს არა იშვიათად აქვს სოციალური სატირის ასპექტი. მაგრამ ზაზგასასმელია, რომ მისი ძირითადი აზრობრივი მხარე მორალურია“ (Кравцов, 1977, გვ. 108), აღნიშნავენ ნ. კრავცოვი და ს. ლაზუტინი. ამ მორალურ პლანში კი ისინი ორ ძირითად იდეას გამოყოფენ. ესენია: ამხანაგობისა და გამარჯვების ქება, რომელსაც მსმენელისთვის მორალური ემაყოფილება მოაქვს (იქვე).

ვ. ბახტინა სპეციალურ წერილში „Русская сказка о животных и аллегория“ (Бахтина, 1971) და წიგნში „Эстетическая функция сказочной фантастики“ პრინციპულად გამოორიცხავს რუსული ცხოველთა ზღაპრების ალეგორიულ გააზრებას. ამ მოსაზრებას ის სხვა ხალხთა ცხოველთა ეპოსზე ვერ ავრცელებს და აღნიშნავს, რომ სხვა ხალხთა ცხოველთა ზღაპრები ამ მხრივ საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ბახტინამ სპეციალურად შეისწავლა ალეგორიის ბუნება – ჰეგელის,

ლოსევის, ი. მანის, გ. გაჩევის, კ. გორანოვის და სხვათა თეორიები და თვლის, რომ ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი სისხლსაცხე სახეა და არა ალეგორიული ცივი და ერთხაზოვანი (Бахтина, 1972, გვ.16-20). აღნიშნული საკითხის თაობაზე მეცნიერი წერს: „ალეგორია არ არის არც იმ ზღაპრებში, რომლებიც შეიცავენ ადამიანთა სოციალური ურთიერთობის მინიშნებას – სხვანაირად ეს არ იქნებოდა ზღაპარი! ცხოველთა ზღაპარში დაინახო მხოლოდ სოციალური ალეგორიზმი, ნიშნავს, შეუწყნარებლად შეავიწროვო და დაამახინჯო მისი მნიშვნელობა. ზღაპარი ჭკუას გვასწავლის იმდენად, რამდენადაც ჭკუის სასწავლია ყოველი მხატვრული ნაწარმოები“ (Бахтина, 1971, გვ. 91). ცხოველთა ზღაპრის ალეგორიასთან დაკავშირების მისწრაფებას ვ.ა. ბახტინა ხსნის ევროპაში ზღაპრული ეპოსის განვითარების გავლენით, სადაც ის ადრე აღმოჩნდა ლიტერატურასთან ახლო კონტაქტში (იქვე), რაზეც ადრე ვ. ბობროვი მიუთითებდა (Бобров, 1909, გვ. 35). როგორც ა.ი. ნიკიფოროვი თვლის, ჯადოსნურმა ზღაპარმა ცხოველთა ზღაპარზე მეტად ასახა სოციალური მოტივი. ცხოველთა ზღაპარი ხომ 72% ბავშვთა აუდიტორიაში გვხვდება (Никифоров, 1934, გვ.378).

ვ. ბახტინას საინტერესო მოსაზრება საბჭოთა ფოლკლორისტიკაში გაზიარებულ იქნა და 1983 წ. გამოსულ რუსული ხალხური პოეტური შემოქმედების სახელმძღვანელოში ვ. ანიკინი ცხოველთა ზღაპრის შესახებ გამოთქმულ ადრინდელ პოზიციას არბილებს და აღნიშნავს: „ზღაპარში, როგორც წესი, არ არის განყენებული იგავური ალეგორიზმი. ნართაულობა ზღაპარში სისხლსაცხეა, დაცლილი აბსტრაქციისაგან“ (Аникин, 1983, გვ. 141). ცხოველთა ზღაპარს, როგორც მეცნიერი თვლის, წინ უსწრებდა რწმენასთან დაკავშირებული მოთხრობები და „ისტორია „ცხოველთა“ ზღაპრისა დაიწყო იმ მომენტიდან, როცა ადრეულმა მოთხრობებმა ცხოველებზე ძველ წარმოდგენებთან დაკარგეს კავშირი. ცხოველთა სამყარო მონათხრობში აღიქმებოდა, როგორც ნართაული გამოსახვა ადამიანურისა“ (იქვე, გვ. 137).

ჩვენ ვიზიარებთ ვ.ა.ბახტინას პოზიციას აღნიშნულ საკითხზე და ვთვლით, რომ ქართული ცხოველთა ზღაპარიც იძლევა ანალოგიური დასკვნის საფუძველს. უფრო მეტიც, არც ერთი ხალხის ცხოველთა ზღაპარში არა გვაქვს საქმე ალეგორიასთან.

მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ ცხოველთა ზღაპრები დღესდღეობით მხოლოდ საბავშვო რეპერტუარსა და შემორჩა. პატა-

რები კი დიდის გატაცებით ისმენენ ამ ზღაპრებს. ვერავინ დაუშვებს, რომ ბავშვი ამ ზღაპრის პერსონაჟებში სოციალური, ან თუნდაც ფსიქოლოგიური ალეგორიის გამოძახილს ხედავდეს, მაგრამ ამ ცხოველთა წარმატება – წარუმატებლობას ისე განიცდის, როგორც საკუთარს. ბავშვი ხომ, მსგავსად პირველყოფილი ადამიანისა, ალეგორიულად არ აზროვნებს. თვისობრივი განსხვავების მიუხედავად „პირველყოფილ აზროვნებას“ ხომ აქვს რიგი დამაჯერებელი პარალელებისა ბავშვთა აზროვნებასთან (Мелетинский, 1976, გვ.164).

დ. წერედიანი ჯადოსნური ზღაპრის ჟანრული თავისებურებების განხილვისას წერს: „როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი სურვილი, ზღაპარს სოციალურ ურთიერთობათა ასახვის ფუნქცია არ აკისრია... ჩვენში მომხდარ ძვრებს ზღაპარი თავისი ჟანრული სპეციფიკის გამო ვერ ასახავს (წერედიანი, 1981, გვ. 46), ან კიდევ: „ზღაპარი არ ისახავს მიზნად ჩვენი სინამდვილე სხვა სინამდვილით შეცვალოს, მისთვის უცხოა ყოველგვარი მორალიზება, არ შეიცავს სინამდვილის რაიმე კრიტიკას, არ მოითხოვს ცხოვრების გარდაქმნას. ზღაპრის სამყარო თავისუფალია ყოველგვარი პრობლემებისაგან, სულერთია, როგორია ეს პრობლემა ფილოსოფიური, ზნეობრივი თუ სოციალური ხასიათისა“ (იქვე, გვ.48). ჩვენი აზრით, ჯადოსნურ ზღაპარზე გამოთქმული ეს მოსაზრება ცოველთა ზღაპრებისთვისაც ნიშანდობლივია.

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებში ჩვენ ვარჩევთ გამარჯვებულ და დამარცხებულ ცხოველებს. აქ ურთიერთდაპირისპირებისას გამარჯვებული ყოველთვის ფიზიკურად სუსტი გამოდის მასზე გაცილებით ძლიერზე. ამ გარემოებამ გამოიწვია მოსაზრება, თითქოს ცხოველთა ეპოსი სოციალურ ალეგორიას წარმოადგენს, სადაც ჩანს ოპტიმისტური დამოკიდებულება მომავლისადმი – დაჩაგრული კლასის წარმომადგენელთა გამარჯვება ძლიერ გაბატონებულ კლასზე. რასაკვირველია, ამ აზრის ნაწარმოებების გაჩენას მკვლევარნი მოგვიანო ეტაპს უკავშირებენ, იმ ეპოქას, როცა კლასები გაჩნდა. გარდა ამისა, „ადრე, როცა ადამიანი თავის თავს ცხოველისაგან არ გამოყოფდა, და განსაკუთრებით ცხოველთა ტოტემიზმის ფორმირების ეპოქაში შეუძლებელია, დაისვას საკითხი სატირისა და იუმორის შესახებ“ (ცანავა, 1960, გვ. 4).

ძლიერთან დაპირისპირებული სუსტის გამარჯვებას სულ სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ცხოველთა ეპოსში. „სუსტის გამარ-

ჯვებას ძლიერზე აქვს, როგორც ჩანს, ძალიან ძველი ფესვები და ძველი წარმოშობისაა" (Προην, 1976, გვ. 101). ჩვენი აზრით, ეს მეტოქეობა იმიტომ გახდა განსახილველი ზღაპრის ძირითადი მოტივი, რომ მოწინააღმდეგის და მისი ტოტემური არსების სიძლიერეს, რომელთანაც უხდებოდა დაპირისპირება ამა თუ იმ ზალხს, მთელი სიგრძე-სიგანით ხედავდნენ. ბუნებრივია, ის რაც შიშს იწვევდა, გარკვეული მხრივ ძლიერიც იყო. სუსტი მეტოქე სათვალავში არ ითვლებოდა. გარდა ამისა, ძლიერთან გამარჯვება უფრო სასურველიც იყო და საპატიოც. ცხოველთა ეპოსი ძლიერი რეალური მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ადამიანური ძალების მობილიზაციის განწყობით არის შექმნილი. ამ მთელი ენერგიის მობილიზაციამ გამოავლინა და გაავარჯიშა ადამიანისათვის ყველაზე დიდი ძალა – გონება. სუსტი იმარჯვებს გონების ძალით. აქ გონების ზეიმია.

ჩამორჩენილ ტომთა ზღაპრებში ყოველთვის სუსტი და ძლიერი არ არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულნი. მეტოქის სიძლიერეზე ხაზგასმა მოგვიანო უნდა იყოს. იმიტომ არის, რომ არ არსებობს მარად გამარჯვებული პერსონაჟი. ძლიერზე ძლიერი არ დაილევა. ცხოველთა ზღაპარში ტოტემური წინაპრის სახელით მოპოვებული გამარჯვება ცხოვრებაში მომავალი წარმატების საწინდარი იყო. მთავარი სწორედ ეს არის ცხოველთა ეპოსში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხოველთა ეპოსი და იგავი სულ სხვადასხვა აზრს გადმოსცემს და შესაბამისად, სხვადასხვა მიზნებსაც ემსახურება. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი – პირველი ხომ უძველეს ეპოქაშია შექმნილი კოლექტივის მიერ, მეორე კი-გაცილებით უფრო გვიან ცალკეულ ავტორთა შემოქმედებით.

## თ ა ვ ი V I I I

### ცხოველთა ეპოსის მხატვრული ანალიზი

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი ორმაგი ბუნებისაა, მას სახელი და სახე ცხოველისა აქვს, თუმცა ბევრ რამეში ჩანს მისი ადამიანური ბუნება. გარდა მეტყველებისა და აზროვნებისა, ის ჩვეულებრივ კაცთა ცხოვრებით ცხოვრობს. მაგალითად, დათვი, მელია და ღორი „თესვის დრო რომ დადგა, წევდნენ ყანაში და შეაბეს

ხარები“ (მსხალაძე, 1973, გვ. 13); მელიამ და დათემა „ნახეს, ქვაბში ერბო არ არის“ (იქვე, გვ. 19); მგლებმა „ნალია ქვეშ დაანთეს ცეცხლი“ (იქვე, გვ. 9); მელია არიგებს მგელს: „ამისათვის საჭიროა ერთი ქვაბი, ერთი ბაწარი და ერთი წისქვილის კარიო“ (იქვე, გვ. 25); კოლომ და ფოთოლმა „მოხარშეს ფაფა. გასაციებლად კართან დადგეს. ფაფის მოლოდინში ფოთოლი კარის ზღურბლზე ჩამოჯდა“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 6); „იქვე მიგდებული წისქვილი ნახეს, მელიამ ამხანაგები იქ შეიყვანა, შიგნიდან კარი მაგრად ჩაკეტა, მერე ცეცხლი დაანთო და ზედ წყლით საესე ქვაბი შემოდგა. წყალი რომ კარგად გაცხელდა, მელიამ დანა ამოიღო და ლესვა დაუწყო. ლესავს და თან ღიღინებს...“ (იქვე, გვ. 9); დათემა უთხრა ბელებს: „- შეილებო, თქვენ კალო გაღეწეთ, მე კი წავალ, მაყვალსა და ჟოლოს დაეკრეფო“. დათეი ტყეში წაძნძულდა, ბელებმა კი „ხარები მოიყვანეს, უღელი დაადგეს, საპირეები ამოაკრეს, კევრში შეაბეს და კალოს გაღეწვას შეუდგნენ“ (იქვე, გვ. 17); მელია მეზობლებს შეილებს უნათლავს (ღლონტი, 1974, გვ. 336, 374; მსხალაძე, 1973, გვ. 18; ფ. არქ., 367; 1144; 5377); ის მარხულობს კიდეც (მსხალაძე, 1973, გვ. 14); „ტურაც ხომ ამას უცდიდა. წამოხტა, მიეკიდა აი მარილი და ღიღინით გაუყვა გზას“ (იქვე).

ჩვეულებრივი ადამიანური განწყობა ეუფლებათ ცხოველთა ეპოსის პერსონაჟებს: კოლოს „მოსწყინდა მარტო ყოფნა“; მელიამ უთხრა სკვინჩას: „-...ნუ მაბრაზებ“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 6); „ერთხელ თურმე წაჩხუბებულან ტურა და მგელი... ტურა გაბრაზებულა და სამაგიეროს გადახდა მოუნდომებია“ (მსხალაძე, 1973, გვ. 21); „დეიწყო ტირილი ვირმა, ვირი შეიცოდეს“ (იქვე, გვ. 9); „ერთ საღამოს მელია დაფიქრებული იჯდა“ (ღლონტი, 1974, გვ. 337).

ცხოველები ერთმანეთში საკმაოდ ზრდილობიანად საუბრობენ:

„-მგელო, მგელო ბატონო!

-მობრძანდი, ბატონო – გამოსძახა მგლის ცოლმა.

-მგელი შინ ბრძანდება?

-არა, ბატონო“ (მსხალაძე, 1973, გვ. 22).

საკმაოდ იოლად ამყარებენ ცხოველები ადამიანებთან კონტაქტს. მაგალითად, მელია პატარძალს ართმევს ბეჭდებს; დათეს ექიმად მეცხვარეს მიუყვანს და სხვა.

ცხოველთა ეპოსის ამ თავისებურებაზე აღნიშნავს ფ. ზანდუ-კელი: აქ „არა უშუალოდ ცხოველთა ქცევები და განცდებია წარმოდგენილი, არამედ ადამიანთა. ეს გარემოება ქმნის ხალხური

პროზის სტილურ თავისებურებას და ხაზგასმით მიგვანიშნებს ზღაპრის ემოციურ თუ ფუნქციონალურ სპეციფიკაზე“ (ზანდუკელი, 1980, გვ. 39).

ქართულ ცხოველთა ეპოსში ყოველ ცხოველს მისთვის განსაკუთრებულ და გამორჩეულ სიუჟეტებში ვხვდებით. ეს ცხოველები მსგავს სახეებს არ ქმნიან. მაგალითად, დათვი და მგელი ორივე მარცხდება მელიასთან დაპირისპირებისას, მაგრამ მათ დასამარცხებლად ყოველთვის სხვადასხვა საშუალება გამოყენებული, რომელთა დამთხვევა ან ერთმანეთში აღრევა არ ხდება.

როგორც ცნობილია, აქ ცხოველები ადამიანური წესით ცხოვრობენ, ერთმანეთთან ადამიანურ ურთიერთობებს ამყარებენ. ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ესაუბებიან, ძმობილდებიან, ატყუებენ; ჰყავთ ცოლი, შვილი, ბიძა, ნათლია. მაგალითად, მგელი და მელია ერთმანეთს შეხვდნენ და მიესალმნენ:

„-გამარჯობა, ნათლულო.

-გაგიმარჯოს, ჩემო ნათლიაო“.

მართალია, ამ პერსონაჟებს აქვთ ცხოველებისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც, მაგალითად, მელიას კუდი, ფრინველებს ფრენის უნარი და სხვა, მაგრამ არ გააჩნიათ ცხოველური ინსტიქტები. არსად ჩანს, რომ მტაცებელმა თავის სამსხვერპლოს კვალს ყნოსვით მიაგნო, ან მიეპარა, გამოიჩინა სიფხიზლე ან სიფრთხილე. პირიქით, ის შემთხვევით, მოულოდნელად წაადგება ხოლმე თავის საკბილოს. ვერც ეს უკანასკნელი გრძნობს წინასწარ მოახლოებულ საშიშროებას. გაჭირვებაში ჩავარდნილი ცხოველი ინსტიქტურად კი არ გარბის, პირიქით, ცდილობს მობილიზება გაუკეთოს თავის თავს და დაამარცხოს ძლიერი მეტოქე.

ცხოველ პერსონაჟთა ამ ორსახოვნებას არაჩვეულებრივის სფეროში გადაეყვარათ. ამ საკითხზე ე.ი.პროპი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ცხოველთა ზღაპარი არაჩვეულებრივის ელემენტს შეიცავს და ზოგჯერ ძალიან დიდი დოზითაც (Пропи, 1969, გვ. 11), მისი უბრალო, სასაუბრო ენით თხრობა კი დამაჯერებლობას სძენს ზღაპარს. ყოველივე ეს კი ამაღლებს ნაწარმოების ესთეტიკურ ბუნებას.

უძველესმა ხალხმა კულტურულ გმირად თუ ტრიქსტერად, აგრეთვე, ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟად თვითნებურად არ აირჩია ორსახოვანი პერსონაჟი. ეს სახე პირველყოფილი აზროვნების სპეციფიკით არის განპირობებული და გარკვეულ კანონზომიერებას

ემორჩილება. ყოველივე ეს იმ მითოსური აზროვნების გამოძახილია, რომლის ძალითაც ადამიანი ამა თუ იმ ტომის წარმომადგენლებს და მათ ტოტემურ ცხოველებს ერთ სიბრტყეზე განიხილავდა. მათ ერთიმეორის შესაძლებლობებს მიაწერდა და საბოლოო ჯამში თითოეულს (ამ ტოტემურ ცხოველს, თუ ამ ტოტემური წარმოშობის ადამიანს) გაერთიანებული, შერეული შესაძლებლობებით წარმოიდგენდა. მართალია, ცხოველთა ზღაპრის შექმნა აზროვნების განვითარების იმ ეტაპს ეკუთვნის, როცა ადამიანს უკვე აქვს გავლებული საზღვარი თავის თავსა და დანარჩენ სამყაროს შორის, როცა კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ის ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანია, მაგრამ მშვენივრად იყენებს ასეთი გაგებით შექმნილ სახეს თავისი ნაწარმოების პერსონაჟად. ასე წარმოიშვა ზღაპრის გმირი, რომელსაც სახელი და სახე ცხოველისა აქვს, თვისებანი და შესაძლებლობანი კი უმეტესად ადამიანის. ფოლკლორში ზომ „სინამდვილე გადმოიცემა არა პირდაპირ, არამედ ცნობილი აზროვნების პრიზმის გავლით, და ეს აზროვნება იმდენად განსხვავდება ჩვენისაგან, რომ ძალიან ძნელი ხდება ფოლკლორის ბევრი მოვლენა რაიმეს შეუფარდო“ (Пронин, 1976, გვ. 20); „ფოლკლორში ასე იქცევიან და არა სხვაგვარად, არა იმიტომ, რომ ასე იყო სინამდვილეში, არამედ იმიტომ, რომ ეს ასე ესმოდათ პირველყოფილი წარმოდგენის საფუძველზე“ (იქვე, გვ. 27).

ცხოველთა ეპოსში, მიუხედავად მისი ლაკონიურობისა და სისადავისა, აქა-იქ მაინც გვხვდება პერსონაჟის დასახასიათებლად მთელი პასაჟებიც კი: მელია თავის თავზე ამბობს: „მელას რისთვის მეძახიან, თუ დათუნა ვერ შევაცდინე! შენისთანა ბევრი გამიცურებიაო.“ (ძიძიგური, 1959, გვ. 274); ძაღლების ხელში ჩაპარდნილ მელიას ისევ საქათმეზე რჩება თვალი:

„-თუ მჭამთ, შემჭამეთ, მარა ერთი სათხოვარი კი მაქვს: სანამ შემჭამთ, თავი საქათმისკენ მაქნევითო!“ (მსხალაძე, 1973, გვ. 10); მელია საკმაოდ ენამოქარგული და სიტყვაუხვია, როცა თავის ტყუილს დამაჯერებლობა სურს შეჰმატოს: „-თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიქეც გიჟივით, ექიმებს დავეძებდი, ყველას ვთხოვდი შეელას და რჩევას, რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულ მეფესა-მეთქი“ (ჩიქოვანი, 1938, გვ. 20; ჩიქოვანი, 1963, გვ. 21).

ზღაპრის და მითუმეტეს ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟების დახასიათებისას მთავარია ამ პერსონაჟების მოქმედებაში ჩვენება.

მისი საქციელი მოგვითხრობს ყველაზე უკეთ მის ავ-კარგზე, მის თვისებებზე. მაგალითად, როგორც ვიცით, ტრიქსტერიის ხერხი-ანობას საზღვარი არა აქვს. ის გაჭირვებაში ჩავარდნილიც კი სხვებს აშინებს: „-კი ხუთივე დევჭიროთ, ხუთივეო“ (მსხალაძე, 1973, გვ.9) და მიზანსაც აღწევს – მგლებს აშინებს. ამ უნარით უძველესი დროიდან არის დაჯილდოებული ადამიანი. როგორც ე. მელეტინსკი ამბობს: „ფიზიკური ძალა, მოხერხება, მაგია, ეშმაკობა, ძალიან არქაული მოვლენა“ (Мелетинский, 1976, გვ.274).

მოხერხებულობის, საზრიანობის, ყოველგვარი ეშმაკობის, იუმორის საწყისი ცხოველთა ეპოსში ტრიქსტერია (ოინბაზი, თავ-ხედი, მატყუარა, შარიანი, სასტიკი). ამ პერსონაჟს, რომლის როლშიც ქართულ ზღაპარში მელია გამოდის, უპირისპირდებიან სულელები, ბრიყვები, გულუბრყვილოები (მგელი და დათვი). ზღაპარში პერსონაჟთა ეს თვისებები უკიდურესობებით გამოირჩევა. მაგალითად, ტრიქსტერი ძალიან მოხერხებულია, ძალიან მატყუარა და ა.შ. ასევეა საპირისპირო შემთხვევაშიც: ისინი უკიდურესად გონებაშეზღუდულნი და უნიათონი არიან.

გარდა იმისა, რომ მელია წინასწარ გამიზნულად თავის სასარგებლოდ აწყობს საქმეს, შემთხვევით შექმნილი გაუგებარი სიტუაციებიც მას ეხმარება: ფოთლებში დამალული ღორი კატას თავი ეგონა და დაახტა. შეშინებული ღორი კლდეს შეასკდა. თავის მხრივ კატაც შეშინდა და იმ ხეს მიახტა, რომელზეც დათვი იყო. ამ უკანასკნელმა იფიქრა, ეს მეც შემჭამსო, გადმოხტა და დაიმტვრა. „ყანა დარჩა მელას“ (მსხალაძე, 1973, გვ.12). მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევაც, სადაც მელია წინასწარ არის განწირული და მან საკუთარ სოროშიც რომ შეასწროს მდევარს, მაინც დამარცხდება. მაგალითად, ძლივს გადარჩენილმა მელიამ მოინდომა საკუთარი სხეულის ნაწილების გასამართლება – ენახოთ, როცა მიჭირდა, ვინ რას მშველოდითო? ყველაფერში კუდი დაადანაშაულა, გამოუყო სოროდან ძაღლებს დასასჯელად და თავიც დაკარგა.

ცხოველთა ეპოსის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ამ ნაწარმოების ერთი თავისებურება. აქ ვგულისხმობთ, არა მხოლოდ პერსონაჟთა სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას, არამედ იმ დაუნდობელ, ბარბაროსულ დამოკიდებულებასაც, რომელსაც გამარჯვებული იჩენს დამარცხებულის მიმართ. პერსონაჟთა შორის ასეთი დაუნდობლობის მიზეზი ამ ჟანრის წარმოშობის თავისებურებიდან უნდა მოდიოდეს. მოვიტანთ რამდენიმე ზღაპრის ფინალის

ნიმუშს: დასაჭრელეზებად „ტურამ მგელი ბაწრით წისკვილის კარზე დააკრა, გაადულა წყალი და ჯერ, - კარქათ თუ მყავს დაკრული - პაწ-პაწი დაასხა. მგელს წყალი ეცხელა და იყვირა: -ვაი, დევიწვიო!

ტურამ მაშინ ბაწარი უფრო მუჭირა და უთხრა: -რას ამბოფ, ძმობილო, აჭრელეზა აბა ასე ადვილიაო?!

წყალი ისევ დაასხა, მგელმა ისევ იყვირა, მაგრამ მის ყვირილს ვიღან უყურებდა. ტურამ ერთხანს ასე აწამა მგელი, ბოლოს კი ერთი ქვაბი ადუღებული წყალი ერთათ გადაასხა თავზე და ამოხრუკა“ (მსხალაძე, 1973, გვ. 25).

არც მელიას ინდობს მისი დამმარცხებელი. მაგალითად, მელიამ „ჯავრისაგან ქვას ახალა თავი. სკვინჩამ ეს რო დაინახა, ჩამოფრინდა მსხლიდან, მელიის ტვინით ერთი კარგად გამოძღა და მშვიდობით გაუყვა თავის გზას“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 10).

ზღაპრის ფინალის დრამატიზმით აღსავსე ეს სცენები საკმაოდ მშვიდად, ირონიულადაც კი არის გადმოცემული, რადგანაც ერთის დამარცხება და მეორის გამარჯვება კანონზომიერი მოვლენები ჩანს მთქმელისთვის. ნაწარმოების საერთო განწყობით კი, რასაკვირველია, იგრძნობა, რომ ცხოველთა ზაპრის კოლექტიური ავტორი გამარჯვებულის მხარეზეა.

ცხოველ პერსონაჟთა ურთიერთ ასეთი დამოკიდებულება დიდად განსაზღვრავს საერთოდ ნაწარმოების სტილს - დაუნდობლობა, დამცირება და სხვა ყველაფერი აქედან მოდის.

ამიტომაც არის მეტოქის წამების და მოკვლის სცენა ცხოველთა ზღაპარში თავიდან ბოლომდე მთელი სიზუსტით აღწერილი. ზღაპრის ლაკონიურობის მიუხედავად ამ მომენტის ყველა ნიუანსი დეტალურად არის გადმოცემული. მაგალითად, „ამ დროისათვის დათვი სახლში დაბრუნდა. ნახა, რომ იმისი შვილები მოხარშული ყრია ქვაბში, ზორცი ცალკე წასულა და ძვალი ცალკე“, „შამფურს სულ შიშინი გაჰქონდა სისხლში“ (ლონტი, 1974, გვ. 391); ან კიდევ „დედა-შვილმა მაშინვე მოარბენინა ანთებული კვარი, ჩააგდო ორმოში და ზედ ხმელი შეშა დააყარა. დათვმა საშინელი ღრიალი მორთო, მერმე ხმამ თანდათან იკლო და ბოლოს სულაც მიწყდა“ (იქვე, გვ. 374).

ზღაპრის ასეთი დასასრულის შესახებ ვ. ბახტინა წერს: „როგორიც არ უნდა იყოს მოვლენის შედეგი, ზღაპარი მასზე მოგვითხრობს მსუბუქად და მხიარულად. ეს არ არის მხიარულება უგულო

ადამიანისა სხვისი უბედურების გამო“ (Бахтина, 1971, გვ.83).

როგორც ვიცით, ძმობილების სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირების მიზეზზე მინიშნება ცხოველთა ეპოსს არ ახასიათებს. რამდენიმე ქართულ ზღაპარში კი გაჩნდა ამის ახსნის ცდა, რაც საკმაოდ გვიანდელი მოვლენაა. მაგალითად, ზღაპარში „მარტოჭამია დათვი და მელია“ (ჩიქოვანი, 1938, გვ.13-14) დათვმა ცხვარი მელიის უჩუმრად შეჭამა. ამაზე გამწარებულმა მელიამ კი დათვი სიცოცხლეს გამოასალმა. ცხოველთა მტრობის მიზეზი ჩანს, აგრეთვე, ზღაპარში „ტურა და მგელი“ (მსხალაძე, 1973, გვ.21): ერთხელ ტურა და მგელი წაიჩხუბნენ და მგელმა გაიმარჯვა, შემდეგ კი ამაზე გამწარებულმა ტურამ გადაუხადა მგელს სამაგიერო.

ეს ზღაპრები არ შექმნილა ბავშვებისათვის და შინაარსიც ამიტომ არა აქვს საბავშვო, მაგრამ ცხოველთა სამყარო თავისთავად იზიდავს ბავშვებს. მათ აინტერესებთ ცხოველების შესახებ მოთხრობილი ამბებიც. ყველაზე მეტად კი ამ ზღაპრების მოსმენა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სიამოვნებთ. სწორედ ამ ხნის ბავშვი უსმენს ყოველთვის გაფაციცებული ამბებს ამ ორსახოვანი, ორბუნებოვანი ცხოველების შესახებ. ის არასოდეს არ გაიკვირებს, არ იუცხოებს ცხოველების მეტყველებას, მათი ცხოვრების წესს. ამ ასაკის ბავშვისთვის, თითქოს, ცხოველთა შორის დამყარებულ ადამიანურ ურთიერთობებზე თვალის მიდევნება უფრო მიმზიდველია, ვიდრე თვით ადამიანთა ყოფა. მითუმეტეს, რომ ცხოველთა ზღაპრები იუმორს არ არის მოკლებული.

მართლაც, ცხოველთა ზღაპრებში დიდი ადგილი უჭირავს იუმორს. „რბილი იუმორი ამსუბუქებს კონფლიქტის სიმძაფრეს“-წერს ნ.მ.ვედერნიკოვა (Ведерникова, 1975, გვ.82) „ფანტასტიკური, არაჩვეულებრივი ცხოველთა ზღაპრისა მჭიდროდ ერწყმის კომიკურს. ყოველი ფანტასტიკური სიტუაცია ხდება პერსონაჟის კომიკური დახასიათების საშუალება“ (Бахтина, 1972, გვ.46). მართლაც, საკმაოდ იწვევს ღიმილს ცხოველების ყოფითი მომენტების მთელი სიზუსტით აღწერა. მაგალითად, ღორი ყანას ხნავს, თხა მკის, დათვის ბელები კალოს ლეწავენ, კრავი – თესავს, ფარცხავს, მარგლავს, ძნას კრავს, მარცვალს ანიავებს და სხვა (ცინდელიანი, 1975, გვ.14-18; მსხალაძე, 1973, გვ.11-13; ფარქ. 21113).

კეთილ ღიმილს იწვევს, ერთი შეხედვით, უმწეო ცხოველთა ყოვლისშემძლეობაც. მაგალითად, ძმობილებმა გაჭირვებაში არ დატოვეს ვირი, „მამალმა თავში ნისკარტი ჩაასო, თხამ ქა ამოღვა,

მელიამ კულზე დეიკიდა და ვირი ნალიაზე ეიყვანეს“ (მსხალაძე, 1973, გვ.9). ზღაპარ „ყურუსუნაში“ სადგისი, ყვავი, ხვედა (ხის ჩაქური), ნეხვის გუნდა მიეხმარებიან ყურუსუნას ხარის მოტაცებაში: როცა კეისარმა საფრთხე იგრძნო და ცეცხლის ანთება დაიწყო, ყვავმა „დააბარტყუნა ფრთები და მთელი ნაცარი თვალებში შეაყარა. სადგისმა იმარჯვა და ფეხში შეერჭო, ამ დროს სხვენიდან ხვედაც გადმოვარდა და თავი გაუხეთქა. შეშინებული კეისარი გარეთ გამოვარდა, მაგრამ ზღურბლზე ნეხვის გუნდა დახვდა, ფეხი დაუსხლტა და ისე მაგრად დაებერტყა ძირს, რომ წელი ვეღარ ათორია“ (ცინდელიანი, 1975, გვ.20).

ლიმილის მომგვრელია, აგრეთვე, სამი ძმადნაფიცის დალუპვა ხარის ნაფეხურში ჩაგუბებულ წყალში (იქვე, გვ.6); თითქოს საიდან სადაო და ასე კი მოხდა, დაძმობილდნენ კოლო და ფოთოლი (იქვე, გვ.7); ან- წველა, ნაკვერჩხალი და ბუშტი (იქვე, გვ.6). ირონიულ განწყობას ქმნის სიტყვათა თამაშიც: „ერთი კულა პური მომიტანეს და ერთი კულა ღვინო: ავაკურკულე, დავაკურკულე და მეც არ მეყო, თორემ შენ რას მოგიტანდიო“ (უმიკაშვილი, 1964, გვ. 283). ან „ერთი ჭიქა ღვინო მეიტანეს, ააწიპწიპეს და ჩამოაწიპიპეს, მეც არაფერი შემხვდა...“ (ფ.არქ.367)-ატყუებს მშიერ დათვს მელია. თავის როლს ასრულებს ლექსიკაც (ცანავა, 1960, გვ.7-8): „ბრძანა“, „მოახსენა“, „დიდებულო“ ნახმარი ცხოველების მიმართ ღიმილს იწვევს.

ცხოველთა ეპოსში მხოლოდ მსუბუქ იუმორს არ ვხვდებით. აქ პერსონაჟები ერთმანეთს მასხარადაც იგდებენ. ტრიქსტერი არანაირ უბედურებას, თვით სიკვდილსაც არ აკმარებს თავის ყოფილ ძმობილს, გამუდმებით დასცინის და აბუჩად იგდებს. მაგალითად ზღაპარში „მარხული მელაი“ მოხერხებულად გააბა მელამ მგელი მახეში. მგელმა უსაყვედურა:

„-მელავ, ეს რა დამმართეო?!

-ჯერ აფერია, პაწაი მეიცადე და მერე დეინახე დამართნაო, -უთხრა მელამ მგელს. დასხლეტილ ხუნდზე ავიდა, დუწყო ჭამა ქათამს.

-შენ ხომ მარხული ხარ?-უთხრა მგელმა.

-ახალი თვარე დევნახე, ძალიან პატარაა, ეტყობა მარხვის თვე დალეულა, -უპასუხა მელამ.

-მე ვერსად ვერ ვხედავ თვარესო!

-შენ ჯერ ვერ დეინახავ. ხუნდის პატრონი რომ მოვა, ახალ თვარეს მაშინ დეინახავო!“ (მსხალაძე, 1973, გვ.14).

სხვა ვარიანტის მიხედვით ზაფანგში გაბმულ მგელს „მელია დგას, უყურებს. მგელი იქით გადახტა. მელია ეუბნება: -ეგრეც გადავხტიო. აქეთ გადმოხტა. -აქეთაც გადმოვხტიო. რამდენიც მგელი გახადტა, მელია ეუბნება: -ეგრეც გადავხტი, გადმოვხტიო“. ზღაპარში „ლომი და მელია“ კი დასისხლიანებულ გამწარებულ მგელს დასცინის: „წითელ ჩექმებიანო, საით მიბრძანდები?“ (ლლონტი, 1974, გვ. 392).

დათვისადმი დამოკიდებულებაც იგივეა: „გაჰყვა დათვი კუახის რიხინს და გადავარდა კლდეზე, მელია უკანიდან მოსძახის: -არიქა, დათუნია, არ გაუშვა, სულ მაგ კუახის ბრალია ჩვენი ქვეყრის დაცლა, ნაცრით გავსება და შენი თვალების დავსებაო!“ (იქვე, 338).

არც მელია რჩება დამცირების გარეშე, როცა ის მარცხდება. მაგალითად, სკეინჩამ მელიას გაბრაზება დაუწყო: „მელა-კუდა-გრძელაო, სანეხვეზე ძვრებაო“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 10).

როგორც გრ. კიკნაძე ამბობს: „ოპტიმიზმი ჩანს აბუჩად ამგდებ დამოკიდებულებაში. საკუთარი ძალების რწმენა ხომ განუწყვეტელ ზოლად მისდევს ხალხურ ნაწარმოებს“ (კიკნაძე, 1953, გვ. 131).

ცხოველთა ეპოსში დასამარცხებლად განწირული პერსონაჟი თავიდანვეა გამასხარავებული. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მათგანი „მიცანცარებს“, „მიძუნძულებს“, „დაჩერჩეტებს“, „ბუტბუტებს“, ის აუცილებლად დამარცხდება, მითუმეტეს თუ „ხინხილით“ წავა. როცა ნათქვამია, ორმოში „ჩავარდაო“ და არა ჩახტაო, მელიას რაც არ უნდა კარგად წაუვიდეს საქმე, ბოლოს მაინც თავს დაკარგავს.

მაგრამ თუ მთქმელი კეთილად იტყვის: „მიცუნცულდაო“ (ლლონტი, 1974, გვ. 392) ან „ოუწაჰწაჰდა“ ღვინის ნდომით სულიო (ფ.არქ. 367) - ყველაფერი კარგად იქნება. გარდა ამისა, ბახტინა თვლის, რომ ცხოველთა ეპოსში კომიკურის ეფექტი იმალება ცხოველური და ადამიანური თვისებების გადაჯაჭვაში (Бахтина, 1972, გვ. 48).

ქართული ცხოველთა ეპოსის მხატვრულ თავისებურებებს შეეხნენ: მ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, ა. ცანავა, ფ. ზანდუკელი. კარგი მდგომარეობაა ამ მხრივ რუსულ ფოლკლორისტიკაშიც. ამ საკითხისადმი მიძღვნილ შრომებში არაერთხელ აღნიშნულა ცოველთა ეპოსის სტილის თავისებურებანი: ლაკონიურობა, ლაპიდარობა, თხრობის სისადავე და სიმსუბუქე; რომ ცხოველთა ეპოსს ახასიათებს მარტივი სტრუქტურა, სხარტად მოწოდებული ნათელი სიუჟეტი, რომელიც ყოველთვის კონფლიქტურია. ეს ნაწარმოები სტაბილურია, რასაც ალბათ სიუჟეტის

სიმარტივე უწყობს ხელს; გამოირჩევა ვარიანტების სიმცირით. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ცოველთა ზღაპარი მხატვრული კომპოზიციის თვალსაზრისით მარტივია. ეს გამოწვეულია იმით, რომ მასში ეპიზოდების რიცხვი მცირეა, მოქმედი გმირები მრავალრიცხოვანნი არ არიან და წარმოსახვის საშუალებებიც მინიმუმამდეა დაყვანილი (ჩიქოვანი, 1938, გვ. XLV). როგორც ვიცით, ცხოველთა ეპოსისათვის უცხოა მოქმედ პირთა და სიტუაციათა დახასიათება, ბუნების აღწერა. მისთვის ტიპურია: „მოკლე წინადადებები. სხარტი გამოთქმები, თხრობა დინამიკური“ (ზანდუკელი, 1980, გვ. 50). „იგავისათვის და ცხოველთა ზღაპრისთვის დამახასიათებელია რეპორტაჟის მეთოდი, სცენური გამოსახვა მოვლენებისა, რომლებიც თითქოს მთქმელის თვალწინ ჩაივლის“ (Левин, 1981, გვ. 46).

სპეციალურად არის შესწავლილი ქართული ცხოველთა ეპოსის კომპოზიციის (დასაწყისი, დასასრული და სხვა), სტილის საკითხები, იუმორის როლი ხალხურ ზღაპარში. „ზეპირსიტყვიერი ფანტასტიკური მოთხრობის სიუჟეტი ტიპური ფორმულებით არის შეკრული, თავბოლო გამაგრებული“ (ჩიქოვანი, 1938, გვ. XLVIII).

ცხოველთა ზღაპრებში ხშირია და წამყვანი დიალოგი. ის აქ „ძირითადად მოქმედების წინაპირობაა და ნაკლებად მოქმედების შედეგი“ (ზანდუკელი, 1977, გვ. 25-31). „იმას მიჰყავს მოქმედება, ხსნის სიტუაციებს, გვიჩვენებს პერსონაჟთა მდგომარეობას“ (Кравцов, 1977, გვ. 109). დიალოგი გვხვდება როგორც პროზის, ასევე ლექსის სახით. „ლექსი დიალოგის ლაკონიურ ფორმას წარმოადგენს. იგი ცხოველთა ეპოსში უფრო გავრცელებულია, ვიდრე ზღაპრული ეპოსის სხვა ჟანრებში. შეიძლება ითქვას, რომ ის ცხოველთა ეპოსის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს“ (ჩიქოვანი, 1946, გვ. 290-291). მაგალითად, ზღაპარში „ჩიტი და მელია“ გვხვდება დიალოგი:

„-ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

-რაო, ბატონო მელაო?

-ერთი ბარტყი გადმომიგდე,

თორემ შავ დღეს დაგაყენებ:

ცულს მოვიტან, ცუნცულასა,

ხელეჩოს და წალდუნასა,

ხესაც მოვჭკრი, ხის ძირსაცა,

შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!“

(სიხარულიძე, 1938, გვ. 130).

ლექსი ზშირად ზღაპრის თხრობაშიც არის ჩართული. მაგალითად, ზღაპარში „დედალა და მამალა“ (ცინდელიანი, 1975, გვ. 9-10) მელიამ ფრინველები ძველ წისკილში შეიტყუა და კარგ გუნებაზე დამღვარი დროდადრო თავისთვის ღიღინებს:

„გალესილო დანაო,  
დედლის კისერთანაო“ ან  
„გალესილო დანაო,  
მამლის კისერთანაო“

და ა.შ. ეს პოეტური ჩანარები პერიოდულად მეორდება და რეფრენივით მისდევს ნაწარმოებს. გადასვლა პროზაული თხრობისა სიმღერაზე და სიმღერისა – თხრობაზე ცხოველთა ზღაპრის სიძველეზე მიუთითებს (Померанцева, 1963, გვ. 84). ლექსითი ფორმით ზღაპარში მთელი სიტუაციაც არის გადმოცემული:

„გარბის ტურა, გასდევს მგელი,  
გადიარეს მთა და ველი,  
გასტრობაზე ფიქრობს ტურა,  
დაწევას კი ნატრობს მგელი,  
საქმე არის მეტად ძნელი“ (მსხალაძე, 1973, გვ. 22).

მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ცხოველთა ზღაპარში განმეორებას, რომელიც „ნაწარმოების დინამიკის გაძლიერებას უწყობს ხელს, აგრეთვე ხაზს უსვამს მთავარი პერსონაჟის ხასიათის გამოვლენას, ქმნის ნაწარმოების ერთგვარ რიტმს და ამდენი განმეორებით, თითქოს, კანონზომიერი სახე ეძლევა პერსონაჟის საბოლოო გადაწყვეტილებას“ (ზანდუკელი, 1977, გვ. 109).

როცა ვამბობთ, ზღაპრის ენა სადააო, პირველ რიგში მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიმცირეს ვგულისხმობთ. ისინი აქა-იქ თუ ჩანს. შედარება, განსაზღვრება, მეტაფორა და ეპითეტი ცხოველთა ეპოსში თითქმის არ გვხვდება. ალბათ იმიტომ რომ ვერც ერთი ეპითეტი ვერ შეძლებს გადმოსცეს ყველა ის ნიუანსი ამა თუ იმ პერსონაჟისა, რაც კოლექტივის თითოეულ წევრს ისედაც მშვენიერად აქვს ნაგრძნობი. ყველაფერი ზომ ისედაც იგულისხმება. „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურალური თქმა, რომელსაც ზშირად ვხვდებით ცხოველთა ზღაპარში, ეს არის ჰიპერბოლა“ (ზანდუკელი, 1980, გვ. 50). მაგალითად, საკმაოდ დამაჯერებლად უთხრა მელიამ მგელს: „რამდენი ბეწვიც აბია შენ კუდსაო, იმდენი თევზი მოგეკიდებაო“ (ფ.არქ. 1145).

ქართული ცხოველთა ეპოსი არც ზედმეტსახელებს არქმევს

პერსონაჟებს, მაგალითად, რუსულისაგან განსხვავებით (ზანდუ-კელი, 1977, გვ.95). აქა-იქ თუ შევხვდებით სიტყვათა თამაშს მიმართებისას: „ჩიკვ-ჩხავანას ვახლავართო“ (ცინდელიანი, 1975, გვ.8); „-შე, სკვინჩა-მინჩავ“ (იქვე, გვ.10). ბუნების, გარემოს აღწერა ხომ აქ საერთოდ გამოირიცხულია.

ზღაპრულ ეპოსს საერთოდ ახასიათებს ლაკონიურობა, ცხოველთა ზღაპარი კი ამ მხრივ თვით ზღაპრებშიც გამოირჩევა. ლაკონიზმი საჭიროა, ყურადღება რომ არ გაეფანტოს მსმენელს, ზუსტად რომ დაიჭიროს ზღაპრის ძირითადი აზრი. აქ ნათქვამია მხოლოდ ის, რაც აუცილებელია და ისიც ძალიან მოკლედ. წინადადებებში თითქმის ვერ ვხვდებით მეორეხარისხოვან წევრებს, აქ ზმნა ბატონობს. მაგალითად, „მისცა ვაჭარმა ძივები. წავიდა, მელამ დაკიდა გულზე გოგვებს. გოგვებმა იცეკვეს მუხის ძირში. მუხამ მისცა მელას ნეკერი. ნეკერი მიუტანა თხას, თხამ მისცა რძე, რძე მიუტანა ნენეს, ნენემ დაუბრუნა კუდი. მელიამ მოკურცხლა“ (მსხალაძე, 1973, გვ.26). როგორც ფ. ზანდუკელი აღნიშნავს: ზღაპარში მოთხრობილი ამბავი დისტანციიდან არის დანახული, ამიტომ თხრობა წარსულ დროშია გადმოცემული და დომინირებს „იყო“ ზმნა (ზანდუკელი, 1980, გვ.46).

ხალხური ზღაპრის სტილის ლაკონიურობას ხელს უნდა უწყობდეს ის გარემოება, რომ ზღაპრის პერსონაჟი, მისი სიუჟეტი ტრადიციულია და ბევრი რამე თავისთავად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, იგულისხმება. ესა თუ ის ცხოველი პერსონაჟი გარკვეული ქვეყანრის მიხედვით ყოველთვის ერთი და იმავე თვისების მატარებელია. მისი ღირსება-ნაკლოვანება ყველგან საერთოა. რაც არ უნდა ახალ სიუჟეტში შეგვხვდეს მელია, ან რომელიმე სხვა ცხოველი, ხალხურ წარმოდგენაში შექმნილი ტრადიციის მიხედვით, რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას აპირებს ყველაფერი წინასწარვე ნათელია. ტრადიციის როლზე ზღაპარში ე. მელეტინსკი წერს: აქ ტრადიციულია როგორც ფორმა, ასევე თვით ეპიკური სიტუაციები, მოტივები, თემები და მთელი სიუჟეტური სქემაც კი (Мелетинский, 1964, გვ.91).

ცხოველთა ზღაპრის ფინალი პერსონაჟების გამოჩენისთანავე ნათელია. ამ ტრადიციის ძალით წინასწარვე ვიცით: მელია თავისზე ძლიერ ნადირებს დაამარცხებს, სუსტ ფრინველებთან კი თვითონ დაამარცხდება და ა.შ. ეს პერსონაჟები კი ყოველთვის პირველსავე წინადადებაში ჩნდებიან. მიუხედავად ამისა, ზღაპარი საინტერესო მოსასმენია. აქ მიზნის მიღწევის ახალ-ახალი საშუალებების ძიება

გვიზიდავს. საინტერესოა, რა ხერხით და ოინით მიაღწევს ტრიქსტერი მიზანს.

ცხოველთა ზღაპრის სტილურ თავისებურებად უნდა ჩაითვა-  
ლოს ის გარემოებაც, რომ სიუჟეტის განვითარებას მოულოდნელი  
ეფექტები ახასიათებს. აქ ერთი უკიდურესობით დაწყებული ამბავი  
მეორე უკიდურესობით მთავრდება. მაგალითად, ცხოველები  
დამძობილდნენ, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ უცებ  
სამკედრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; ფრინვე-  
ლები სალოცავად, ცოდვების მოსანანიებლად მიდიან, მაგრამ უცებ  
ყველაფერი აირევა და „ბერის“ ხელით იხოცებიან. მელიის ბერობაც  
მოულოდნელობის გაზრდას უწყობს ხელს. ამ უკანასკნელ ზღა-  
პარში ერთმანეთის მიყოლებით აბრიყვებს მელია ფრინველებს,  
მაგრამ საბოლოოდ თვითონვე რჩება მოტყუებული და იღუპება  
კიდეც. ან კიდეც, გამწარებულმა მგელმა მელია დაიჭირა, უნდა  
მიახრჩოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უეცრად თავი გადაიჩინა და  
მგელი მოკლა. აქ თითქოს ყოველი ახალი წინადადება სიახლეს  
გვპირდება. ამ ეფექტების წყალობით, ზღაპრის თხრობა თავიდან  
ბოლომდე ინტერესს ინარჩუნებს. მის თხრობას თან ახლავს  
შინაგანი დაძაბულობა. ეს სიურპრიზები ემოციურ დაძაბულობას  
მატებს ზღაპარს.

მიუხედავად ამ ნაწარმოების პერსონაჟის წინააღმდეგობებით  
აღსავსე ბუნებისა, ზღაპრის მსმენელი მისი მთავარი გმირის –  
ტრიქსტერის მხარეზეა, სიმპათიით არის გამსჭვალული და ენდობა  
მას.

ცხოველთა ეპოსის მხატვრულ მხარეზე საუბრისას უნდა  
შევვხვთ კიდეც ერთ საკითხს. როგორც ვიცით, ზღაპარი ინტერ-  
ნაციონალური მოვლენაა. მისი სიუჟეტები, პერსონაჟთა ტიპები  
საერთოა განვითარების ერთ დონეზე მყოფი ხალხებისათვის. გარდა  
ამისა, როგორც უკვე ვთქვით, ზღაპარი საკმაოდ შეკუმშულია და  
თავისუფალი ყოველგვარი ლირიკული გადახვევებისაგან. ცხო-  
ველთა ეპოსი კიდეც უფრო გამოირჩევა თავისი ლაკონიურობით  
მთელს ზღაპრულ ეპოსში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვხვდებით  
მასში ნაციონალურ ასპექტებს, ეროვნულ კოლორიტს. მაგალითად,  
ქართულ ცხოველთა ეპოსში ჩანს ჩვენი სოფლის ყოფისთვის და-  
მახასიათებელ დეტალებს: მელა ავდარში ბანზე სირბილს იწყებს,  
ვითომ ტკეპნის, წვიმა რომ არ ჩაუვიდეს (ლლონტი, 1974, გვ. 374);  
თხა, ვირი, მამალი და მელია „მივიდნენ ერთ ნალია ქვეშ“ (მსხა-

ლაძე, 1973, გვ.9); მელამ „ჭურში ჩაასხა მგლის ქონი“; ან მელია ჭურში ჩავარდა (იქვე, გვ.17) და სხვა. ეროვნული კოლორიტის შექმნას უწყობს ხელს ზღაპარში საკმაოდ არსებული დიალექტიზმებიც.

## დასკვნა

ცხოველთა ეპოსი, ზღაპრული ეპოსის ერთ-ერთი ქვეყანრი, უძველესი პროზაული ფოლკლორის ნიმუშია. მასში სხვა ზღაპართა მსგავსად ადამიანი თავის ცხოვრებაზე, მის ჭირ-ვარამზე, მისწრაფებაზე მოგვითხრობს. აქ ჩანს კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე მდგომი ხალხის ყოფის, რწმენის, აზროვნების, მსოფლმხედველობის თავისებურებანი. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი ირკვევა, რომ ამ ნაწარმოებთა ცხოველ პერსონაჟთა ქვეშ ადამიანი, ადამიანთა ერთი გარკვეული ჯგუფი იგულისხმება, რომელიც იმ შორეულ დროში თავისი ტოტემის სახელით იწოდებოდა.

უძველეს ეპოქაში ხშირი იყო და მნიშვნელოვანიც ერთი ტოტემური ჯგუფის ადამიანთა დაპირისპირება მეორესთან, რაც ძირითადად საარსებო საშუალებებისათვის ხდებოდა. ხალხმაც შემოქმედების ნიმუშში თავისი ცხოვრების ეს მწვავე მომენტი ასახა. როგორც ცხოველთა ეპოსის ნიმუშებიდან ჩანს, ყოფნა-არყოფნისათვის გამართულ დაუნდობელ ბრძოლაში ყველა ხერხი და საშუალება იყო დასაშვები. აქ მოპოვებული გამარჯვება კი საკუთარი ძალების რწმენას მატებდა ხალხს და ხვალისდელი დღის იმედით მსჭვალავდა.

ძლიერი მეტოქის უსუსურ და უნიათოდ ჩვენება, მისი გამასხარავება, აბუჩად აგდება ოპტიმისტურად განაწყობდა ადამიანს. ამიტომ უნდა ვხედებოდეთ აქ ძლიერი მეტოქის დამარცხებას სუსტის მიერ და არა იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები ალეგორიული ხასიათის იგავია. ცხოველთა ეპოსი და იგავი ზომ სხვადასხვა ეპოქაში, აზროვნების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი ნაწარმოებებია.

ცხოველთა ეპოსში ადამიანი თავისი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე მოგვითხრობს. აქ ჩანს ხალხის მარადიული რწმენა არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

ცხოველთა ეპოსი ძლიერი რეალური მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ადამიანური ძალების მობილიზაციის განწყობით არის შექმნილი. ეს გამარჯვება გონების საშუალებით მოიპოვება, აქ გონების ზეიმია.

ცხოველთა ეპოსში შემაჯალი ზღაპრები არ არის ერთფეროვანი. აქ გარდა საკუთრივ ცხოველთა ზღაპრისა, სადაც ცხოველთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა ნაჩვენები, შევლენ, აგრეთვე, ე.წ. ეტიოლოგიური გადმოცემები, სადაც ამა თუ იმ ცხოველის ან ფრინველის წარმოშობის, მისი გარეგნობისა და თავისებურებების ახსნის ცდაა მოცემული და ის კუმულაციური ზღაპრები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები არიან. ამ ორი უკანასკნელი ჯგუფის ნაწარმოებებს მცირე რაოდენობის სიუჟეტები მიეკუთვნება ქართულ ეპოსში. რაც შეეხება საკუთრივ ცხოველთა ზღაპრებს, ის შეადგენს ცხოველთა ეპოსის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. აქ ვხვდებით სხვადასხვა პერსონაჟებისადმი მიძღვნილ სიუჟეტებს, რის მიხედვითაც ჯგუფებიან ეს ზღაპრები. ქართულ ცხოველთა ეპოსში ეს დაჯგუფება მოხდება შემდეგ პერსონაჟებთან: მელია, მგელი, დათვი, ტურა, ლომი, კურდღელი, შინაური ცხოველები, ფრინველები.

მელიის სიუჟეტის მქონე ცხოველთა ეპოსის ნიმუშებში თავის მხრივ ოთხი ტიპის ზღაპრები გამოიყოფა. ესენია: I. ტრიქსტერი მელია ამარცხებს თავისზე ძლიერ გარეულ ცხოველებს (აქვე მიუთითებთ სიუჟეტთა შესაბამის ნომრებს ელ.ვირსალაძის მიერ შედგენილი ზღაპართა სიუჟეტების საძიებლის მიხედვით: № I, 2, 8, 8A, 15, 15A, 15B, 20<sub>I</sub>, 21A, 22A, 31<sub>I</sub>, 37A, 38, 41, 44, 45, 46, 50; II. მელია ფრინველებთან მარცხდება (№ 6A, 56, 56B, 56C, 61<sub>I</sub>A, 61<sub>I</sub>C, 61 IIIA); III. მელია მარტოა ველარ აღწევს წარმატებას და მშველელს უხმობს (№103); IV. მელია მოსამართლე და საქმის გამრიგეა (№ 154, 154A, 154<sub>I</sub>, 155).

მგელთან დაკავშირებული სიუჟეტები ცხოველთა ეპოსში სამი ტიპისაა: I. მგელი მელიასთან დაპირისპირებისას მარცხდება (№ 2, 8, 8A, 20<sub>I</sub>, 22A, 30<sub>I</sub>, 41, 44, 45, 46, 50); II. შინაური ცხოველები მგელს მიბეგვავენ და ხახამშრალს გაუშვებენ (№ 122A, 122B, 122C); III. მგელი შვილს უჭამს შინაურ ცხოველებს, რისთვისაც სამაგიეროს იღებს (№ 123, 123A).

დათვი ხუთი სიუჟეტის ზღაპრებში გვხვდება. ესენია: 1. ტრიქსტერი მელია ატყუებს და ღუპავს დათვს (№ 8, 8A, 15, 15A.

21A, 37A, 38, 124); II. დათვი მელიას ბატკანს (შველს, ნუკრს) შეუჭამს, რისთვისაც სამაგიეროს იღებს (№124); III. მელია დათვს კაცის მეშვეობით ამარცხებს. (№ 36<sub>1</sub>, 36<sub>11</sub>); IV. დათვი უძლეველია და სხვათა რისხვა (№16); V. დათვს სხვა ცხოველებთან ერთად კატა აშინებს (№ 103).

